FB.COM/GROUPS/ELLIB

მიგელ დე უნამუნო

ამბავი ერთი ხიცვარულისა



7 ქართველ ავტორთა ბიბლიოთეკა

ამბავი ერთი სიყვარულისა

1

რიკარდო ერთი ხანია გრძნობდა, რომ ეს სასიყვარულო ურთიერთობა მოჰბეზრდა, ღობესთან უთავბოლო ყურყუტმა დაღალა; ასე ეგონა, მოვალეობას იხდიდა და სწორედ ეს მოვალეობა აწვა მხრებზე მძიმე ტვირთად. თუმცა კი ასრულებდა, მაგრამ ასრულებდა უხალისოდ, ძალისძალად. არა, მას არ უყვარდა ლიდუვინა და, ალბათ, არც არასდროს შეუყვარდებოდა. ეს გრძნობა უფრო იმ ყმაწვილის გატაცებას ჰგავდა, რომელიც ქალის არსს შეიცნობს თუ არა, პირველივე ქალი, ვინც გზად შემოეყრება და სხივიან თვალებს შეანათებს, უმალ შეუყვარდება, თუნდაც იცოდეს, რომ იგი იმ ბედის გზას გაუმრუდებს, ცაში რომაა გადაწყვეტილი. და აჰა, ერთ დღესაც, ზიარება რომ მიიღო და მერე ალალბედზე გადაშალა სახარება, აკი სწორედ ის სტრიქონები მოხვდა თვალში და ნამდვილად არ მოსჩვენებია, ცხადად ამოიკითხა: „წარვედი ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაი ესე ყოველთა დაბადებულთა“ (მარკოზი XV.15). ეს იყო მისი ვალი და მოწოდება, სახარება უნდა ექადაგა, მაგრამ ჯერ სასულიერო წოდებაზე უნდა ეზრუნა, ალბათ, ჯობდა მონასტერში ბერად აღკვეცილიყო, ამისთვის იყო დაბადებული, უფლის სიტყვა უნდა მიეტანა ხალხთან და არა იმისთვის, რომ ოჯახის მამა გამხდარიყო, მით უმეტეს, საქმრო.

ლიდუვინას კარ-მიდამო ურსულელთა მონასტერს ემიჯნებოდა, რომელსაც გარს ქვის მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული და შუაში ვიწრო შუკა ჩაუდიოდა. გალავანს კვიპაროსის ფართოდ გაშლილი, მძიმე ტოტები ეფინებოდა და იქ მუდამ ბეღურები ჟივჟივებდნენ. საღამო ჟამს მწვანედ ჩამუქებული კვიპაროსი კიდევ უფრო ჩამუქდებოდა და აგიზგიზებული დასალიერის ფონზე მით უფრო მკვეთრად იხატებოდა; და ამ საღამოს სიმყუდროვეში მონასტრის ზარებიც აგუგუნდებოდა, თითქოს კვერს უკრავდა და კიდეც წააქეზებდა, – „წარვედი ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაი ესე ყოველთა დაბადებულთაო“.

მათი საუბრებიც ნაძალადევი და უხალისო იყო. რკინის მესერი, საქმროსა და საცოლეს რომ აცალკევებდა, ციხის გისოსებს მოგაგონებდათ და იყვნენ კიდეც ისინი ტყვეები, მაგრამ არა სიყვარულისა თუ ნაზი გრძნობისა, არამედ ერთგულებისა და პატიოსნების ღრმა პატივისცემისა; მაგრამ როცა რიკარდო ლიდუვინას აბანოზისფერ თვალებს შეჰყურებდა, უწინდებურად ვეღარ გრძნობდა, რომ სულით მაღლდებოდა.

– თუ საქმე რამ გაქვს, ჩემი გულისთვის ნუ გაცდები, – უთხრა ერთხელაც ლიდუვინამ.

– საქმეო? რა საქმე უნდა მქონდეს ამაზე უკეთესი, შენ რომ გიყურებ! – მიუგო მან.

და ორივე მაშინვე დადუმდა, რამეთუ მიხვდნენ ამ სიტყვების სიცარიელეს. ისინი უმეტესწილად ქალაქის ამბებზე ან რომელიმე შეყვარებულ წყვილზე ლაპარაკობდნენ და ქირქილებდნენ. ზოგჯერ ლიდუვინა უნებურად თავის ოჯახზე

თუ დაიჩივლებდა, დამბლადაცემულ, დადუმებულ დედაზე ან შურისაგან ერთიანად ჩამომხმარ დაზე დაიწუწუნებდა; მათ სახლში ხომ მამაკაცი არ ჭაჭანებდა; მამა თითქმის არც ახსოვდა, ძმა კი ბუნდოვანი სიზმარივით აგონდებოდა, თოჯინასავით რომ ეთამაშებოდა და თუ კოცნას დაუპირებდა, დილის სიზმარივით გაქრებოდა.

ყოველ საღამოს, როცა რიკარდო ღობეს მოშორდებოდა და შინისაკენ გაუყვებოდა გზას, ეჩვენებოდა, არა, კი არ ეჩვენებოდა, თითქმის დარწმუნებულიც იყო, რომ მათი სიყვარული ისე მოკვდა, დაბადებაც ვერ მოასწრო; მაგრამ კვლავ ბრუნდებოდა, გეგონებოდათ, რაღაც იდუმალი ძალა ეზიდებაო. მას ხიბლავდა ის მშვიდი და თან ნაღვლიანი გარემო იმ შუკაში, ლამის ჰაერიც რომ გაეჟღინთა; მწვანედ ჩამუქებული კვიპაროსი, მონასტრის მაღალი, დაბზარული კედლები, დაისის მქრქალი შუქი, ბეღურების ჟივჟივი ისე ეხამებოდა ლიდუვინას შავ თვალებსა და შავი თმის ტალღებს, ასე ეგონა, საგანგებოდ მისთვის იყო შექმნილი. როცა დაისის ცეცხლისფერ ანარეკლს გასცქეროდა, მაშინაც საცოლის თმის ტალღებს ჭვრეტდა და თვალდათვალ უყურებდა, როგორ იმსჭვალებოდა იგი ამ ანარეკლისა და ზარების შთამაგონებელი გუგუნით. საბრალო რიკარდო, ამ სასიყვარულო ურთიერთობის ტყვე, ფიქრობდა, ეგებ თავად ლიდუვინაა ის კეთილი მაცნე, ასე რომ მიხმობს და მაგულიანებსო. მაგრამ იმავ წუთს მოეჩვენებოდა, თითქოს ქალიშვილის დალალებში უკანასკნელი სხივი რომ ქრებოდა, შავი მდინარის ტალღები გადაევლებოდა და ზღვისკენ მიაქანებდა დასანთქმელად განწირულს.

აღარაფერი დარჩა საჭოჭმანო, ეს ამბავი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ როგორ? როგორ უნდა ეღალატა ჩვევისთვის? როგორ გაეტეხა სიტყვა? ხალხის თვალში ერთი ქარაფშუტა და უმადური გამოჩენილიყო? რიკარდო იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ ლიდუვინასაც გაუცრუვდა იმედი, ამ სიყვარულმა ისიც დაღალა. და აი, ერთ დღესაც ისინი უსიტყვოდ გამოუტყდნენ ერთმანეთს და ეს მათ თვალებში, მათ საუბარში, უფრო სწორად, მათი თვალების უხმო საუბარში გაცხადდა ანგელუს-ის ლოცვის მერე. მათი საღამოები ხომ ისე ილეოდა, თითქოს გარდაცვლილი გრძნობების სადარაჯოდ ფხიზლობენო.

მაგრამ არა, ისინი არამც და არამც არ დაემსგავსებოდნენ სხვებს, ვისზეც თვითონვე ქირქილებდნენ, ისეთები არასდროს გახდებოდნენ. მაგრამ როგორ უნდა გაემხილათ ეს ერთმანეთისთვის, როგორ უნდა ეღიარებინათ, ყველაფერი დამთავრდაო, მეგობრებივით ხომ არ ჩამოართმევდნენ ერთმანეთს ხელს და ასე გულნატკენები დაშორდებოდნენ. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, შვებით ხომ მაინც ამოისუნთქავდნენ. რიკარდოს მონასტრისაკენ მიუწევდა გული, ლიდუვინა კი ალბათ სხვა მამაკაცს შეხვდებოდა და ეგებ მისი ცხოვრების თანამგზავრიც გამხდარიყო.

რიკარდომ კარგად აწონ-დაწონა ვითარება და გადაწყვეტილებაც მიიღო; მისი განზრახვა თან ვითომ ეშმაკურიც იყო და თან სენტიმენტალურიც; სხვა გზას მაინც ვერ ხედავდა, თორემ ეს ურთიერთობა კიდევ კარგა ხანს გაგრძელდებოდა, ისედაც

უკვე ხუთი წელია ერთმანეთს ხვდებოდნენ. მათ ოჯახებს მართალია, არათუ საკმარისი, საკმარისზე მეტი შეძლება ჰქონდათ, რომ ახალგაზრდებს უზრუნველად ეცხოვრათ, მაგრამ არც ლიდუვინას დედას და არც რიკარდოს მამას დიდი მოწადინება არ გამოუჩენიათ, რადგან რიკარდოს ჯერ სწავლა უნდა დაესრულებინა, ხოლო თავად ყმაწვილს სწავლის წყურვილი დიდად არ კლავდა, არც სწავლას უჩანდა ბოლო, არც მოთმინება იყო უსაზღვრო; თან იმაზეც ფიქრობდა, ეგებ ჩვენი სიყვარული გაცოცხლდესო, თან ხანდახან აზრი გაუელვებდა, იქნებ ერთიც ვცადო და შევთავაზო, მოდი, უფროსების დაუკითხავად სახლიდან ჩუმად გავიპაროთო. რა თქმა უნდა, ამაზე ლიდუვინა არ დათანხმდებოდა; აი, მაშინ კი მიეცემოდა საბაბი და პირდაპირ ეტყოდა, ხომ ხედავ, ჩვენი სიყვარული ჭეშმარიტი არ ყოფილა, ნამდვილი ვნება სულ სხვააო; მაგრამ არც ეს აზრი ჰგვრიდა დიდ შვებას; მერე იტყოდა, ბოლოს და ბოლოს, რას მიქვია სირცხვილი, რიდი თუ ცრურწმენა, თუკი თავისუფლებას დავიბრუნებო. მაგრამ ვაითუ, ლიდუვინას თანხმობა ეთქვა... მაშინ... არა, ლიდუვინა სახლიდან დაუკითხავად წასვლას, გაქცევას არ მოისურვებდა და ასე მალულ-ფარულად გაპარვას ვერც გაბედავდა. მაგრამ მაინც რომ დათანხმებულიყო... ასეთი ნაბიჯი ხომ ნამდვილი გამოწვევა იქნებოდა ფარისევლებისა და მოვალეობების მონებისთვის, ცოტა მაინც რომ გამოფხიზლებულიყვნენ! ეგებ მაშინ მათი სიყვარულიც გაცოცხლებულიყო, თუკი ოდესმე მაინც იყო ცოცხალი და თუ აქამდე მათზე ზენაარის მადლი არ გადმოსულიყო, ეგებ ამის შემდეგ მოჰფენოდა ნათელი მათ ასეთ ყოფას. მაგრამ არა, ლიდუვინას ვერასგზით ვერ დაიყოლიებდა.

და აი, ერთ დღესაც რიკარდომ გაბედა და სიტყვა გადაუკრა, დიდი წვალებითა და მიკიბულ-მოკიბულად მიანიშნა გაქცევის თაობაზე, მაგრამ ლიდუვინამ არც კი შეიმჩნია, ვითომ ვერ გაიგო, თუ ვერ მიუხვდა; ნეტავი ამ დროს რაზე ფიქრობდა? ეგებ ესეც საბაბად გამოეყენებინა და თავისუფლება დაებრუნებინა, ანდა სულაც ყველაფერი თავიდან დაეწყოთ და ჭეშმარიტი სიყვარულით ანთებულიყვნენ?

2

ლიდუვინას სახლში ისეთი მოწყენილობა სუფევდა, ასე გეგონებოდათ, სევდის შავი ღრუბელი ჩამოწოლილაო. ეს უზარმაზარი სახლი ერთთავად ბინდბუნდში იყო ჩაფლული, კედლებს ალაგ ობიც კი მოსდებოდა, ყოველი მხრიდან ჯავრის იაზმები მოდიოდა და იქაურობა მთლად გაეჟღინთა. როცა ძველისძველი საწონებიანი საათი დარეკავდა, ისეთი გრძნობა დაეუფლებოდა ადამიანს, თითქოს სიცარიელისა თუ მოგონების სიმძიმისაგან მთელი სახლი კვნესისო. ლიდუვინას დედა დღეში ორჯერ ძლივძლივობით მილასლასდებოდა, დიდის გაჭირვებით მიიტანდა ცოცხალ-მკვდარ სხეულს დაფლეთილ სავარძლამდე; ხანდახან ჩაბნელებულ დერეფანში თავის მეორე ქალიშვილს წააწყდებოდა, მუდამ სახე რომ ჩამოსტიროდა. დები თითქმის არც ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, დედას კი ისევ ლიდუვინა თუ შეეხმიანებოდა და კიდეც მიეფერებოდა. საბრალო ქალი დაჭრილ ნადირს ჰგავდა, ერთთავად ძილ-

ბურანში იყო ჩაფლული, იფიქრებდით, მხოლოდ ამ შავბნელ ბურანსა თუ ავადმყოფურ გარინდებაში ცოცხლობსო.

საბრალო ლიდუვინას დროდადრო ძმაც ახსენდებოდა და ისიც ძალიან ბუნდოვნად, თითქოს მარტო სიზმრად ჰყავდა ნანახიო; თოჯინასავით წარმოუდგებოდა, ცისფერთვალა და ოქროსთმიანი, მუდამ მოცინარ-მოღიმარი, მაშინ პატარა ძმამ ინა შეარქვა, მერე ლიდუვინას ეძახდა, ბოლოს – ლიდუს, გეგონება, დროსა და ძალას ზოგავს და სახელს ამიტომ უმოკლებსო; მაგრამ იმხანად სულ პატარები იყვნენ და არც ის ესმოდა, როგორ გამოეხატა დის სიყვარული. ბავშვობა კი დამთავრდა, გაიცრიცა, გახუნდა, უღიმღამო დღეების რიგმა ლამის სულ წაშალა. მერე კი ერთადერთი რიკარდო იყო, ვინც მის ცხოვრებაში სინათლე შეიტანა, მისმა სიყვარულმა მზის სხივივით მოსჭრა თვალი, მაგრამ ისიც ჩამავალი მზის მბჟუტავი ანარეკლი აღმოჩნდა. სულ თავიდან, როცა რიკარდო მას სიყვარულში გამოუტყდა, – აკი დაუფიქრებლადაც მიენდო, – დაიჯერა, რომ ასეთი ტრფიალის მიღმა ჯერ მხოლოდ ნაღვერდალი ბჟუტავდა, გრძნობის ამგვარ ბინდბუნდში განთიადის შუქს ჯერ ვერ შეეღწია, მაგრამ ცისკარი ალბათ მზის ამობრწყინებას აუწყებდა. ვაი, რომ ძალიან მალე მიხვდა – ნაღვერდლის აბრიალების იმედი არ უნდა ჰქონოდა, ნაღვერდალი ჩაფერფლილიყო, მზის აღმოხდომა კი არა, ჩასვენება ახლოვდებოდა, რასაც ღამე მოჰყვებოდა. ლიდუვინა იმასაც კარგად ხვდებოდა და გრძნობდა, რომ მტკიცე და ძლიერი სიყვარული ერთბაშად აგიზგიზდებოდა, ვითარცა ცისკარი გაშლილ მინდორში, მაგრამ, საუბედუროდ, მათი სიყვარული დაბადებიდანვე აგონიაში იყო. ამ სიყვარულს ზოგჯერ თავისი ცისფერთვალა, ოქროსთმიანი ძმის სიყვარულსაც კი ადარებდა.

და მაინც, როგორ შეხვდა ლიდუვინა რიკარდოს? ისეთი უღიმღამო ცხოვრება ჰქონდა, ისე მარტოდ გრძნობდა თავს! პირველად ურსულელთა მონასტერში ნახა, დილის წირვაზე; მერე დილაობით, წირვის შემდეგ, ტაძრიდან რომ გამოვიდოდნენ, ერთმანეთს შეხედავდნენ. ერთხელ რიკარდომ ნაკურთხი წყალიც შესთავაზა, მერე კრიალოსანი მიუტანა, ლიდუვინას სკამზე რომ დარჩენოდა, სადაც დაჩოქილი ლოცულობდა ხოლმე; ბოლოს კი, დილის წირვა რომ დამთავრდა და რიკარდომ ჩვეულებისამებრ ნაკურთხი წყალი შესთავაზა, თან წერილიც გადასცა, ხელი უკანკალებდა და სახე ყაყაჩოსავით უვარვარებდა.

მეორე დილას ლიდუვინა წირვაზე აღარ წასულა, წერილის პასუხი უნდა მოეფიქრებინა. აჰა, საქმროც გამოუჩნდა! საქმრო, როგორც მისი ორიოდე მეგობარი იტყოდა, რომლებიც იშვიათად თუ მოიკითხავდნენ. მერედა, როგორი საქმრო! მოსწონდა კი? თუმცა რა ჰქონდა დასაწუნი! საქმროს პირობაზე ღვთისმოსავი იყო და თან მეტისმეტად ღვთისმოსავი; შესახედავად – სანდომიანი, კარგი ოჯახიშვილი, ყოფაქცევით – სამაგალითო, ესეც არ იყოს, გულს მაინც ხომ გადააყოლებდა, ამ უჟმურ, უღიმღამო დღეებს ხომ შეიმოკლებდა, თავისი დაღვრემილი, სახეჩამომტირალი დის ყურებასაც გადაურჩებოდა, დედის, საბრალო დაჭრილი

ნადირის, დუმილიც არ გაუწვრილებდა გულს. მერედა სიყვარული?! ააჰ, სიყვარული მოვიდოდა, აკი ყოველთვის მოდის ხოლმე, თუკი უხმობ, როცა თვითონ სიყვარული გიყვარს და გჭირდება. მაგრამ გადიოდა დღეები, კვირები, თვეებიც კი და გული მაინც არაფერს უთქვამდა. მაშ, რატომ არ ეთმობოდა ასეთი საქმრო? იმედი ჰქონდა, უიმედო იმედი, თვინიერი და საამო, რომ ერთ მშვენიერ დღესაც უფალი, ყოველი შეჭირვებულის შემწე, მოწყალების თვალით გადმოხედავდა და სიყვარული დაიბადებოდა. მაგრამ სიყვარული არა და არ მოდიოდა, ანდა ეგებ მათ შორის დაფრინავდა კიდეც, თუმცა ისინი ვერ ხედავდნენ.

„გვიყვარს კი ერთმანეთი? ეგებ არც გვიყვარს? მაინც რა არის სიყვარული?“ – ეს ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა ლიდუვინას თავისი დადუმებული დედისა და სახემოღრუბლული დის გვერდით და იმედს მაინც არ კარგავდა.

ლიდუვინამ, თავისდა სავალალოდ, მალე იგრძნო, რომ რიკარდომ თავი მოაბეზრა, რომ იგი, უბრალოდ, მიეჩვია მონასტრის კედლებს, კვიპაროსს, ბელურების ჟივჟივს, დაისის ჭვრეტას, ოღონდ არა მას, მის გვერდით ყოფნას. მისი საქმროს გულსა და გონებაში გამჯდარ ღირსებისა და ერთგულების გრძნობას კი იმედგაცრუება ვერაფერს ავნებდა. არა, ამ ურთიერთობას თავად პირველი არასდროს გაწყვეტდა, თუნდაც დარდისაგან მომკვდარიყო. დაე, ჯერ რიკარდოს გადაედგა ეს ნაბიჯი. ლიდუვინასთვის ერთგულება და პატიოსნება ლამის რელიგიას უტოლდებოდა; იგი არც პირველი და არც უკანასკნელი ქალი იქნებოდა, ვინც ერთგულებას შეეწირებოდა. მისი მეგობარი როსარიოც აკი ასე გათხოვდა, იმ პირველ მამაკაცს გაჰყვა, ვისაც ერთგულება შეჰფიცა, ოღონდ კი იმ ქალებისთვის არ შეედარებინათ, ხელთათმანებივით რომ იცვლიდნენ საქმროებს. სწორედ მამაკაცები არიან ორგულებიც და ფიცის გამტეხნიც, სიყვარულის წუთებში მიცემული სიტყვა რომ ავიწყდებათ. ლიდუვინას გულის სიღრმეში თითქმის სძულდა კიდეც ისინი, სძულდა, მაგრამ მაინც ელოდებოდა თავისი ოცნების მამაკაცს, ქმარს, ვინც ისე წარიტაცებდა, ვითარცა ტალღა ოკეანისა და ერთიანად შთანთქავდა ნეტარების მორევში.

ლიდუვინამ ძალიან კარგად გაიგო რიკარდოს გადაკრული სიტყვები გაქცევის თაობაზე, მაგრამ ისე დაიჭირა თავი, ვითომ ვერ მიუხვდა; სინამდვილეში არათუ მიუხვდა, ნათლადაც დაინახა მისი განზრახვა, საქმროს სულში ამოიკითხა ის, რისი თქმაც სწადდა; და უთხრა თავის თავს: „დაე, ისეთი გამბედაობა გამოიჩინოს, ნამდვილ მამაკაცს რომ შეჰფერის, გარკვევით და გადაჭრით მითხრას, გავიქცეთო და მეც დავთანხმდები; დავთანხმდები და თვითონვე გაებმება ჩემთვის დაგებულ მახეში; მაშინ კი გამოჩნდება, ვის ჰქონია გამბედაობა, ალბათ, უკან დაიხევს, ათასგვარ მიზეზსა და საბაბს შეთხზავს, როცა დაინახავს, თავადვე რომ შეიბორკა ხელ-ფეხი იმ ჯაჭვით, ჩემთვის რომ ამზადებდა თავის დასაღწევად, და მეც, საბრალო გოგონა, ოჯახის ნაბოლარა, მე, უიღბლო ლიდუვინა, დიახ, მე, ვაჩვენებ გამბედაობისა და სიყვარულის მაგალითს. ვერა, ამ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს!.. მხდალია!..

ცბიერი!.. და თუ დავთანხმდები, თუ მაინც დავთანხმდები!..“ – და ამ დამთრგუნველმა ფიქრებმა იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ცახცახი დააწყებინა, ისეთი ცახცახი, დედისეული, ძველისძველი, ხავსმოკიდებული სახლის დარბაზებში გავლისას რომ აიტანდა ხოლმე.

„და თუ მაინც გადაწყვიტა, – კვლავაც მიჰყვებოდა ფიქრებს ლიდუვინა, – მაშინ ჩემი ცხოვრება ერთიანად შეიცვლება, გაიფანტება ბურუსი, გაქრება ნესტით გაჟღენთილი ჩრდილები, ვეღარც ძველი საათის ხრიალს გავიგონებ, ვეღარც დედაჩემის დუმილი დამიმძიმებს გულს და ვეღარც ჩემი დის მოქუფრული სახე. თუკი, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტს, რომ გავიქცეთ, თუ ეს უბირი ხალხიც გაიგებს, თურმე ვინ ყოფილა სინამდვილეში ლიდუვინა, ურსულელთა შუკაში რომ ცხოვრობს, მაშინ ეგებ ჩვენი სიყვარულიც გაცოცხლდეს, ის სიყვარული, ლამის მომაკვდავი რომ მოვიდა ჩვენთან. თუკი მაინც გადაწყვეტს, ისევ თავიდან შეგვიყვარდება ერთმანეთი, რამეთუ ეს გამბედაობა შეგვაყვარებს, არა, არა, მაშინ აშკარად გამოჩნდება, თურმე როგორ გვყვარებია ერთმანეთი. დიახ, დიახ, ყველაფრის მიუხედავად, მე იგი მიყვარს, ის ხომ ჩემი ცხოვრების ჩვევაა, ჩემი არსებობის ნაწილი, მე ამის წყალობით ვცოცხლობ“.

და მართლაც, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, მათი ნაფიქრი და ნააზრევი ერთმანეთს დაემთხვა, რამეთუ ეს იყო სიყვარული, ის სიყვარული, რომელიც მათ შთააგონებდა.

3

დიახ, სწორედ ისე მოხდა, როგორც ისინი ფიქრობდნენ. ერთ საღამოს, მზის ჩასვლისას, რიკარდომ მოიკრიბა მთელი გამბედაობა, ზურგით მიეყრდნო ღობეს, გისოსებს ხელი გაუშვა და ეს სიტყვები წარმოთქვა:

– ნენა*, დამიგდე ყური, ჩვენი ურთიერთობა მეტისმეტად გაგრძელდა, მე კი ისიც არ ვიცი, როდის დავასრულებ ამ სწავლა-განათლებას, თუმცა მამაჩემს არაფრის გაგონება არ უნდა, მე არავინ არაფერს მეკითხება, სანამ ლიცენციატი არ გავხდები, მე კი გული ამიცრუვდა და სულ შემძულდა ეს სწავლა, გულწრფელად გეუბნები, – და იგი გაჩუმდა, – ჩვენი ასეთი მდგომარეობა უკვე გაუსაძლისი გახდა, ჩვენი ოცნებებიც თანდათან განელდება...

– შენთვის... – თქვა ლიდუვინამ.

– არა, ორივესთვის, ლიდუ, ორივესთვის. გამოსავალს კი ვერ ვხედავ...

– თუ არ დავშორდებით!..

– არა, არასოდეს, ნენა, არასოდეს! ეს როგორ მოგივიდა აზრად! შენ ხომ...

– არა, მე არა, რიკარდო... ეს შენს ფიქრებში ამოვიკითხე...

– მაშ, ცუდად ამოგიკითხავს, ძალიან ცუდად, თუ შენ...

– მე, რიკარდო, მე? მე სადაც გინდა, როცა გინდა, წამოგყვები!

– ხვდები, რას ამბობ, ნენა?

– დიახ, ვხვდები, ძალიან კარგად ვხვდები, რადგან ბევრი ვიფიქრე, სანამ შენ გეტყოდი!..

– მართალს ამბობ?

– ჰო, მართალს...

– აბა, მე რომ შემომეთავაზებინა...

– რაც გინდა, ის შემომთავაზე!..

– რა გამბედაობაა, ლიდუვინა!..

– გამბედაობაო? შენ მე არ მიცნობ, რიკარდო, არ მიცნობ, თუმცა ამდენი ხანია ერთმანეთს ვხვდებით...

– შეიძლება...

– არა, მართლა არ მიცნობ! მაშინ თქვი, რისი თქმაც გინდოდა, რა იყო ასეთი მნიშვნელოვანი? ისეთს მაინც რას მთავაზობ, რომ ასეთი შემზადება გჭირდება?

– გავიქცეთ!

– რატომაც არა!

– დაფიქრდი, რას ამბობ, ლიდუვინა!

– მე კი არა, შენ დაფიქრდი!

– ჰო, ლიდუვინა, გავიქცეთ, გავიპაროთ!..

– კეთილი, რიკარდო, კარგად მესმის შენი; ორივე, შენც და მეც, ეგებ კიდეც გავიპარებოდით, ჩვენ-ჩვენი სახლიდან გავიქცეოდით, რომ... რომ... ჩვენს სიყვარულს რამე ეშველებოდეს...

– შენც?

– ჰო, რიკარდო, მეც... ოღონდ კი მითხარი...

სიჩუმე ჩამოვარდა. მზე უკვე ემზადებოდა თავის მეწამულ სარეცელზე მოსასვენებლად, კვიპაროსი რაღაც ავის მომასწავებლად აწოწილიყო, მონასტრის ზარები მწუხრისკენ უხმობდა ხალხს. ლიდუვინამ პირჯვარი გადაიწერა და ტუჩები აუთრთოლდა. ჩვეულებისამებრ, რკინის გისოსებს მაგრად ჩასჭიდა ხელები და ღობეს რომ მიაწყდა, მძიმედ შეუქანდა მკერდი. რიკარდომ თვალები დახარა და

თავისთვის ჩაიბუტბუტა: „წარვედი ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაი ესე ყოველთა დაბადებულთა...“

მერე საუბარს თავი ვეღარ მოაბეს. რიკარდოს კიდეც დაავიწყდა, რისი თქმა უნდოდა, აღარც ლიდუვინას ახსოვდა, თითქოს რაღაც საბედისწერო ხდებოდა მათ თავს. ნაღვლიანად დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

გადიოდა დღეები, მაგრამ რიკარდოს მას მერე გაქცევის თაობაზე სიტყვა აღარ დასცდენია, სანამ ისევ ლიდუვინამ არ დაარღვია დუმილი ერთ საღამოს:

– ჰო, მართლა, რიკარდო, იმ ამბავზე აღარაფერს იტყვი?

– რა ამბავზე, ლიდუვინა?

– იმაზე... უკვე დაგავიწყდა კიდეც?

– ვერ ვხვდები, პირდაპირ თქვი!

– აბა, დაფიქრდი, ეგებ გაიხსენო...

– შენი ვერაფერი გამიგია, ნენა...

– მშვენივრად ხვდები, რასაც ვამბობ...

– მაშინ თქვი, გამახსენე...

– გაქცევაზე რომ ამბობდი...

– აჰ, რაო, მართლა დაიჯერე?

– რას ამბობ, რიკარდო, ნუთუ ჩვენი სიყვარული სახუმაროა?!.

– სიყვარული სხვაა...

– იმის შიში, ხალხი რას იტყვისო, არა?.. ნუთუ, ბოლოს და ბოლოს...

– რაკი ასეა, მაშინ...

– მაშინ რა?

– როცა გინდა!..

– მე? თუ გინდა, ახლავე! ჩემს სახლში მაინც არ მედგომება!..

– აი, თურმე რისთვის!..

– არა, რიკარდო, შენთვის, შენი გულისთვის! – ცოტა დაფიქრდა და მერე დასძინა, – ჩემთვისაც, ჩვენი სიყვარულისთვის... ასე გაგრძელება მართლა აღარ შეიძლება!

ერთმანეთს ღრმად ჩახედეს თვალებში და იმავე დღეს კიდეც შეთანხმდნენ. და ამ შეთანხმებამ, ამ რომანტიკული გაქცევისთვის მზადებამ, – თუმცა კი, ხალხის აზრით, მცდარმა ნაბიჯმა, – მათ საღამოებსა და საუბრებს მეტი ხალისი და სითამამე შესძინა, თითქმის მათ სიყვარულსაც ფრთები შეასხა. ესეც არ იყოს, სხვა შეყვარებულ წყვილებზეც უფრო თავისუფლად ქირქილებდნენ, სიყვარულის იმ დადგენილი კანონების საბრალო მონებზე, რომელთაც არაფერი გაეგებოდათ გაქცევის იდუმალების მაცოცხლებელი ძალისა, თანაზიარობის შთამაგონებელი გრძნობისა.

რიკარდო მიხვდა, რომ დამარცხდა, თავს დამცირებულად გრძნობდა, რომ ქალი მასზე ძლიერი აღმოჩნდა, თუმცა ვერც აღტაცებას მალავდა, სიყვარულის მისაგებლადო, ფიქრობდა.

დაბოლოს, ერთ დილას ლიდუვინამ მოიმიზეზა, მეგობართან მინდა სტუმრად წავიდეო, ტანსაცმელი მოიმზადა და მოახლის თანხლებით სახლიდან გავიდა. რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს თუ არა, იქვე, გზის პირას კარეტა დაინახა და ცოტა რომ გასცდნენ, მოახლე გააჩერა, ერთი წუთი აქ მომიცადე, შინ რაღაც დამრჩა და ახლავე მოვბრუნდებიო, უთხრა, უკან გაბრუნდა, მაშინვე კარეტაში ჩაჯდა და ცხენებიც უმალ გაჭენდნენ. როცა მოახლე ლოდინით დაიღალა, სახლში წავიდა სენიორას ამბის გასაგებად, მაგრამ უთხრეს, არ მოსულაო.

ამასობაში კარეტა სწრაფად მიქროდა მეზობელი სოფლისკენ, სადაც რკინიგზის სადგური იყო. მთელი გზა ისე გაიარეს, არც ერთს ხმა არ ამოუღია, ისხდნენ მდუმარედ, ხელიხელჩაკიდებულები და გასცქეროდნენ მინდვრებს, მერე ჩასხდნენ მატარებელში და გაემგზავრნენ.

4

რკინიგზა მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა. ალაგ მდინარე ნამგალივით ირკალებოდა და ყვითელ წყალს ზღვისკენ მიაქანებდა. ორივე მხარეს ვენახები იყო გაშლილი, შიგადაშიგ ნუშის, ზეთისხილისა და ნაძვის ხეები მოჩანდა, უფრო კი ლიმონისა და ფორთოხლის ბაღები იტაცებდა თვალს. ფერდობებს, ფლატეებსა თუ ქარაფებს რომ გასცდებოდა, მდინარე მერცხლის კუდივით იყოფოდა. აქა-იქ წისქვილები და ისლით გადახურული ქოხმახები იყო ჩარიგებული. ვეება კასრებით დატვირთულ ბარჟას მარჯვედ მიმართავდა კაცი შემაღლებული ფიცარნაგიდან.

რიკარდო და ლიდუვინა ვაგონის ერთ კუთხეში მიყუჟულიყვნენ და მდუმარედ გასცქეროდნენ მდინარის ნაპირზე მწვანეში ჩაფლულ სააგარაკო ვილებს და თან ყურს მიაპყრობდნენ თანამგზავრებს, მათთვის გაუგებარ ენაზე რომ საუბრობდნენ, თუმცა ორიოდე სიტყვის მნიშვნელობასაც ძლივს ხვდებოდნენ. ერთ სადგურზე ლიდუვინამ ფორთოხლის გამყიდველი დაინახა და იფიქრა, გამშრალ პირს გავისველებ და ხელებსაც ცოტა ავამოძრავებო. რიკარდომ ფორთოხალი გაფცქვნა და მიაწოდა, ლიდუვინამ შუაზე გახლიჩა და ნახევარი მას შესთავაზა, მეორე ნახევარს კი

ერთი ლებანი ჩამოაცალა, მერე თანამგზავრებს გადახედა და როცა დაინახა, ისინი ისევ ისე იყვნენ გართული საუბარში, მისკენ არც იხედებოდნენ, მეორე ნახევარიც საქმროს მისცა.

შემდეგ სადგურზე ისადილეს; ისევ მოწყენილები ისხდნენ; ლიდუვინამ, ჩვეულებრივ წყლის მეტს რომ არაფერს სვამდა, ახლა ერთი ჭიქა ღვინოც დალია და მეორე ფინჯანი ყავაც მოითხოვა. რიკარდო ცდილობდა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა, თუმცა ამაოდ; ნეტავი კი ისევ უკან დაბრუნება შეიძლებოდეს და ამ დღეში არ ჩავცვენილიყავითო; მაგრამ მატარებელს მიანდვეს თავი, უკან მაინც ვეღარ დაბრუნდებოდნენ, რადგან მეორე დღემდე მოუწევდათ ლოდინი, რომელ სადგურზეც უნდა ჩასულიყვნენ.

– მადლობა ღმერთს! – ამოისუნთქა ლიდუვინამ, როცა მატარებელი დათქმულ სადგურზე გაჩერდა.

მაშინვე სასტუმროს მიაშურეს, ოთახი მოითხოვეს და იმ უღიმღამო ოთხ კედელს შორის ჩაიკეტნენ.

მეორე დღეს ადრიანად ადგნენ, ორივე ამ ღამის საბედისწერო, მძიმე სევდას შეეპყრო, თვალებში აშკარა იმედგაცრუების ჩრდილი ჩასდგომოდათ, კოცნაც ვეღარ გაებედათ ერთმანეთისთვის. ისეთი გრძნობა დაეუფლათ, თითქოს სიყვარული რაღაც სხვა, არცთუ წმინდა საქციელს შესწირეს. რიკარდო გულში ერთთავად ამას იმეორებდა: „უქადაგეთ სახარებაი ესე ყოველთა დაბადებულთაო“... ლიდუვინას ფიქრი კი ისევ და ისევ დადუმებულ დედას და სახეჩამომტირალ დას დასტრიალებდა, მაგრამ ყველაზე მეტად მონასტრის კვიპაროსები, ის სევდა ენატრებოდა, საღამო ჟამს რომ შემოაწვებოდა ხოლმე გულს. ნუთუ ეს იყო სიყვარული?

ორივე რაღაც უცხო გარინდებას შეეპყრო. მაინც როგორ დაიჯერეს, რომ ეს რომანტიკული თუ გმირული გადაწყვეტილება მათ იმ მზით გასხივოსნებულ მწვერვალზე აიყვანდა, სადაც თავისუფლად ამოისუნთქავდნენ; ახლა კი სად აღმოჩნდნენ? ქვაღორღიანი, ეკალბარდებმოდებული მთის ძირას, გოლგოთისკენ მიმავალი გზა კი არა, სიმწრით სავალი გზის დასაწყისი იყო ჯერ გაუკვალავ ჯაგნარში. ამ ღამემ დააგვირგვინა ღობესთან გატარებული სევდიანი, მაგრამ უშფოთველი საღამოები. ეს იმ ძნელი ცხოვრების დასაწყისს უფრო ჰგავდა, როგორიც მთაზე ასასვლელი აღმართია, რომლის მწვერვალი ღრუბლებში იკარგება.

ყველაზე მეტად მაინც სირცხვილის გრძნობა ტანჯავდა ორივეს, თუმცა იმას ვერ ხვდებოდნენ, რატომ. არც საუზმემ გაახალისა, ლიდუვინამ საჭმელს პირიც ვერ დააკარა; რიკარდო ოთახიდან დაითხოვა, რომ ტანსაცმელი ჩაეცვა, მერე პირის დაბანას შეუდგა და იმდენჯერ წაისვა საპონი და ისე იხეხა პირისახე, ლამის სისხლი დაიდინა.

– ვერ მორჩი? – შეეხმიანა რიკარდო.

– ვერა, ცოტა კიდევ მოიცადე.

მერე საწოლის გვერდით დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო, ისე ლოცულობდა, როგორც არასდროს, უსიტყვოდ, უხმოდ; თავი განგებას მიანდო და მერე გაუღო კარი საქმროს. განა საქმროს? ნეტავი რა უნდა უწოდოს მას ამიერიდან?

სასტუმროდან ხელიხელჩაკიდებულები გავიდნენ და ალალბედზე გაუყვნენ ქუჩას. ლიდუვინას გამალებით უცემდა გული რიკარდოს მარჯვენა მკლავთან, ის კი მოუსვენრად იწიწკნიდა ულვაშს; შეშინებულები იყურებოდნენ აქეთ-იქით, ნაცნობს არავის გადავეყაროთო, მიდიოდნენ და მუხლები უკანკალებდათ, მაგრამ სასტუმროში დაბრუნებას ისევ ეს ერჩივნათ. არა, არა, ის ცივი ოთახი, ძველი ავეჯი, დაბზარული კედლები, სადაც ვინ იცის, რამდენ უცხოს გაუთენებია ღამე, მართლაც რომ ზიზღის მომგვრელი იყო ორივესთვის. მათ სმენას ერთადერთი უცხო ენაზე საუბარი თუ აამებდა, ლამის ნანასავით ელამუნებოდა. ერთხელ ქალმა ჩაუარა მოთენთილი რხევით და გზა გადაუჭრა ფოსტლების ტყაპუნით თუ სულაც ფეხშიშველმა, თან რაღაცნაირი მთვლემარე ცნობისმოყვარეობით კი შეათვალიერა; მერე იყო და, ფორანი გამოჩნდა, რომელშიც წითელი ხარები იყო შებმული და ამან მშობლიური ქალაქი და მონასტრის ჭიშკართან შეყრილი ხალხი გაახსენა მათ.

ამაოდ ეძებდნენ შვებას უცხო ქალაქში, განა რაიმე შეენაცვლებოდა ოჯახურ კერას? როცა ასე გულდამძიმებულებმა ეკლესიას ჩაუარეს, რიკარდომ მკლავთან იგრძნო, როგორ შეუფანცქალდა გული ლიდუვინას და ისინი ეკლესიაში შევიდნენ.

ლიდუვინამ შუა და საჩვენებელი თითები ნაკურთხ წყალში დაისველა და რიკარდოსაც შესთავაზა. მისი დაბინდული მზერა საქმროს ისეთივე დაბინდულ მზერას შეეფეთა. კარის ახლოს გაჩერდნენ, რიკარდო იქვე, კედელთან სკამზე ჩამოჯდა, რადგან იქ უფრო ბნელოდა, ლიდუვინამ მის გვერდით დაიჩოქა და სახე ხელისგულებს დაანდო. ტაძარში არავინ იყო, გარდა ერთი საცოდავი, თავსაფრიანი ქალისა, რომელიც ჩოქვით უვლიდა ლიტანიას, ეტყობოდა, უჭირდა მოძრაობა, უზარმაზარი მუცელი ერთიანად უთახთახებდა და ხან ერთ ფეხს დაეყრდნობოდა, ხან მეორეს; ხელში კრიალოსანი ეჭირა და ასე ტანჯვა-წვალებით მიდი-მოდიოდა საკურთხევლიდან საკურთხევლამდე. წმინდა სინათლის სვეტი პირამიდასავით აღმართულიყო შუა ეკლესიაში, სიჩუმე საამოდ ერწყმოდა ბინდს.

უეცრად რიკარდოს ლიდუვინას დახშული ქვითინი შემოესმა. იგი ტიროდა და ვეღარც მან შეიკავა ცრემლი, საცოლის გვერდით დაიჩოქა და ორივემ ასე დაიტირა დაღუპული ოცნებები.

მერე ქალაქში გავიდნენ, ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ მათ მაინც უფრო სევდიანი ეჩვენებოდათ.

– ის, რაც ჩვენ ჩავიდინეთ, ლიდუვინა... – გაბედა ხმის ამოღება რიკარდომ, ლიდუვინამ კი განაგრძო:

– ჰო, რიკარდო, შეცდომა იყო...

– საქმე ისაა, რომ ვეღარაფერს გამოვასწორებთ...

– პირიქით, ჩემო კარგო, სწორედ ახლა შეგვიძლია გამოვასწოროთ, ახლა, როცა ყველაფერს ნათელი მოეფინა...

– მართალი ხარ...

– მაგრამ მთავარი და უარესი ჯერ კიდევ წინ გველის...

– რა, ჩემო ნენა?

– ის, რომ ქალაქში ვეღარ დავბრუნდებით. რა პირით ვეჩვენო დედაჩემს ან ჩემს დას? როგორ გამოვჩნდე ქალაქში?

– აკი შენ თვითონ იტყოდი ხოლმე, მითქმა-მოთქმას ყური არ უნდა ათხოვოო...

– ჰო, მაგრამ მითქმა-მოთქმა ერთია. ეს არც დიდად მაწუხებს და არც იმდენი მნიშვნელობა აქვს...

– მაშინ, რა?..

– ის, რომ დაგვცინებენ, რიკარდო!..

– ჰოო, ეს კი მართალია!..

სასტუმროში რომ დაბრუნდნენ, კიდევ ერთხელ იჯერეს გული ტირილით, მერე რიკარდომ მოიმიზეზა, ფული უნდა გადავახურდაოო და ქუჩაში გავიდა, სინამდვილეში უნდოდა, ლიდუვინასთვის დრო და საშუალება მიეცა, რომ თავისიანებისთვის წერილი მიეწერა და თავადაც რამე ეღონა.

მეორე დღესვე შეუდგნენ მზადებას უკან დასაბრუნებლად. ლიდუვინა ჯერ იმ სოფელში უნდა ჩასულიყო, სადაც მამიდამისი, მამის და, ცხოვრობდა, რადგან ეძნელებოდა დადუმებულ დედასა და უჟმურ დასთან შეხვედრა; ხოლო რიკარდო მშობლიური ქალაქის უახლოეს სადგურზე ჩამოვიდოდა, შეღამებისას ჩუმად, ქურდულად გაივლიდა მიყრუებულ ქუჩებს და შეუმჩნევლად შეიპარებოდა მამისეულ სახლში.

უკან დაბრუნებისას კიდევ უფრო მძიმე ნაღველი შემოაწვა ორივეს. ისევ ისე გაჰყურებდნენ იმავე ვენახებს, ზეთისხილისა და ფორთოხლის ბაღებს, იმავე წისქვილებს და ბარჟებს. მშობლიური ქვეყნის საზღვარს რომ მიუახლოვდნენ, ასე ეგონათ, მთებიც კი სიყვარულით ეგებებოდნენ, თუმცა უძღები შვილებივით ბრუნდებოდნენ. მაგრამ ასეთი მაინც რა ცოდვა ჩაიდინეს! მატარებელშიც გაფაციცებული იყურებოდნენ აქეთ-იქით, ნაცნობს არავის გადავეყაროთო. სირცხვილის გრძნობა ხომ ორივეს ტანჯავდა, მაგრამ ამაზე უარესი ის იყო, რომ

სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი და იყვნენ კიდეც სასაცილონი, ასეთ ბავშვურ საქციელს თავს ვერც ერთი ვერ აპატიებდა.

როცა მატარებელი იმ სოფლის სადგურზე გაჩერდა, სადაც ლიდუვინას მამიდა ცხოვრობდა, ის უკვე მოსულიყო მათ შესახვედრად. ლიდუვინამ სიმწრით მოუჭირა რიკარდოს ხელზე ხელი:

– მომწერე, საყვარელო! – ესღა უთხრა და ჩავიდა.

რიკარდო კიდევ უფრო მოიბუზა და კუთხეში მიიყუჟა, არავინ მიცნოსო.

– მესმის, ჩემო კარგო, კარგად მესმის, მაგრამ მაინც მიჭირს დაჯერება, – უთხრა მამიდამ ლიდუვინას, როცა კარეტაში ჩასხდნენ და კარი მიიხურეს, მერე კი დასძინა, – გულახდილად გეტყვი, შენგან ასეთ სისულელეს არ ველოდი! მამაშენი, ჩემი ძმა, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ასეთი რამ ხომ არ მოხდებოდა... დარწმუნებული ვარ, არ მოხდებოდა, მაგრამ იმათ ხელში... კმარა, პატარავ, კმარა...

ლიდუვინა იჯდა ჩუმად და ცას შეჰყურებდა.

რიკარდოს ამასობაში თვალი არ მოუცილებია კარეტისთვის, სანამ გორაკზე მდგარ ეკლესიას არ მიეფარა.

როცა მატარებელი ქალაქს მიუახლოვდა, რიკარდო ადრევე ჩამოვიდა და საღამოს ბინდბუნდში მალულად დაადგა გზას სახლისკენ. მზე უკვე მონასტრის კოშკს მოჰფარებოდა და უღრუბლო ცას აფერადებდა, ზარები მლოცველებს უხმობდა; რიკარდომ ქუდი მოიხადა და სამჯერ წარმოთქვა: „და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა...“ და მერე განაგრძო: „არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევაი და ძალი და დიდებაი საუკუნეთა მიმართ უკუნისამდე. ამინ“ (მათე VI.13) – და მერე დასძინა: „წარვედი ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაი ესე ყოველთა“.

– ყეყეჩო!

მარტო ეს უთხრა მამამ, როცა დაინახა, შვილი ქურდულად აპირებდა შინ შესვლას.

5

გადიოდა დღეები, რიკარდო და ლიდუვინა ელოდებოდნენ შედეგს, რაც მათ გაქცევას, მათ თავგადასავალს უნდა მოჰყოლოდა; გავიდა თვეებიც. პირველ ხანებში რამდენიმე წერილით მოიკითხეს ერთმანეთი; ამ წერილებში ჩივილიც ისმოდა და საყვედურიც; ლიდუვინას წერილები უფრო გონივრული იყო და დასაჯერებელიც.

„ჩემო რიკარდო, ამაოდ ირჯები, თუ გინდა ამიხსნა შენი გრძნობები და განცდები; თავადაც მშვენივრად ვხვდები და შენი მჭევრმეტყველება ვერ მომატყუებს. სიმართლე ის არის, რომ აღარ გიყვარვარ და მგონია, არც არასდროს გყვარებივარ,

ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც მე მიყვარდი და ახლაც მიყვარხარ; შენ კი რაღაც გზებს ეძებ, რომ ეგ შენი ვითომ შეუბღალავი ღირსება აღიდგინო და სიყვარული არც გაგონდება. დამიჯერე, მოეშვი მაგ ღირსებაზე ზრუნვას. თავად მე ამ მხრივ ძალიან მშვიდად გახლავარ და არც ვთვალთმაქცობ. თუ შენ ისე არ გიყვარვარ, როგორც მე მიყვარხარ, მთელი ჩემი სულითა და ხორცით, მარტო იმიტომ ნურც იქორწინებ ჩემზე, რაც ჩვენ შორის მოხდა, არ მინდა ასეთი მსხვერპლი გაიღო; მიჰყევი მაგ შენს მოწოდებას, მე კი ჩემს თავს თავად მივხედავ, მაგრამ იცოდე, ვფიცავ, ან შენი გავხდები, ან არავისი. ოღონდ თუ შემხვდა კაცი, სულელი იქნება თუ სულგრძელი, და ჩემზე დაქორწინებას მაინც მოინდომებს იმის მიუხედავად, რაც ჩვენ შორის მოხდა ჩვენი ბავშვური საქციელის გამო, სულერთია, მე არ დავთანხმდები. მოსახდენი მოხდება. კარგად დაფიქრდი, სანამ რამეს მოიმოქმედებ!“

რიკარდოს გული ქარიშხალში აბორგებული ტბასავით შფოთავდა. ძილი და მოსვენება სულ დაკარგა; სიცოცხლის ხალისიც კი აღარ ჰქონდა. ისევ მიუბრუნდა მისტიკოსებსა და ასკეტებს, სწავლობდა აპოლომენებსაც; მისი ღვთისმოსაობა ლამის ცრურწმენაშიც გადაიზარდა. ხანდახან აიკვიატებდა, ზარი ექვსჯერ რომ დარეკავს, თუ ამასობაში ორი ქუჩის გადაღმა გზაჯვარედინამდე ვერ მივალ, დავდგები და სულს განვუტევებო. ძალიან წუხდა, ბედს ვერა და ვერ შერიგებოდა; ამდენი ხნის სასიყვარულო ურთიერთობა, ის სასაცილო გაპარვა, სულ ეშმაკის ოინებად, ცდუნებად მიაჩნდა, რათა ცაში გადაწყვეტილი მისი ბედი არ აღსრულებულიყო და ის წინასწარმეტყველება, ანაზდად გადაშლილ სახარებაში რომ ამოიკითხა, არ გაემართლებინა. მაგრამ ლიდუვინა... ნუთუ მათი გზები სამუდამოდ გაიყრებოდა? ნუთუ მათი ბედი ვეღარასოდეს დაუკავშირდებოდა ერთმანეთს? აკი წერილი გვარწმუნებს, „რომელნი იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენო“. (მათე 18.6). მაგრამ ხომ არიან აბ ატენეო დაკავშირებულნი, ისინი, ვისი კეთილდღეობაც სულაც არ არის იმაზე დამოკიდებული, თუ მთელ დუნიაზე არ იქადაგებს სახარებას! ნუთუ არ შეიძლება იქადაგოს და ამავე დროს ლიდუვინასთანაც დარჩეს? განა მცნება იმას გვასწავლის, რომ უარი ვთქვათ და არ ვცადოთ გამოსწორება იმისი, რაც გამოსასწორებელია? მაგრამ, მეორე მხრივ, ქორწინება და უსიყვარულოდ?.. თუმცა ისიც ხომ ნათქვამია, სიყვარული მერე მოდისო; ურთიერთობა, თანაცხოვრება, თანაზიარობა, სიყვარულის სურვილი!.. და მაინც, არა, არა!.. იმ უცხო ქალაქში განცდილიც საკმარისი იყო... და რიკარდოს თვალწინ წარმოუდგა ის მოხუცი ქალი, ჩოქვით რომ უვლიდა გარს ეკლესიას და დიდის გაჭირვებით ზიდავდა უზარმაზარ მუცელს. ნეტავ რა ბედი ეწევა ლიდუვინას? ნუთუ მათი გზები აღარ შეიყრება?! ის გაქცევაც ეშმაკმა მოუწყო, აცდუნა, მაგრამ დროზე მოუსწრო უფალმაც და ორივეს დაანახვა ჭეშმარიტების გზა.

რიკარდოს გულში ჩარჩა მამის სიტყვები, შინ დაბრუნებულს რომ უთხრა: „ყეყეჩო! ასეთი მაინც რა ყეყეჩი ყოფილხარ! მეც ხომ ქვეყნის სასაცილო გამხადე, შენზე რომ აღარაფერი ვთქვათ! თავის დროზე მაინც გაგეფრთხილებინე, თუ ამას აპირებდი! რას იტყვის ხალხი, ტირანი ყოფილა, თუ საკუთარი შვილის ბედნიერებას წინ

გადაეღობაო... ყეყეჩი ყოფილხარ და ყეყეჩზე უარესიც! თუ დედამისიც წინააღმდეგი იქნებოდა, რა უჭირდა, სადმე სანატორიუმში რომ წაგეყვანათ სამკურნალოდ; ახლა ხალხის თვალში მეც შერცხვენილი გამოვედი და მისიანებიც!..“

რიკარდოც ამას ფიქრობდა. მართლაც რომ სასაცილო დღეში ჩაიგდო თავი იმ გაპარვის გამო. ამდენმა ფიქრმა კი იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ბოლოს გადაწყვიტა, მშობლიური ქალაქიდან სულ გადავიხვეწებიო და წავიდა კიდეც იმ ქალაქში, სადაც ბიძამისი ცხოვრობდა თავისი ოჯახით. იმ ქალაქს გარს მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული და ადამიანს მართლაც შეეძლო იქ სულით ლამის ზეცამდე ამაღლებულიყო; რიკარდოც კიდევ უფრო მეტი მონდომებით შეუდგა მისტიკოსების კითხვას; საათობით იჯდა ხოლმე იდუმალებით მოცული ტაძრის აბსიდის ძირას და ფიქრობდა; მთლიანად ნებდებოდა ოცნებას, ხან მოციქულად წარმოიდგენდა თავს, ხან ახალი დროის რწმენისა და ქველობის წინამორბედად, ხანაც პავლედ, ხან მეორე წმინდა ავგუსტინედ ან ბერნარდად თუ ვისენტედ, ვითომ წინ მიუძღოდა რწმენასა და ნუგეშმოწყურებულ ხალხს, კაცებისა და ქალების მთელ ჯამაათს, რომელთა შორის იყო ლიდუვინაც; ზოგჯერ ისიც კი ეზმანებოდა, ვითომ საკურთხეველთან იდგა და კითხულობდა ლეგენდებს, ვინმე ღვთივშთაგონებულ კაცს რომ შეეთხზა მის შესახებ და ამ ლეგენდებში ლიდუვინაც მოიხსენიებოდა, მასაც ექნებოდა თავისი ადგილი, საგანგებოდ მისთვის განკუთვნილი.

მათი მიწერ-მოწერა კვლავაც გრძელდებოდა, ეგ არის, რიკარდოს წერილები უფრო ქადაგებას მოაგონებდა კაცს, ვიდრე სიყვარულისა და მონანიების აღიარებას.

„მომისმინე, ჩემო რიკარდო, სულ ტყუილად ირჯები, თუ გინდა გულისხმაში ჩამაგდო, – პასუხობდა ლიდუვინა, – მგონია, არც ისე უგუნურად მიგაჩნივარ, სიტყვების ასეთი კორიანტელი მჭირდებოდეს, რომ მიმახვედრო, ამით რისი თქმა გინდა. რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, არასოდეს გადაგეღობები შენი ბედის გზაზე, თუკი ასე გწამს და გჯერა-მეთქი. თავადაც კარგად ვიცი, რა ვქნა და რა გზას დავადგე, მაგრამ იმასაც გეტყვი, ან შენი ვიქნები, ან არავისი!“

რიკარდოს სულს უმწარებდა იმაზე ფიქრი, რომ ლიდუვინასთვის გამოსათხოვარი წერილი უნდა მიეწერა, თან ეგონა და თავსაც აჯერებდა, ასე სინდისსაც დავიმშვიდებ და ჩემსას მაინც მივაღწევო. ერთ დილასაც, წმინდა ზიარების მერე კიდეც დაწერა, მაგრამ ლიდუვინას პასუხი რომ მიიღო, ისეთი სიმხდალე და სულმოკლეობა გამოიჩინა, რომ არც კი წაიკითხა, ისე გადაუძახა ცეცხლში; თუმცა იმავ წუთს ინანა, გამწარებული ცდილობდა გადაერჩინა და წაეკითხა, რას სწერდა, რას ჩიოდა მისი მეუღლე. დიახ, მეუღლე, სწორედ მეუღლე უნდა ეწოდებინა მისთვის, დიახ, მისთვის მსხვერპლად შეწირული მეუღლე, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა და უფალი ღმერთიც ვეღარაფერს გააწყობდა; ეგებ ორივესთვის ასე სჯობდა კიდეც, ისინი ხომ სულიერად მაინც შეუღლებული იყვნენ, თუნდაც აღარასოდეს ენახათ ერთმანეთი, აღარაფერი გაეგოთ ერთმანეთზე, აღარასოდეს შეყრილიყო მათი გზები, სულერთია,

ლიდუვინა მაინც დარჩებოდა მისთვის ისეთი, როგორიც იყო ბეატრიჩე, შთაგონების წყარო.

რიკარდო თავის ოთახში განმარტოვდა, დაიჩოქა და ცრემლებით დანამა სახარება, მისი ბედის მაცნე.

6

მორჩილი ძმა რიკარდოს ცხოვრების წესმა თვით მონასტრის მოძღვარიც კი შეაშფოთა, იმდენად თავდაუზოგავად მსახურებდა ქადაგების, აღსარებისა თუ განმარტოების დროს, მაგრამ ყველაზე მეტად მისი მეცადინეობა აკვირვებდა ყველას. არა, ეს არ იყო ბუნებრივი, თითქოს ეშმაკეული სასოწარკვეთილება უფრო წააქეზებდა, ვიდრე უფლის ნეტარი რწმენა და მისი ძის, ღმერთკაცისა; იმასაც ამბობდნენ, ასეთი გამწარებით იმიტომ მიილტვის იმ თავისი აკვიატებული მოწოდების აღსასრულებლად, რომ თავადაც არ სჯერაო, ანდა სულაც იმას ცდილობს, ყოვლისშემძლეს რაიმე დასცინცლოსო. წმინდა წერილში კი ნათქვამია, მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო, მაგრამ ძმა რიკარდოს ასეთ სიშმაგეში სახარებისეული მოთმინების ნიშანწყალიც არ ჩანდა. აღსარებაც მისი მიწიერი სიყვარულის, მისი თავგადასავლის გამო მონანიება იყო. ნათქვამია, თუ ქორწინება ცოდვაზეა აგებული, კეთილი ბოლო არ ექნებაო. იგი ლოცულობდა ლიდუვინასი და საკუთარი ბედისათვის, რამეთუ სჯეროდა, მათი ბედი განუყრელად იყო დაკავშირებული. ის საბედისწერო გაქცევა რომ არა, ეგებ კიდეც დაქორწინებულიყვნენ და მაშინ კი ასცდებოდნენ იმ ხვედრს, ცაში რომ იყო გადაწყვეტილი.

მისი ლოცვებიც დაუცხრომელი და ბობოქარი იყო. ღმერთს სულ იმას ევედრებოდა, მიეცა მისთვის სიმშვიდე, შთაგონება და ყველაზე უწინ რწმენა.

იგი კითხულობდა წმინდა მამებს, კემპისს, მისტიკოსებს, აპოლოგეტებს და ყველაზე გულმოდგინედ – წმინდა ავგუსტინეს „აღსარებას“. ზოგჯერ თავსაც კი წარმოიდგენდა წმინდა ავგუსტინედ, რამეთუ აფრიკელის მსგავსად მანაც განიცადა ხორციელი ვნება და მიწიერი, ადამიანური სიყვარული. მისი მოსაგრე ძმები, სხვა მორჩილები, თან შიშით უყურებდნენ მას და თანაც შურით, იმ ნაღველნარევი შურით, ფარული სენივით რომაა მოდებული მონასტრებში; მათ ეჩვენებოდათ, რომ ძმა რიკარდო მარტო იმას ცდილობდა, გამორჩეული ყოფილიყო და სხვები გულში კიდეც სძულდა; ეს კი მართალი იყო. ნამდვილად დიდი მოთმინება მართებდა რიკარდოს, რომ იმ თავისი მოსაგრე მორჩილთა მიამიტობის, თვითკმაყოფილებისა და ბევრი მათგანის უმეცრებისა და მოუქნელობისათვის გაეძლო; თუმცა მათ შორის უკეთესებსაც თავს არიდებდა, უფრო ალალებსა და უბრალოებს, ისინიც სულელებად მიაჩნდა; რატომღაც ცბიერნი უფრო იზიდავდა; ისიც აწუხებდა, როცა ხედავდა, უმეტესობამ ისიც კი არ იცოდა, რისთვის მივიდნენ მონასტერში; ზოგი თურმე მშობლებმა მიიყვანეს ჯერ ისევ ბავშვები, ოღონდ კი მათ ბედ-იღბალზე ზრუნვა თავიდან აეცილებინათ, ზოგმაც თავდაპირველად დარაჯად თუ მსახურად დაიწყო

მუშაობა, სხვები სიყმაწვილის გატაცებებს ანდა პოეტურ ხილვებს ეცდუნებინა. თითქმის არავინ არაფერი იცოდა იმ სამყაროსი, რომელზეც ისე ლაპარაკობდნენ, როგორც რაიმე შორეულსა და იდუმალზე. რიკარდოს თანაგრძნობით ეღიმებოდა ხოლმე, მათ გულუბრყვილო მსჯელობას რომ უსმენდა ხორციელ ცდუნებასა და ცოდვის სიტკბოებაზე, ეშმაკეულ ცდუნებად მიაჩნდათ ის, რაც რიკარდომ კარგად იცოდა, რა სისულელე იყო; მათ კი არაფერი გაეგებოდათ ამქვეყნიური სიყვარულის ამაოებისა.

რაკი მორჩილებს შორისაც გავრცელდა ხმა ძმა რიკარდოს საიდუმლო თავგადასავლის შესახებ, რაც მონასტერში მისი მოსვლის მიზეზი გამხდარიყო, ხანდახან სიტყვასაც გადაუკრავდნენ ხოლმე, მაგრამ როცა ის ქედმაღლური ღიმილით მიახვედრებდა, ვითომ ეშმაკეულის, ამქვეყნიურისა თუ ხორციელის ასე გაზვიადება არც ღირსო, ისინი პასუხობდნენ: – ცხადია, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ჩვენთან შედარებით აკი მეტი გამოცდილება გაქვთო...

ეს კიდეც აამებდა მის პატივმოყვარეობას, მაგრამ თუ პირდაპირ მიანიშნებდნენ მისი სიყვარულისა და ლიდუვინასთან ერთად მისი გაქცევის თაობაზე, ეს უკვე აბრაზებდა და ფიქრობდა, ვერც მონასტრის მაღალი გალავანი, ვერც თანამოსაგრეთა მიამიტობა ვერ უშველიდა, რომ მისი სასაცილო მდგომარეობა სალაპარაკო და საქილიკო არ გამხდარიყო აქაც და მშობლიურ ქალაქშიც.

მორჩილთა მოძღვარმაც ვერა და ვერ ირწმუნა ძმა რიკარდოს ესოდენი გულმოდგინება. მამა პრიორთან საუბრისას ესეც კი თქვა:

– მამაო, თუ დამიჯერებთ, ვერაფერი გამიგია ამ ჩვენი ძმა რიკარდოსი. აქ საკმაოდ ჩამოყალიბებული მოვიდა და საკმაოდ თავისებური ჩვევებიც მოჰყვა; თითქოს სულ რაღაცას ჩქმალავს. ცხადია, სრულიად განსხვავდება იმათგან, ვინც სულითა და ხორცითაა გადაგებული თავის მოვალეობაზე; ის კი მარტო საკუთარი თავის წარმოჩენაზე ზრუნავს, ამასთან, დარწმუნებულია, რომ სხვებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს და თავისი თანამოსაგრეები სძულს კიდეც. თითქოს უკეთურება უფრო იზიდავს, ვიდრე მადლიანი უბრალოება; ერთხელ ჩემთანაც კი აღიარა, სულელი ბოროტზე უარესიაო. რჩეული წმინდანები, რა მკაცრებიც უნდა იყვნენ, მასში უფრო მეტ აღფრთოვანებას იწვევენ, თუმცა ვეჭვობ, მათ მიბაძვას ცდილობდეს, თანაც, ჩემი აზრით, ეს ლიტერატურიდან მოჰყვება. მგონი, ნეტარი ენრიკე სუსონი მისი ყველაზე დიდი გატაცება უნდა იყოს, თუმცა ალბათ ეს მჭევრმეტყველებაში გაწაფვისთვის უფრო სჭირდება.

– მჭევრმეტყველებაში გაწაფვისთვის და ისიც სუსონი?.. – შესძახა მამა პრიორმა, რომელიც მთელ იმ მხარეში დიდი მჭევრმეტყველის სახელით იყო ცნობილი.

– დიახ, ჩვენს ძმას რიკარდოსაც სწორედ მჭევრმეტყველად მოაქვს თავი და თავისი ნიჭის გამოვლენის საუკეთესო საშუალებაც მჭევრმეტყველება ჰგონია; თანაც

ვფიქრობ, სავონაროლას, მონსაბრესა და ლაკორდერის დროებაზე ოცნებობს. ვინ იცის, ეგებ მეტზეც!.. მერე კიდევ, მისი ვითომ სახარებისეული გამოცხადებაც არ უნდა დაგვავიწყდეს, აკი აქედან დაიწყო მისი აკვიატებაც – „წარვედი ყოველსა სოფელსაო“... თუმცა სახარება იმდენად არ შთააგონებს, რამდენადაც ქადაგება...

– მამა პედრო! მამა პედრო! – შესძახა მამა პრიორმა საყვედურით.

– ეეჰ, მამა ლუის, ხომ არ გავიწყდებათ, რომ ამისთანა რამეებში საკმაოდ გამობრძმედილი გახლავარ!.. რამდენ მორჩილს გაუვლია ჩემს ხელში... ესეც არ იყოს, ამგვარი ფსიქოლოგიური დაკვირვებები ყოველთვის მიტაცებდა და მეტისმეტადაც მიტაცებდა...

– ჰმ!.. ჰმ!.. მეც რაღაც-რაღაცებს კი ვხვდებოდი...

– ჰო, გასაგებია, მამა პრიორ, მაგრამ ასეთი რაღაც-რაღაცები მეც კარგად მომეხსენება, ეს მოწოდებებია თუ ზეშთაგონება... ხოლო რაც შეეხება ამ ყმაწვილს, ღმერთმა ინებოს, ვცდებოდე, მაგრამ უფრო წინასწარმეტყველებაზე მიგვანიშნებს, ვიდრე ზეშთაგონებაზე, ანდა შეიძლება სულაც უფრო მეტზეც...

– რაო, რაო? მამა მოძღვარო, ეს რაღას ნიშნავს, რისი თქმა გინდათ?

– ვთქვათ თუნდაც... ეპისკოპოსობაზე...

– ასე გგონია?

– რატომაც არა! ეს ყმაწვილი სულის სიღრმეში დიდი თავკერძაც უნდა იყოს... თუნდაც ის, რაც ჩაიდინა... ერთი სიტყვით, ის საბრალო გოგონა რომ შეაცდინა, განა ეს თავკერძობა არ იყო? მერე კი აქ რომ გამოგვეცხადა, ვითომ იმედგაცრუებული თუ მეოცნებე, ან სულაც თავის მოწონების მიზნით... ვინ იცის, კიდევ რა უდევს გულში...

– თავის მოწონება და ისიც ბერის ანაფორით? – შესძახა მამა პრიორმა და ისე გულიანად გაიცინა, რომ მთელი თავისი ლამაზი კბილები გამოაჩინა, – თავის მოწონება და ისიც ბერის ანაფორით? დიდება შენდა უფალო, რას არ იტყვით, მამა პედრო!

– დიახ, თავის მოწონება ბერის ანაფორით, ვთქვი და არც გადავთქვამ; არც თქვენ, მამა ლუის, და არც მე აკი ამით არ ვიწონებთ თავს, მაგრამ ახლანდელ დროში და მით უმეტეს, ჩვენი მორჩილი ძმა რიკარდოსთანა კაცისთვის ბერის ანაფორა ეგებ ერთგვარი გამოწვევაც კი იყოს საზოგადოებისთვის, ამისთანა ვითომ რომანტიკული და გამორჩეული კაცის მხრიდან. ესეც არ იყოს, პატივმოყვარეობა...

– პატივმოყვარეობა?

– დიახ, პატივმოყვარეობა, პირობები, მდგომარეობა, პატივი და სახელი, – მონასტრით უფრო ადვილი მოსაპოვებელია, ვიდრე სხვა გზებით... დარწმუნებული

ვარ, ეს ყმაწვილი ძალიან შორს იყურება... ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ... თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი არც პირველია და არც უკანასკნელი, იმედგაცრუებასა და რელიგიურობას რომაა ამოფარებული და სინამდვილეში თეატრალობისკენაა მიდრეკილი; ამას არ უარვყოფ, ან როგორ უნდა უარვყო ის, რამაც იგი აქ, მონასტერში მოიყვანა. თქვენ თუ გახსოვთ, მამაო, ძმა როდრიგო კარმელიტი, არისტოკრატთა სალონებში რომ გაითქვა სახელი თავისი მსახიობური ნიჭით, მაგრამ სცენაზე კი არ დარჩა, ბოლოს მაინც მონასტერს მიაშურა...

– როგორ არა, ახლა მონასტერიც დაუტოვებია და გავიგე, ახალი რელიგიის შექმნას აპირებსო.

– ყოველთვის კომიკოსი იყო! ამ ჩვენს ძმა რიკარდოშიც ხომ კომიკოსი ზის, ოღონდ ეგ არის, იმედი აქვს, რომ მთავარ როლს ითამაშებს და ეგებ მიტრასაც გამოჰკრას ხელი, ან კიდევ, ვინ იცის... მისი ოცნებები შეიძლება კიდევ უფრო შორს მიდის...

– რაო, რაო? თქვით ბარემ, მამაო, თქვით!

– არა, არაფერი, არაფერი! მგონი, ეს უკვე ჭორაობა გამოდის...

– მე უკვე კარგა ხანია ასეც მეჩვენება!

– მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მამა პრიორო, ვფიქრობ, ჩემი ვალი იყო ეს ცნობები თქვენთვის მომეწოდებინა. თვითონ ყმაწვილი დარწმუნებულია, რომ ჩვენი სამოსელი ძალიან დამშვენდება, ის კი არა, იმასაც ვეჭვობ, თავი ლამაზი და მოხდენილიც ჰგონია და ოცნებებით უკვე წარმოიდგენს თავს, საკურთხეველთან თეთრ სამოსელში გამოწყობილი რარიგად გაბრწყინდება.

– მაინც რა ვერაგი ვინმე ბრძანდებით, მამა პედრო!..

„ბებერი მელა, მამა პედრო, ბებერი მელა... – რომელიც ვერასოდეს ეღირსება ეპისკოპოსობას!“ – გაიფიქრა მამა პრიორმა, თავადაც რომ დაემშვიდობა ამაზე ოცნებას.

7

საბრალო ლიდუვინას მამა პრიორისა და მორჩილთა მოძღვრის საუბარი რომ მოესმინა!..

თუმცა რა იმედი უნდა ჰქონოდა ლიდუვინას რიკარდოსი მას შემდეგ, რაც თავადაც მონასტერს შეაფარა თავი და ცრემლდაშრეტილმა და გულდაცარიელებულმა თავადაც მონასტერში დაასამარა თავისი ყმაწვილქალობა. თავდაპირველად იმ მონასტერში უნდოდა შესვლა, სადაც მოწაფეებს შემპარავად, მაგრამ მაინც შთააგონებდნენ მამაკაცებისადმი ზიზღსა და სიძულვილს, რასაც უკვე გრძნობდა კიდეც იმ მართლაცდა მშიშარა და თავკერძა მამაკაცების მიმართ; მაშინ რატომ უნდა გადაეხსნა გული მათ წინაშე და გაშიშვლებულიყო, რატომ გაემწვავებინა ტკივილი

შურისძიების გამო? არა, ისევ იმ ორდენში ერჩივნა შესვლა, სადაც მჭევრმეტყველებას, განდგომილებას, დუმილს, მონანიებასა და ლოცვებს ჰქონდა უპირატესობა, ასე უფრო იგრძნობდა შვებას. გარე სამყაროს ექო მაინც აღწევდა იქამდე და სიყვარული გაუადვილებდა სიკვდილის მოლოდინს.

და ასე გაემგზავრა ლიდუვინაც შორეულ, მიყრუებულ ქალაქ ტოლვიედრაში, მთაგორიან მხარეში და იქ ბენედიქტელთა ძველთაძველ მონასტერში, ოთხ კედელს შორის გამოიმწყვდია თავი. ბაღში კვიპაროსიც იდგა, მისი მშობლიური ქალაქის ურსულელთა მონასტრის კვიპაროსის ნამდვილი ასლი, მისი ყმაწვილქალობის მოგონება და როცა ამ ქუფრი ხის ქვეშ იჯდა ხოლმე და გაჰყურებდა ცეცხლისფრად ჩამავალ მზეს, ახსენდებოდა ადრინდელი საღამოები, უცნაურ შვებას ჰგვრიდა ეს სევდიანი ბაღი, სადაც ბოსტნეული მოჰყავდათ, აქა-იქ კი ჩამომჭკნარი ყვავილებიც მოჩანდა, რომელთაც მხოლოდ ის რწყავდა. ეს სევდიანი ბაღი, ბუნების ეს პატარა ნაგლეჯი, მასავით ამ მაღალ კედლებს შორის გამომწყვდეული, ასევე მონასტრის ტყვე იყო, აქედან სხვა სამყარო არ ჩანდა, ეგ არის, ცას ეს ღობე და კედლები ვერ მალავდა. ცის ლაჟვარდზე სწრაფად დაცურავდნენ ღრუბლის ქულები და ჩრდილს უწყალობებდნენ, ხანდახან მტრედიც გადაიფრენდა თეთრი ფრთების ტყლაშუნით, როცა თავისი თბილი ბუდისკენ მიეშურებოდა. როცა წვიმა თავის მსუბუქ, შავ მანტიას გადააფარებდა აქაურობას, მონასტერიც და მის მიღმა მიწაც ერთნაირად სველდებოდა. ღამღამობით ლიდუვინა თავის შავ თვალებს მიაპყრობდა ვარსკვლავებსა და ნახევარმთვარეს, პატარა გემივით რომ მიცურავდა ღრუბლებს შორის; დღისით კედლებს გადაღმა ხალხი მიდი-მოდიოდა და მათი ხმა შიგნითაც აღწევდა, ზოგჯერ გიტარის ხმასაც გაიგონებდა; მერე ამ სხვა სამყაროს ექოს მოჰყვებოდა მოგონებები, თვალწინ წარმოუდგებოდა ის მოხუცი ქალიც, ჩოქვით რომ უვლიდა ლიტანიას, კრიალოსანი რომ ჩაებღუჯა და ძლივძლივობით ეზიდებოდა უზარმაზარ მუცელს; ახსენდებოდა კიდევ ის განმარტოებული ცრემლების ტაძარი, საბედისწერო მგზავრობა მატარებლით, მდინარე, ავდრისაგან ამღვრეულ წყალს რომ მიაქანებდა ნაძვების, ზეთისხილისა და ფორთოხლის ხეებს შორის. ის ქალაქი ცოდვის ქალაქად ესახებოდა. ცოდვის? იყო კი ის ნამდვილად ცოდვა? ნუთუ ისაა ცოდვა, ასე მიმზიდველ ფერებში რომ ხატავენ ხოლმე?!. თუმცა ცოდვა ხომ იგივეა, რაც ცნობისმოყვარეობა და მეტი არც არაფერი. აკი სწორედ ცნობისმოყვარეობამ, ცოდნის წყურვილმა უბიძგა ევასაც, როცა შესცოდა, ცნობისმოყვარეობის გამოა, რომ სცოდავენ მისი შვილებიც. ეგებ უკეთესის მომასწავებელიც იყოს, რიკარდომ რომ მიატოვა... ან უარესისაც... ამაზე ფიქრიც აღარ უნდოდა. კაცი ხომ თავკერძობის განსახიერებაა... მწარედ ახსენდებოდა თავისი დის უცნაური ღიმილი მონასტრის ჭიშკართან, დამშვიდობებისას რომ გადაურბინა სახეზე და უთხრა: „ეგებ აქ მაინც პოვო ბედნიერებაო“. მაინც რა უკეთურია ეს სამყარო.

მაგრამ აქაც, მონასტერშიც რომ იგივე დახვდა!.. თუმცა ესეც ხომ ამ სამყაროს ერთი პატარა ნაწილია; აქ დამკვიდრებული უსაქმურობა, ოჯახური ჩვევებისაგან მოწყვეტა, ერთფეროვანი ცხოვრება აკი უფრო ამწვავებს გრძნობებს; მონაზვნური ცხოვრების ეს

ნაღველნარევი სიმშვიდე კიდევ უფრო აღვივებს ვნებებს, უნდობლობას და შურს თესავს თანამოსაგრეთა შორის.

წელიწადში ერთხელ გალავანს გადაღმა ბავშვების რიგი ჩაივლიდა ხოლმე და ამ დღეს მონასტრის ბინადარნი, დები, დედები – დედები, საბრალონი! – მაშინვე რკინის გისოსებს მიაწყდებოდნენ, ყვავილებს აყრიდნენ, წმინდანთა მადლითაა ცხებულიო. მათთვის რომ ეთქვათ, დონ ხუან ტენორიო მკვდრეთით აღდგა და ქალაქში გამოჩნდაო, ალბათ, ასე შეშლილებივით არ გაცვივდებოდნენ მის სანახავად. ყველას თავ-თავის სენაკში საკუთარი ჩვილი იესო ჰყავდა – ლამაზი თოჯინა, რომელსაც ხდიდნენ და აცმევდნენ, ყვავილებით ამკობდნენ, ოღონდ მალულ-ფარულად, ზოგჯერ მუხლებზე დაიწვენდნენ და ცოცხალი ბავშვივით უნანავებდნენ. ერთხელ მონასტერში ეპისკოპოსის ნებართვით ერთმა ფოტოგრაფმა შეაღწია რომანული სტილის თაღის გადასაღებად. მაშინ უნდა გენახათ, რა ყოფით გამოცვივდნენ მონაზვნები, თავიანთ ჩვილ იესოსთან ერთად სურათი რომ გადაეღოთ.

– იქით გაიწიე, – ეუბნებოდა ერთი მეორეს, – ჩემი შენსას სჯობია, აბა, ერთი შეხედე, როგორი თვალები აქვს!

ლიდუვინა კი ამ დროს განზე იდგა ჩუმად, თავისთვის, და ამდენი იმედგაცრუებული დედის ყურებაზე გული ეთუთქებოდა. ნეტავი მასაც ჰყოლოდა შვილი, ნამდვილი, სისხლისა და ხორცისაგან ქმნილი ბიჭი! ვაი, რომ ის გაქცევა ასეთი უნაყოფო გამოდგა! მართალი ყოფილა რიკარდო, ამიტომაც გახდნენ სასაცილონი, რომ იმ გაპარვას შედეგი არ მოჰყვა, მაგრამ განგების ნებით რომ... „არა! ბავშვი რომ ჰყოლოდათ, ბიჭი, სიყვარულის ნაყოფი, მაშინ ეგებ სიყვარულიც ხელახლა დაბადებულიყო! – ფიქრობდა ლიდუვინა, – სიყვარული თავიდან დაიბადებოდა. არა... აღდგებოდა, რამეთუ მათ უყვარდათ ერთმანეთი, დიახ, უყვარდათ, თუმცა რიკარდო იმ თავისი თავკერძობისა და პატივმოყვარეობის გამო ამას არ აღიარებდა... შვილი რომ გასჩენოდათ, აღარც რიკარდო გასწირავდა მას თავისი მოწოდების გულისათვის, ან რა ასეთი მოწოდება ჰქონდა! ან რისკენ!.. ეეჰ, საბრალო ლიდუვინას მორჩილთა მოძღვრისთვის რომ მოესმინა!..“

და ამ ფიქრებში ლიდუვინას კვლავ თავისი პატარა ძმა გაახსენდებოდა, ცისფერთვალა, ოქროსთმიანი, მუდამ ღიმილიანი და თითქოს მისი ხმაც კი ესმოდა, თავისი სიყმაწვილის შორეთიდან რომ ეძახდა: „ინა! ინა! ინა!“ რა მალე გაქრა მისი „ინა“ იმ დილის წარმავალი სიზმრიდან! რა მალე გაქრა რიკარდოს „ნენა“! განგების ძალით ასევე მალე გაქრება და წავა ყველაფერი! მაგრამ სად? იმ სამყაროში, სადაც არ არის უკეთურობა, სიყალბე, სადაც არ იქნება დედის დუმილი, ვერ დაინახავს სახემოქუფრულ დას, საქმროს თავკერძობას, თანამოსაგრეთა შურს?!

ვინ იცის, როგორ ევედრებოდა საბრალო ლიდუვინა ქალწულ მარიამს მუხლმოდრეკილი: „დედაო, დედაო, ნუთუ ვერ შესთხოვე შენი შვილის მამას, ჩვენს ყოვლისშემძლე უფალს, ჩემთვის მოეცა შვილი, მეც მღირსებოდა დედობა რიკარდოს

შვილისა! თუმცა არა, არა!.. მომიტევე!“ – და იგი ცრემლად იღვრებოდა, რამეთუ გულით სწადდა, შერიგებოდა თავის ხვედრს, მონასტრის კედლებში სამუდამო ტყვეობას. ესღა ასაზრდოებდა მის სევდას, იმ უკურნებელ სევდას, რაც ალბათ სამარის კარამდე გაჰყვებოდა; ამიტომ განიცდიდა ასე მწვავედ თანამოსაგრე მონაზვნების ბავშვურ მხიარულებას, რომელთაც ალბათ მისტიკოსთა წიგნებში თუ ამოეკითხათ, ჭეშმარიტი წმინდანი გულით მხიარულიაო და თვითონაც ამიტომ ასე ბავშვური ყიჟინითა და ტაშით გამოხატავდნენ მხიარულებას; კიდევ უფრო მეტი ჟივილ-ხივილი ისმოდა ხოლმე შობის დღესასწა-უ-ლზე, იესოს შობის დღეს, წინასწარ ემზადებოდნენ და მერე თავისუფლად დანავარდობდნენ, ცეკვავდნენ, შეშლილებივით კისკისებდნენ, დაირას გამალებით უტყაპუნებდნენ და მთელ ბარს ხმაურით იკლებდნენ.

– დაო ლიდუვინა, მოდი, შენც იცეკვე!

ის კი პასუხობდა:

– არ შემიძლია, ძალიან სუსტი ფეხები მაქვს!

ისინიც თავისებურად პატივს სცემდნენ მის სევდას, თუმცა კი რაღაცას ხვდებოდნენ, მისი სევდის ნამდვილი მიზეზისა მაინც არაფერი იცოდნენ. მათ მხიარულებას ზღვარი არ უჩანდა, დროდადრო შესძახებდნენ: „დაილოცოს ჩემი იესო! რა საშურია ცხოვრება!“ და ეს იყო მათი ნეტარი ცხოვრება, მათი მხიარულება, წმინდა მხიარულების მიბაძვით გამოწვეული მხიარულება.

დღე დღეს მისდევდა, ყველა ერთნაირი და ყველა უღიმღამო. ლიდუვინას არასდროს დაავიწყდებოდა, რომ რიკარდოსთვის ელოცა, გაენათებინა მისთვის გონება და ისიც შეენდო ზენაარს.

8

ძმა რიკარდოს სახელი და მისი ქადაგების ამბავი მთელ ქვეყანას მოედო; იმასაც ამბობდნენ, ესპანეთის ოქროს საუკუნის წმინდა მჭევრმეტყველება სწორედ მან ააღორძინაო. იგი იყო ბობოქარიც და თვინიერიც, მუდამ მშვიდი კილო ჰქონდა, ზომიერი მიხრა-მოხრა, მეთოდური და ნათელი გადმოცემის უნარი, თუმცა მუდამ იგრძნობოდა შინაგანი ცეცხლი, მაგრამ ისიც მოზომილი, მისი თვინიერებაც მოზომილი იყო.

მავანნი, ვინც მის მსჯელობას შესწრებოდნენ, ვნების ნაკლებობას საყვედურობდნენ, თუმცა ისეთი უბირნიც ხომ არიან, ვისაც ვერ გაუგია, რომ გონიერება სხვა არაფერია, თუ არა ვნება. მისი ანტითეზები და პარადოქსები ზოგს გონებისმიერი ეჩვენებოდა და კი ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ წმინდა ავგუსტინე აფრიკელის ანტითეზებისა და პარადოქსების დარად, ძმა რიკარდოს ანტითეზებიცა და პარადოქსებიც ვნების ქურაში გამომწვარ-გამობრძმედილი ალმასები იყო. რაკი მის ქადაგებაში

უქმსიტყვაობის სულ მცირე მინიშნებებიც კი არ ჩანდა, ამიტომაც გაიძახოდნენ, ცივიაო და ამ დროს ცივსა და ვნების ქურაში გამოკვერილს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებდნენ, რამეთუ ძმა რიკარდოს ქადაგება ისეთი გამომშრალი და ისეთი ცხელი იყო, ვითარცა სულიერი უდაბნოს სილა; მისი პატივმოყვარეობითა და მონანიებით გაჯერებული სულიც ასევე გიზგიზებდა, მაგრამ ხანდახან ბნელიც იყო, ბნელი სხვა-თა-თვისაც და თავისთვისაც, ოღონდ იმ დროს, როცა აზრს ეძებდა.

და ასე ესაუბრებოდა იგი არა ბრბოს, მას რომ უსმენდა, არამედ თითოეულს ცალ-ცალკე, რამეთუ ისინი ქმნიდნენ ბრბოს, მისი ნაწილი იყვნენ; და ასე საუბრობდა იგი სულით სულთან.

მისი მჭევრმეტყველება თითქოს ქაოსურიც იყო, თან წყვეტილიც, მაგრამ არანაირი მიკერძოება, სულ მცირე სილოგიზმები, პარაბოლები, მეტაფორები და პარადოქსები, რასაც სახარებაშიც ვკითხულობთ ხოლმე და მოულოდნელი გადასვლები, ნამდვილი ნახტომები.

– საქმე ისაა, რომ ორატორი არ არის და მაინც გვაჯადოებს, – ამბობდნენ პედანტები.

ძმა რიკარდო ჩვეულებრივად ლაპარაკობდა ხოლმე ისეთ თემებზე, საჭირბოროტოს რომ უწოდებენ, – რწმენის უკმარისობაზე, გონებასა და რწმენას შორის ბრძოლაზე, რელიგიისა და მეცნიერების დაპირისპირებაზე, სოციალურ საკითხებზე, ღარიბებისა და მდიდრების თავკერძობასა თუ გულმოწყალების უქონლობაზე, მაგრამ ყველაზე მეტად – იმქვეყნიურ ცხოვრებაზე. ოღონდ, თუ სიყვარულზე იტყოდა, მყისვე შეატყობდით, როგორ გარდაისახებოდა.

უკვე მის ეპისკოპოსად კურთხევის თაობაზეც ალაპარაკდნენ, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ასეთი სახელი მოიხვეჭა, იმის მიუხედავად, რომ მისი უზადო ყოფაქცევა სამაგალითო გამხდარიყო, მაინც ამჩნევდნენ, რაღაც სიმძიმე, მეტად უცხო და გამოუცნობი სიმძიმე აწვა; და მაინც რომ არ სწყალობდნენ თანამოსაგრენი, ვერა და ვერ მოიგო მათი გული, მათი კეთილგანწყობა ვერ მოიპოვა, ვინც მონუსხულივით უსმენდა; ამას ყველაზე უფრო ქალები გრძნობდნენ, – მართლაც რომ მოჯადოებულებივით შესციცინებდნენ და თან ცახცახებდნენ, – რომ მისი მგზნებარე სიტყვების მიღმა რაღაც ძალზე მტკივნეული საიდუმლო იმალებოდა, ამას კი ხედავდნენ მაშინ, როცა თავის ყველაზე სანუკვარ თემაზე – სამოთხის ბაღის ტრაგედიაზე უამბობდა მათ, როცა ევამ აცდუნა ადამი, რომ ეგემა ნაყოფი ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა და მერე განდევნილ იქნენ უცოდველთა ბაღიდან და ამის მერე იყო, რომ ედემს აღმოსავლეთით ქერუბიმები და ცეცხლოვანი მახვილი იცავდნენ, რათა სიცოცხლის ხეს ვეღარავინ მიჰკარებოდა; ანდა სამსონისა და დალილას ცოდვა-ბრალის ამბავს რომ მოუთხრობდა; ყურს მიაპყრობდნენ, მაგრამ ნუგეში არ ისმოდა მის სიტყვებში, ოდენ მწარე სევდა, სიმძიმილი და უბედობა თრგუნავდა ყველას.

ზოგჯერ მის ხმაში ქვითინი და კვნესაც გაისმოდა, თითქოს მსმენელებს თანაგრძნობას შესთხოვსო, მაგრამ სწორედ მაშინ უნდა ამოგეცნოთ მისი სულის დაუოკებელი ბორგვა, თითქოს კიდეც გაიბრძოლებდა, რათა გაეგლიჯა ბორკილები და თავი გაეთავისუფლებინა, თუმცა მალევე მოეგებოდა გონს, ერთბაშად გარდაისახებოდა ისე, რომ დაუნდობელიც კი მოეჩვენებოდა კაცს. ამიტომ იტყოდნენ ხოლმე, ჩვენი საბრალობელი და შეჭირვებული სულისათვის ასეთი მშფოთვარე და დაუზოგავი წინასწარმეტყველი მეტისმეტიაო, ამ ტაძარში რომ მოვდივართ, უწინ მის წიაღში შვება და ნუგეში გვინდა ვპოვოთ, თორემ საფიქრელი და სადარდელი ისედაც არ გვაკლიაო. იგი არ უყვარდა ხალხს, არა, არ უყვარდა; ამაოდ ცდილობდა ენუგეშებინა ისინი, თუკი შეეძლო. ეს დაუდგრომელი მოციქული მარტოობისთვის იყო განწირული.

მარტოსულადაც გრძნობდა თავს და როცა სულ მარტო რჩებოდა, მაშინ თუ გამოუტყდებოდა ხოლმე ისევ საკუთარ თავს: „ასეა, ეს სასჯელი ღმერთმა იმისთვის მომივლინა, რომ ლიდუვინას ვუმუხთლე, მივატოვე და ჩემს პატივმოყვარეობას ვანაცვალე. ახლაღა მივხვდი და გავიგე; ვფიქრობდი, ქალი, ოჯახი მძიმე ტვირთად დამაწვებოდა და სახელისა თუ დიდებისაკენ მიმავალ გზას გადამიღობავდა“. მაგრამ მერე, ისევ მარტომყოფი, თვალებს დახუჭავდა, აღარ უნდოდა დაენახა შორს ლანდი ტიარისა. „ნამდვილი თავკერძა ვარ, – იტყოდა ხოლმე ასეთ დროს, – ნამდვილი თავკერძა და მეტი არაფერი, ვესწრაფოდი ამბიონს, სცენას, რაკი მჯეროდა, გარდასახვის ჩემს ნიჭს სწორედ იქ გამოვავლენდი, მაგრამ საკუთარ თავზე მეტად არასოდეს არავისზე და არაფერზე მიზრუნია“.

9

ბოლოს და ბოლოს, ის მოხდა, რაზეც რიკარდო იდუმალ ოცნებობდა, სწორედ ახლა შეეძლო, საკუთარი ნიჭისა და მოწოდებისთვის ერთი კარგი გამოცდა მოეწყო. ასე იყო თუ ისე, იგი მიიწვიეს ტოლვიედრას დედათა მონასტერში.

როცა ეს ამბავი შეიტყო, მას მერე თვალზე რული აღარ მიჰკარებია, გულმა მოსვენება დაკარგა. ღვთის წყალობით, მრევლმა, ხალხმა, ანდა, ასე ვთქვათ, საზოგადოებამ არაფერი იცოდა იმის შესახებ, რა აკავშირებდა მას ამ მონასტერთან: ეს ყველასთვის საიდუმლო იყო. ახლა კი, ახლა მაინც საკვირველ სანახაობას მოაწყობდა, ოღონდ მხოლოდ ორისთვის, მისთვის და თავისთვის. დიახ, მისთვის, თავისი ბედის ავბედითი მოზიარისთვის, ახლა გული გულს დაელაპარაკებოდა, ამ ბრბოსთვის, ამ უბირი, მონუსხული ბრბოსთვის კი ყველაფერი ისევ საიდუმლოდ დარჩებოდა; ამ დღეს მის წინაშე იტყოდა აღსარებას, იტყოდა ყველას თანდასწრებით, მაგრამ ყველასთვის მიუწვდომელსა და გამოუცნობს. ეს იქნებოდა ქრისტიანული მჭევრმეტყველების ისტორიაში აქამდე გაუგონარი გამარჯვება, თუმცა კი შეიძლება ერთადერთი და უძნელესი გამოცდაც ყოფილიყო, რაც უეჭველი გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა. ეეჰ, იმ საცოდავმა ღვთისმოსავებმა რომ იცოდნენ ამ ავბედითი,

საბედისწერო დრამის ის სცენა, რომლის გამართვასაც აპირებს!.. და ეს ჩვენი კომიკური წინასწარმეტყველი გიჟურ ნეტარებას განიცდიდა...

და ეს დღეც დადგა.

ტაძარს აურაცხელი ხალხი მიაწყდა. ერთი სული ჰქონდათ, მოესმინათ ამ სახელგანთქმული ქადაგისთვის. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ახლომახლო სოფლებიდან თუ ქალაქებიდან. საკურთხეველი ოქროსავით ელვარებდა. ჯვებირს მიღმა, ფარდის უკან გაყუჩებული ქორო მოუთმენლად ელოდა რაღაც იდუმალსა და უჩვეულოს. დროდადრო იქიდან შეკავებული ხველების ხმა თუ გაისმოდა.

ძმა რიკარდო აუჩქარებელი ნაბიჯით მივიდა ამბიონთან, ამოიღო ცხვირსახოცი და შუბლი მოიწმინდა. ანაფორის თეთრი, ფართო სახელო მყისიერად თეთრ ფრთასავით აეფარა მის სახეს; მერე თვალი მოავლო შეკრებილთ და ერთი წამით მზერა ფარდაზე შეაჩერა, სადაც ქორო ეგულებოდა; მერე დაიჩოქა და წაიკითხა „გიხაროდენ, ღვთისმშობელო“, ხელები ამბიონზე დააწყო და ზედ შუბლი დაადო; გაჩახჩახებული სანთლების შუქზე ტოზურა სულ ერთიანად ულაპლაპებდა; მერე წამოდგა; გაისმა შეკავებული ხველება, კაბების შრიალი და ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე.

რაღაც უჩვეულო ხდებოდა ქადაგის თავს, ენა ებმოდა, ბორძიკობდა, ერთსა და იმავეს იმეორებდა, ხანაც სულ ჩერდებოდა, მღელვარებას ვერ ფარავდა; თანდათან დამშვიდდა, მის ხმასა და მიხრა-მოხრას ნელ-ნელა სიმტკიცე შეემატა და მისი სიტყვებიც ცეცხლოვან მდინარესავით მოჩქეფდა.

მორწმუნენი სულგანაბულები უსმენდნენ. ტაძარში იდუმალების ტრაგიკული სული დატრიალდა, ასე გეგონებოდათ, რაღაც უჩვეულო და სასწაულებრივი რამ უნდა მომხდარიყო. იგი უკვე აღარ იყო ადამიანი, ახლა ლაპარაკობდა მხოლოდ გული და ლაპარაკობდა სიყვარულზე, ღვთაებრივ სიყვარულზე, მაგრამ უფრო ადამიანურ სიყვარულზე რომ გაფიქრებინებდათ.

ყველას, ვინც კი მას ყურს მიაპყრობდა, ისეთი გრძნობა იპყრობდა, თითქოს სულის მანამდე უცნობ სიღრმეებში იძირებოდა, რაღაც შეუცნობლის უფსკრულში ინთქმებოდა. მისი ხმა ღადარივით გიზგიზებდა. იგი უბნობდა სიყვარულზე, რომელიც გვეუფლება და გვიმორჩილებს მაშინაც კი, როცა გვგონია, რომ ის ჩვენგან შორსაა. და იტყოდა იგი:

„დაელოდეთ სიყვარულს! მხოლოდ ის გრძნობს ამას საკუთარ გულსა და გვამში, ვინც ელოდება! ჩვენ გვგონია, რომ ვეხვევით მის ლანდს, მაშინ როცა სიყვარული, უხილავი და უჩინარი, თავად გვეხვევა და გვბოჭავს, როცა გვეჩვენება, რომ იგი მოკვდა ჩვენში, აკი თურმე ჩვენ მოვმკვდარვართ მასში. და მერე იგი გაიღვიძებს და გაიღვიძებს სწორედ იმ დროს, როცა ტკივილი მოუხმობს, რამეთუ ჭეშმარიტი სიყვარულით მანამდე არ შეგვიყვარდება, სანამ შეყვარებულთა გულები ერთად არ დაინაყება ტანჯვის სანაყში. სიყვარული თანაზიარი ვნებაა, ლტოლვაა, თანაგრძნობა,

ზიარი ტკივილია. ჩვენ ვერც ვხვდებით, რომ სიყვარული გვაცოცხლებს, ისევე როგორც არასოდეს ვფიქრობთ, ჰაერით თუ ვსუნთქავთ, სანამ უჰაერობით სული არ შეგვეხუთება. დაელოდეთ სიყვარულს! დაელოდეთ სიყვარულს, რამეთუ მას მხოლოდ ის უხმობს, ვინც უკვე გრძნობს მას საკუთარ გულში, საკუთარ სისხლში, თუმცა თავად ეგებ ვერც ხვდება. ის იმ წყალსა ჰგავს, მიწის ქვეშ რომ მიედინება და გვალვას სიცოცხლისკენ მოაბრუნებს. ზოგჯერ ისეთ დაუცხრომელ წყურვილს ვგრძნობ, როგორსაც მინდორი ხვატისაგან გადაბუგული, როცა მწველი სიცხისა და ალმურისაგან მოშუშული ფოთლები მიწას ეფინება, მიწის ქვეშ კი, იმავ მინდვრის ქვეშ, სიღრმეში, მომაკვდავი სიმწვანის ქვეშ, მიედინება მაცოცხლებელი წყალი, მირაკრაკებს ქვებსა და ლოდებს შორის, უერთდება გამხმარი ფოთლების შრიალს მისი ბუტბუტი და მერე დგება წამი, როცა მოწყურებული, გამომშრალი მიწა გაიპობა და მის ზედაპირზე ამოხეთქავს მანამდე თვალით უნახავი წყალი, ჩუხჩუხით გადაედინება ყოველ მხარეს და სიცოცხლეს დაუბრუნებს მთელ არემარეს.

ასეა სიყვარულიც.

ჩემო დებო და ძმებო, ეს თავკერძობა არ არის განა, შმაგი სიყვარული არ არის განა საკუთარი თავის, თვალებს რომ გვიხვევს და თავგზას გვიბნევს, ოღონდ კი არ დავინახოთ სიყვარული მაშინაც კი, როცა გარს გვივლის, ოღონდ არ ვიგრძნოთ იგი. ჩვენ ხომ სულ იმის ცდაში ვართ, რაიმე დავცინცლოთ მას, მთლიანად კი არ მივეცემით, არ დავყვებით; აკი ის ჩვენგან მარტო იმას ელოდება, რომ მივენდოთ, დავნებდეთ მთლიანად და დაუნანებლად; ჩვენ კი ამ დროს მისი დამორჩილება გვინდა, რომ ჩვენს გიჟურ სურვილებზე იაროს, აჰყვეს ჩვენს სწრაფვასა და სრბოლას დიდებისაკენ. ასეა, სიყვარულს, გაადამიანურებულსა და განსხეულებულს, სურს, მას ვეკუთვნოდეთ მთლიანად და განუყოფლად, მხოლოდ მისი ვიყოთ. მერედა რა მალე დავიხევთ ხოლმე უკან, აღმართის ძირშივე ვჩერდებით! მაგრამ რატომ? ყველაზე უფრო სავალალო მიზეზის გამო, – დიახ, სულ უბრალო მიზეზის გამო! – გვეშინია, ჩემო დებო და ძმებო! შიში გვჯაბნის!.. რა უგუნური, რა თავკერძა და სულმოკლეა ადამიანი!.. მომიტევეთ!..“

ეს სიტყვები ლამის ყვირილით წარმოთქვა, თითქოს სულის სიღრმიდან აღმოხდა. და თუ აქამდე ძმა რიკარდოს ხმა ცეცხლის მდინარესავით მოედინებოდა და ღვთისმოსავთა დუმილს თავს დაჰფოფინებდა, უეცრად გულისგამგმირავმა ქვითინმა გაბზარა და გაარღვია ჯებირის მიღმა, ფარდის მხრიდან რომ გაისმა. და ამ ორის სულის კივილი ერთმანეთს შეეჯახა და შეერწყა ისე, რომ საკურთხეველზე სანთლებიც კი აცახცახდნენ. ძმა რიკარდოს მკვდრისფერი დაედო, სანთელივით გაფითრდა, მერე ერთბაშად აენთო, ალმური მოედო, სივრცეს მიაპყრო მზერა და უეცრად თავი მკერდზე ჩამოუვარდა, სახეზე აცახცახებული ხელები აიფარა, თეთრი, ფართო სახელოებიც კი ვერ ფარავდა მის მღელვარებას; იგი ტიროდა, მისი დახშული ქვითინი შეუერთდა კიდევ უფრო დახშულ ქვითინს ჯებირს მიღმა, ფარდის უკან რომ ისმოდა. ერთ წამში გაოგნებული ხალხის დუმილი თითქოს შეგუბდა, შედედდა

და აშკარად და ცხადად გაიგონა და დაინახა ყველამ... ქადაგი მუხლებზე დაეცა. ამის შემხედვარე ხალხი ნელ-ნელა დაიშალა, წავიდ-წამოვიდა.

მთელი იმ დღეებისა და თვეების განმავლობაში, ტოლვიედრაში და მთელ იმ მხარეში ხალხს მეტი სალაპარაკო არ ჰქონდა, ყველა მხოლოდ ამ ამბავს იგონებდა, ხოლო ვინც თვითონ შეესწრო და საკუთარი თვალით იხილა, რაც მოხდა, საკუთარი ყურით მოისმინა, მთელი სიცოცხლე ახსოვდა, ან რა დაავიწყებდა.

ყველამ, დამსწრემ თუ მსმენელმა, იგრძნო, რომ იმ წუთებში, იმ იდუმალი აზავთების წუთებში, ქადაგი რაღაც უცნაური გამოცანებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტი მინიშნებებით ლაპარაკობდა; მოგვიანებით მიზეზი რომ გაიგეს, მერეღა მიხვდნენ, რაც იგულისხმებოდა იმ სიტყვებში, როცა მიწისქვეშა წყაროზე, ცეცხლზე ლაპარაკობდა, როცა ამბობდა, ბოლოს მიწა გაიპობა და ამოხეთქავს მაცოცხლებელი წყალი და ამ ცეცხლს შეუერთდებაო. მერე და მერე ღრმად რომ ჩაუფიქრდნენ, კიდეც ჩასწვდნენ ძმა რიკარდოს ქადაგების მთელ აზრსაც.

და ისინიც, და ლიდუვინა და ძმა რიკარდო, მხოლოდ მერე მოეგნენ გონს და კიდევ უფრო მწვავედ იგრძნეს თავი ბედის ტყვეებად, იმაზე უფრო მწვავედ, ვიდრე მაშინ, როცა ლიდუვინას სახლის ღობე აცალკევებდათ ურსულელთა მონასტრის შესახვევში. და ახლა, როცა მათი ქვითინი ასე შეერწყა და გადაეჭდო ერთმანეთს, მათი გულებიც შეერთდა და ჩამოეცალათ თვალთაგან ბინდი და ვითარცა დამწვარი ტანსაცმელი, შემოეძარცვათ თავს გადამხდარი და შერჩათ მხოლოდ გაშიშვლებული და ცხადი სიყვარული, ამ სიყვარულისკენ მიმავალი ბილიკი, სიყვარულისკენ, რაც მარტოდ დარჩენილებს იმ სამწუხარო გაქცევის შემდეგ მაინც ისევ უღვიოდათ.

და იმ დღის მერე...

სამი სამოძღვრებო ნოველა და ერთი პროლოგი

პროლოგი

1

„სამი სამოძღვრებო ნოველა და ერთი პროლოგი?!“ ამავე მოსაზრებით შემეძლო ეს წიგნი ასეც დამესათაურებინა: „ოთხი სამოძღვრებო ნოველა!“ ოთხი? რატომ ოთხი? იმიტომ, რომ ეს პროლოგიც ნოველაა. კარგად გამიგეთ, ნოველაა და არა ნივოლა! სწორედ ნოველა!

რაც შეეხება სიტყვას ნივოლა, როგორც მოვნათლე ჩემი ნოველა – მერედა რა ნოველა! – „ბურუსი“ და იქვე, 275-ე გვერდზე კიდეც განვმარტე, – პირდაპირ ხსნა იყო ჩემი... – კრიტიკოსებისთვისო? – მკითხავთ. კეთილი, დაე, ასე იყოს, კრიტიკოსებისთვის. ისინი მყისვე ჩააფრინდნენ ამ სიტყვას, რამეთუ ეს ხელს აძლევდა მათ გონებრივ სიზანტეს. გონებრივი სიზანტე კი, ანუ უცნობის განსჯა ნაცნობის ხარჯზე, იმათი ნიშან-თვისებაა, ვინც

კრიტიკოსობაზე დებს თავს.

ამ პროლოგში კიდევ არაერთხელ მივუბრუნდებით – გნებავთ ნოველა დაარქვით, გნებავთ – ნივოლა, – ნივოლისტიკის საკითხს. მივუბრუნდებით-მეთქი, რომ ვამბობ და თან ასე საზეიმოდ ვაცხადებ, ამასთან, პირველ პირში, მრავლობით რიცხვში ვლაპარაკობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ორნი ვართ, შენ, მკითხველო, და მე. ჰოდა, აკი გამოდის კიდეც ჩვენ, მაშასადამე, მივუბრუნდებით. ახლა ზოგიერთი რამ სიტყვა სამოძღვრებოს თაობაზეც.

სამოძღვრებო? რატომ სამოძღვრებო?

მიგელ დე სერვანტესმა სამოძღვრებო დაარქვა ნოველებს, რომლებიც გამოაქვეყნა თავისი კიხოტეს შემდეგ, რადგან პროლოგში გვეუბნება: „მათ შორის ვერც ერთ ნოველას ვერ ნახავთ, საიდანაც რაიმე სასარგებლო მოძღვრება ვერ გამოიტანოთ“. მერე კი დასძენს: „ჩემი მიზანი იყო, ჩვენი ქალაქის ფართო მოედანზე ერთგვარი ბურთის საგორებელი მაგიდა დამედგა, ისე, რომ ყველას, ვისაც კი გართობა მოუნდებოდა, მისულიყო, თავიც შეექცია და ამასთან, არც, ასე ვთქვათ, ვნება მიეყენებინა სულისა და ხორცისთვის, რამეთუ წესიერი და სასიამოვნო გართობა უფრო სასარგებლოა, ვინემ საზიანო“. მერე განაგრძობს: „დიახ, არცა ტაძრებსა და სამლოცველოებში დავდივართ მუდამჟამს, არცა საქმეებს ვეჭიდებით დღენიადაგ, რაგინდ საშური იყოს; დგება ხოლმე საათი ხელახლა ქმნისა თუ ნეტარებისა, როცა მოღლილი სული ისვენებს; სწორედ ასეთ ჟამს ჭრიან ხოლმე ხეივნებს, ეძებენ წყაროებს, მოასწორებენ ბორცვებს და აშენებენ საოცარ ბაღებს“. მერე კვლავ დასძენს: „გავთამამდები და ვიტყვი: თუკი ამ ნოველების კითხვა ასე თუ ისე ავ სურვილებსა და აზრებს აღუძრავს ჩემს მკითხველს, უმალ ხელს მოვიჭრიდი, რომლითაც ისინი დავწერე, ვინემ მათ გამოვაქვეყნებდი; უკვე იმ ასაკს მივატანე, როცა საიქიოსთან ხუმრობა აღარ გამომადგება, რამეთუ ჩემს ორმოცდათხუთმეტ წელს კიდევ ცხრაც მივუმატე და გვარიანი სნეულებებიც ავიკიდე“.

აქედან კი შეიძლება დავასკვნათ: პირველი, რომ სერვანტესი თავის ნოველებში უფრო ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილებისთვის ზრუნავდა, ანუ იმისთვის, რასაც დღეს ესთეტიკას ვუწოდებთ, ვინემ მორალისთვის; ამასთან, უნდოდა შვება მოეტანა ხელახლა ქმნის საათებში, როცა ჩვენი მოღლილი სული ისვენებს; მეორეც, სამოძღვრებო მათ მხოლოდ მას შემდეგ დაარქვა, როცა უკვე დაწერილი ჰქონდა, მეც სწორედ იგივე დამემართა. ჯერ ნოველები დავწერე და მერე პროლოგი წავუმძღვარე,

ისევე როგორც ჯერ ენა შეიქმნა და მერე გრამატიკა, მას რომ მართავს და აწესრიგებს, ანდა როგორც მორალური დოქტრინა შეიქმნება ხოლმე მას შემდეგ, რაც უკვე ჩადენილია რაიმე კეთილი თუ ბოროტი საქციელი და მერეღა მიუსადაგებენ გამზადებულ დოქტრინას; და ეს პროლოგიც, გარკვეული აზრით, სხვა ნოველაა, ჩემი ნოველების ნოველაა და, ამასთან, ჩემი ნოველისტიკის ახსნაც, ანდა, თუ გნებავთ, ნ ი ვ ო ლ ი ს ტ ი კ ი ს ა.

და ამ ნოველებს მეც სამოძღვრებოს ვუწოდებ, რამეთუ მათში გთავაზობთ ჭკუის სასწავლებელ მაგალითებს – ხოლო ამ სიტყვების მნიშვნელობის შესაბამისად – ცხოვრებისა და რეალობის მაგალითებსაც.

რეალობისას! დიახ, რეალობისას!

მისი აგონისტები, ე.ი. მებრძოლები – ანდა, თუ გნებავთ, დავარქვათ მათ პერსონაჟები, – რეალურები არიან, ყველაზე უფრო რეალურები, უურეალურესები – ყველაზე უფრო შინაგანი რეალურობით ქმნილნი, რასაც ისინი თავიანთ თავს მიაკუთვნებენ, წმინდა სურვილით რომ იყვნენ, ანდა წმინდა სურვილით, რომ არ იყვნენ ასეთები და არა იმ ნიშნით, რასაც მათ მკითხველები მიაწერენ.

2

ლიტერატურულ ხელოვნებაში რეალიზმად წოდებულ სიტყვაზე უფრო ორაზროვანი არაფერი მახსენდება; და აი, რატომ: მაინც რა რეალობა იგულისხმება ამ რეალიზმში?

სინამდვილეში, ეს ეგრეთ წოდებული რეალიზმი, წმინდა გარეგნული, მოჩვენებითი, ლამის სალანძღავი და ანეკდოტური რამაა და უფრო ლიტერატურულ ხელოვნებას განეკუთვნება, ვინემ პოეტურსა თუ შემოქმედებითს. ყოველ პოემაში, – ხოლო საუკეთესო ნოველები პოემებია, – ყოველ ქმნილებაში, რეალობა სულაც არ არის ის, რასაც კრიტიკოსები რეალიზმს უწოდებენ. ყოველ ქმნილებაში რეალობა არის შინაგანი, შემოქმედებითი და ნებისაგან მომდინარე. პოეტი კი თავის ქმნილებებს – ცოცხალ ქმნილებებს – ეგრეთ წოდებული რეალიზმის ხერხებით როდი ქმნის. რეალისტების მიერ შექმნილი ფიგურები მუდამ გადაცმული მანეკენები გახლავთ, რომელთაც თოკებით ამოძრავებენ, გულში ფონოგრაფი უძევთ და მარტო იმ ფრაზებს იმეორებენ, რაც მაესე პედრომ აკრიფა ქუჩებში, მოედნებსა თუ დუქნებში და თავის დავთარში აღნუსხა.

როგორია ეს შინაგანი რეალობა, რეალური რეალობა, მარადიული რეალობა, ადამიანის პოეტური თუ შემოქმედებითი რეალობა, იქნება ეს ადამიანი სისხლისა და ხორცისგან ქმნილი, თუ, ასე ვთქვათ, წარმოსახვის ნაყოფი, რაც ერთი და იგივეა, რამეთუ დონ კიხოტე ისეთივე რეალურია, როგორიც სერვანტესი, ჰამლეტი და მაკბეტი, როგორიც შექსპირი, და ჩემი აუგუსტო პერესი, შესაძლოა, მართალიც გახლდათ, როცა მითხრა, – ეს ჩემს რომანშიც ვთქვი და, მერე როგორ, როგორ რომანში! – „ბურუსში“, გვერდი 358 და 359, – ვითომ მე მისიცა და სხვათა ამბებიც,

მათ შორის, თვითონ ჩემიც, მხოლოდ საბაბად გამოვიყენე, რომ ქვეყნიერებისთვის მემცნო...

რა არის ყველაზე უფრო შინაგანი? ყველაზე უფრო შემოქმედებითი, ყველაზე უფრო რეალური ადამიანისთვის?

აქ მე მინდა კვლავ მოვუხმო ოლივერ უენდელ ჰოლმსის მეტად მახვილგონივრულ თეორიას, რასაც თავის წიგნში „საუზმის მაგიდის თვითმპყრობელი“ III – გვთავაზობს სამი ხუანისა და სამი ტომასის მაგალითზე. და აი, რას გვეუბნება: როცა საუბრობენ ორნი, ხუანი და ტომასი, საუბარში ექვსი პიროვნება მონაწილეობსო:

სამი ხუანი

1. რეალური ხუანი, რომელსაც იცნობს მხოლოდ შემოქმედი;

2. იდეალური ხუანი ხუანისა, რომელიც სულაც არ არის რეალური და ხშირად მისგანაც განსხვავდება.

3. იდეალური ხუანი ტომასისა, რომელიც სულ არ არის რეალური ხუანი, არც ხუანის ხუანი, პირიქით, ხშირად ორივესგან საკმაოდ განსხვავდება კიდეც.

სამი ტომასი

1. რეალური ტომასი.

2. იდეალური ტომასი ტომასისა.

3. იდეალური ტომასი ხუანისა.

ანდა, ასე ვთქვათ, პიროვნება, როგორიც არის; პიროვნება, როგორიც თვითონ წარმოუდგენია და პიროვნება, როგორიც წარმოუდგენია სხვას. და ოლივერ უენდელ ჰოლმსი ამის მიხედვით მსჯელობს თითოეული მათგანის მნიშვნელობაზე.

მაგრამ მე, ინტელექტუალური იანკის, უენდელ ჰოლმსისგან განსხვავებით, სხვა გზას ავირჩევ და ვიტყვი, რომ იმის გარდა, ვინც უფალი ღმერთის წინაშე წარდგება – თუკი, საერთოდ, ვინმე წარდგება მის წინაშე, – და იმის გარდაც, ვინც წარდგება სხვათა წინაშე და კიდევ იმის გარდაც, ვინც წარდგება საკუთარი თავის წინაშე, არის ისიც, ვისაც უნდოდა, რომ ეარსება და ის, ვისაც უნდოდა, რომ ეარსება, არის მასში, მის გულში შემოქმედი და ის არის ჭეშმარიტად რეალურიც. ჩვენი გადარჩენა ან დაღუპვა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რანი ვიყავით, არამედ იმაზე, თუ რანი გვინდოდა, რომ ვყოფილიყავით. ღმერთი წყალობს ან სამუდამო სატანჯველად გასწირავს ადამიანს იმისთვის, თუ რა უნდოდა, რომ ყოფილიყო მას.

ახლა ნურც ის დაგვავიწყდება, რომ არიან ისეთებიც, რომელთაც სურთ ყოფნა და ისეთებიც, რომელთაც სურთ არყოფნა. და ეს ერთნაირად ახასიათებს რეალურ ადამიანსაც, სისხლისა და ხორცისგან ქმნილს და რეალურ პიროვნებასაც, რომელმაც

პოვა განსახიერება ნოველისტურ თუ ნივოლისტურ გამონაგონში. არიან გმირები, რომელთაც სურთ არყოფნა, უსურვილო ადამიანები.

მაგრამ სანამ შემდეგზე გადავიდოდეთ, თავს ვალდებულად ვთვლი, აგიხსნათ, რომ სულაც არ არის ერთი და იგივე, გსურდეს არყოფნა და არ გსურდეს ყოფნა.

ფაქტობრივად, არის ოთხი პოზიცია და, აი, როგორი: ორი – დადებითი: ა) გსურდეს ყოფნა; ბ) გსურდეს არყოფნა; და ორი – უარყოფითი: გ) არ გსურდეს ყოფნა; დ) არ გსურდეს არყოფნა ასევე შეიძლება, გწამდეს, რომ არის ღმერთი, გწამდეს, რომ არ არის ღმერთი; არ გწამდეს, რომ არის ღმერთი და არ გწამდეს, რომ არ არის ღმერთი. და ისევე, როგორც – გწამდეს, რომ არ არის ღმერთი, იგივე არ არის, რაც არ გწამდეს, რომ არის ღმერთი; ასევე გსურდეს არყოფნა, იგივე არ არის, რაც არ გსურდეს ყოფნა. ის, ვისაც არ სურს ყოფნა, ძნელად განსახიერდება პოეტურ ქმნილებაში, ნოველაში; მაშინ, როცა ის, ვისაც სურს არყოფნა, განსახიერდება და ის, ვისაც სურს არყოფნა, არ არის, ცხადია, თვითმკვლელი.

იმან, ვისაც სურს არყოფნა, შეიძლება ისურვოს ყოფნა.

რაო? ეგებ ეს ყველაფერი აბდაუბდად მოგეჩვენათ? მაშ, თუ ასეა და ეს თქვენ აბდაუბდად გეჩვენებათ და არც ძალგიძთ, არათუ უბრალოდ გაიგოთ, არამედ უფრო იგრძნოთ და იგრძნოთ მთელი გზნებითა და ტრაგიკულად, ვერასოდეს შეძლებთ შექმნათ რეალური არსებები, მით უმეტეს, ვერასოდეს შეძლებთ დატკბეთ ვერც ერთი ნოველით, თუნდაც ეს თქვენივე ცხოვრების ნოველა იყოს, რამეთუ ცნობილია, რომ ხელოვნების ნაწარმოები ტკბობას განგვაცდევინებს იმიტომ, რომ მას ვქმნით ჩვენში, ხელახლა ვქმნით და ჩვენც მასთან ერთად გარდავიქმნებით. და ამიტომ იყო, რომ სერვანტესი თავისი „სამოძღვრებო ნოველების“ პროლოგში ლაპარაკობდა „ხელახლა ქმნის საათებზე“, და მე მის ლიცენციატ ვიდრიერასთან ერთად გარდავიქმენი, როცა ვქმნიდი ჩემში და გარდავქმნიდი საკუთარ თავსაც მასთან ერთად. ლიცენციატი ვიდრიერა მე თვითონ გავხდი.

3

ერთი სიტყვით, შევთანხმდეთ, მე მგონია, შევთანხმდით, რომ... – ადამიანი არის ყველაზე უფრო რეალური Realis, ყველაზე უფრო მოქმედი res, ყველაზე უფრო მატერიალური; ან, როგორც იტყვიან, ყველაზე უფრო დიდი წამქეზებელი. – არსებობს მხოლოდ ის, ვინც მოქმედებს – ეს არის ის, ვისაც სურს ყოფნა, ანდა ის, ვისაც სურს არყოფნა, ესე იგი, შემოქმედი. მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც შეგვიძლია, ვუწოდოთ, კანტის მიხედვით, ნოუმენალური, ადამიანი ნებისა და იდეალის მატარებელი – იდეა – ნებისა ანდა ძალისა – უნდა ცხოვრობდეს ფენომენალურ, მოჩვენებით, რაციონალურ სამყაროში, ეგრეთ წოდებული რეალისტების სამყაროში; და მან ცხოვრება უნდა განიცადოს, ვითარცა სიზმარი, რამეთუ ცხოვრება არის სიზმარი. და აქედან, ამ რეალურ ადამიანთა ერთიმეორესთან

შეჯახების შედეგად წარმოიშვება ტრაგედიაც და კომედიაც, ნოველაცა და ნივოლაც, რამეთუ რეალობა არის შინაგანი, რეალობა არ შეიძლება შეიქმნას არც სოფიტებით, არც დეკორაციებით, არც ტანისამოსით, არც პეიზაჟებით, არც ავეჯით, არც რემარკებით, არც...

შეადარეთ სეხიზმუნდო დონ კიხოტეს, ეს ორი, ვისთვისაც ცხოვრება არის სიზმარი. დონ კიხოტეს ცხოვრებაში რეალობას წარმოადგენს ქარის წისქვილები კი არა, არამედ გოლიათები. ქარის წისქვილები რაღაც ფენომენალურია, მოჩვენებითი, გოლიათები კი – ნოუმენალური და სუბსტანციური. სიზმარია მხოლოდ ცხოვრება, რეალობა, შემოქმედება. თვით რწმენა, წმინდა პავლეს თანახმად, სხვა არა არის რა, თუ არა საგანთა სუბსტანცია, რომელსაც ველოდებით და ეს იმედი არის კიდეც სიზმარი; და რწმენა არის წყარო რეალობისა, რამეთუ ეს არის ცხოვრება, რწმენა, არის ქმნა.

განა „ოდისეა“, ეს ეპოპეა – რომელიც არის ნოველა და ნოველა რეალური, მეტისმეტად რეალური – ნაკლებად რეალურია, რაკი მასში საოცარი სიზმრებია ნაამბობი, რომელთაც რეალისტი მწერალი თავის ხელოვნებაში არც კი გააჭაჭანებდა?

4

დიახ, უკვე ვიცი, რა სიმღერასაც წამოიწყებენ კრიტიკოსები, რომლებიც თავის დროზე ჩემს ნივოლას ჩააფრინდნენ, ესაო და თეზისების ნოველებიაო, ფილოსოფიურიო, სიმბოლური, პერსონიფიცირებული, კონცეფციები, დიალოგიზებული ესეებიო და ვინ იცის, კიდევ რა...

მაშ კარგი, ადამიანი, თანაც რეალური ადამიანი, რომელსაც სურს არყოფნა, არის სიმბოლო და სიმბოლოსაც შეუძლია გახდეს ადამიანი. იგივე ემართება კონცეფციასაც. კონცეფცია შეიძლება გახდეს პიროვნება. და მჯერა, რომ ჰიპერბოლის შტოს – დიახაც, სურს, – სურს! – შეეხოს თავის ასიმპტოტას და კი ვერ სწვდება მას, და გეომეტრი, რომელიც იგრძნობდა ჰიპერბოლის ამ უიმედო სურვილს, მიეღწია თავისი ასიმპტოტისთვის, წარმოგვიდგენდა ამ ჰიპერბოლას, ვითარცა პიროვნებას და ტრაგიკულ პიროვნებას. და მჯერა, რომ ელიფსს სურს ჰქონდეს ორი ფოკუსი და მჯერა ნიუტონის ბინომის ტრაგედიისა თუ ნოველისა, ოღონდ კი არ ვიცი, თავად ნიუტონი თუ გრძნობდა ამას.

კრიტიკოსები კი ყველაფერ ამას წმინდა კონცეფციებს, ანდა გამოგონილ არსებებს ეძახიან!

გარწმუნებ, მკითხველო, რომ თუ გუსტავ ფლობერი გრძნობდა, როგორც ამბობდნენ, მოწამვლის სიმპტომებს, როცა აღწერდა, ან როგორც იტყვიან, ქმნიდა ემა ბოვარს, რომანში, რომელიც მიჩნეულია რომანების და თანაც რეალისტური რომანების ნიმუშად, – ასევე, როცა ჩემი აუგუსტო პერესი ჩიოდა ჩემ წინ, უფრო სწორად, ჩემში, „სიცოცხლე მსურს, დონ მიგელ, სიცოცხლე მსურსო“, – „ბურუსი“ გვერდი 359, – მეც ვგრძნობდი, რომ მასთან ერთად ვკვდებოდი.

„იმიტომ, რომ აუგუსტო პერესი შენ თვითონა ხარ!..“ – მეტყვიან, – მაგრამ არა! საქმე ის არის, რომ ყველა ჩემი პერსონაჟი, ყველა აგონისტი, რომელიც კი შემიქმნია, საკუთარი სულიდან მყავს ამოზიდული, ჩემი შინაგანი რეალობიდან – რაც არის მთელი ხალხი – მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი მე თვითონ ვარ. მაშინ თავად ვინღა ვყოფილვარ? ვინ ყოფილა ის, ვინც აწერს მიგელ დე უნამუნოს სახელს? მაშასადამე... ერთი ჩემი პერსონაჟთაგანი, ერთი ჩემი ქმნილებათაგანი, ერთი ჩემი აგონისტთაგანი და ეს ჩემი „მე“, ინტიმური და უმაღლესი, ეს ტრანსცენდენტური ან იმანენტური „მე“ ვინღა ყოფილა? უფალმა უწყის... ეგებ თავად უფალიც კი...

და ახლა უნდა გითხრათ, რომ ეს ბინდბუნდოვანი პერსონაჟები – არც შუაღამისანი და არც შუადღისანი, რომელთაც არ სურთ ყოფნა და არც სურთ არყოფნა, არამედ შეიძლება მართო ან თან გაიყოლო, – რომ ეს ყველა პერსონაჟი, რომელთაც აავსეს ჩვენი ესპანეთის თანამედროვე რომანები, ყველა იმ თავისი წვრილმანით და, რომლებიც გამოირჩევიან იმ თავიანთი აჩემებული ფრაზებითა და ტიკებითა თუ ჟესტებით, არ წარმოადგენენ პიროვნებებს თავისი უმაღლესი მნიშვნელობით, არც გააჩნიათ შინაგანი რეალობა. არ არის წუთი, როცა მათ შეიძლება გაგიხსნან გული და გააშიშვლონ თავიანთი სული.

ჭეშმარიტი ადამიანი შეიძლება აღმოაჩინო და შექმნა ერთი წუთის, ერთი ფრაზის, ერთი შეძახილის მიხედვით, ასეა შექსპირთან, და მერე, როცა უკვე აღმოაჩენთ, შექმნით მას, თქვენ უკეთ იცნობთ მას, ვიდრე თვითონ იცნობს თავის თავს.

თუ შენ, მკითხველო, გსურს შექმნა ხელოვნებისთვის პიროვნებები, ტრაგიკული აგონისტები, კომიკური ან ნოველისტური, ნუ დაახვავებ დეტალებს, ნუ გამოეკიდები გარშემო მცხოვრები ადამიანების გარეგნული თვისებების შესწავლა-დაკვირვებას, მაგრამ ყველაზე მეტად კი უნდა გიყვარდეს ისინი და იმედი გქონდეს, დადგება დღე, – ანდა, შეიძლება სულაც არ დადგეს, – და ისინი გაგიხსნიან სულის ყველა სამალავს და გაგიმხელენ, თუ რანი უნდოდათ, რომ ყოფილიყვნენ, თუნდაც ერთი წამოძახილით, ერთი საქციელით, ერთი ფრაზით, და მაშინ, ხელიდან არ გაუშვა ის წუთი, აღბეჭდე იგი შენში, აცადე ამ ჩანასახს გაღვივდეს და იქცეს ჭეშმარიტ პიროვნებად, ისეთ პიროვნებად, რომელიც იქნება ნამდვილი რეალური, და მაშინ, შეიძლება შენს მეგობარ ხუანზე ან შენს მეგობარ ტომასზე უკეთესადაც მიხვდე, თუ რა სურდა, რომ ყოფილიყო ტომასს, ანდა რა სურდა, რომ ყოფილიყო ხუანს, თუ რა სურდა ორივე მათგანს, რომ არ ყოფილიყო.

ბალზაკი არ იყო ის ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა საზოგადოების ცხოვრებით, იგი არ კარგავდა დროს, რომ შეედგინა შენიშვნები, თუ რას ხედავდა ან რა ესმოდა ადამიანებში და ადამიანებისგან, მთელ ამ სამყაროს იგი თავის თავში ატარებდა.

ყოველ ცოცხალ ადამიანში ძევს შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და წამალი მათი – შვიდი სათნოება: ამპარტავნობას – სიმდაბლე, ანგარებას – მოწყალება, სიძვას – უმანკოება, მრისხანებას – სიმშვიდე, ნაყროვანებას – მარხულობა, შურს – სიყვარული, მიმოწვლილველობას – სასოება, და მას შეუძლია თავისი თავიდან ერთნაირად ამოზიდოს ტირანიცა და მონაც, ბოროტმოქმედიცა და წმინდანიც, აბელიცა და კაენიც.

მე არ ვამბობ, ვითომ დონ კიხოტესა და სანჩო პანსას ერთი წყაროსათავე ჰქონდათ-მეთქი, იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, რაზედაც მეტყველებს დონ კიხოტეს გასანჩოპანსავება და სანჩო პანსას გადონკიხოტება, რაც, იმედი მაქვს, კიდეც დავამტკიცე ჩემს „დონ კიხოტესა და სანჩო პანსას ცხოვრებაში“. თუმცა კი, ალბათ, მოიძებნებიან ადამიანები, ვინც მიმითითებს, შენს თხზულებაში გამოყვანილი დონ კიხოტე და სანჩო პანსა სულაც არ არიან სერვანტესის გმირების მსგავსნიო; ეს სამართლიანიცაა, იმიტომ, რომ არც დონ კიხოტე და არც სანჩო პანსა მარტო სერვანტესისა და ჩემი კუთვნილებანი კი არ არიან, ისინი ეკუთვნიან ყველას, ვინც კი მათ შექმნის და ხელახლა შექმნის, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ისინი ეკუთვნიან თავიანთ თავს, ხოლო როცა ჩვენ მათ ვჭვრეტთ და ხელახლა ვქმნით, იმ ორ გმირს ვემსგავსებით.

მე არ ვიცი, განსხვავდება კი ჩემი დონ კიხოტე სერვანტესის დონ კიხოტესგან, თუ იგივეა, რაც იყო, მაგრამ მე მის სულში აღმოვაჩინე ისეთი სიღრმეები, რაც არ აღმოუჩენია სერვანტესს, ვინც პირველმა აღმოგვიჩინა იგი; რამეთუ დარწმუნებული გახლავართ, რომ სხვათა შორის, სერვანტესმა ჯეროვნად ვერ შეაფასა, თუ რას ნიშნავდა ცხადად მესიზმრე რაინდისთვის ის მორცხვი და მოწიწებული სიყვარული ალდონსა ლორენსოსადმი. სერვანტესი ვერც სანჩო პანსას გაკიხოტების მთელ სიღრმეს ჩასწვდა.

ახლა კი შევაჯამებ: ყოველ ცოცხალ ადამიანში ძევს შვიდი მთავარი სიკეთე და მისი შვიდი საპირისპირო ცოდვა, რაც აძლევს კიდეც საშუალებას სულ სხვადასხვაგვარი აგონისტების შექმნისას.

საწყალი კაცუნები, ტრაგედიისა რომ ეშინიათ, ადამიანთა ეს საცოდავი ლანდები, რომ კითხულობენ და კი ვერაფერს სწვდებიან, კითხულობენ, რათა მოკლან დრო და ამით მარადისობაც – თუკი რომელიმე ტრაგედიაში ან კომედიასა, თუ ნოველაში, ანდა, თუ გნებავთ, ნივოლაშიც, მამაკაცს, ნამდვილ მამაკაცს, ან ქალს, ნამდვილ ქალს წააწყდებიან, უეჭველად ჰკითხავენ საკუთარ თავს: „მაინც საიდან ამოზიდა ავტორმა ეს ყველაფერი?“ ამ კითხვას კი მარტო ერთი პასუხი უნდა გაეცეს: „მხოლოდ არა შენგან!“ და რაკი ავტორს ეს გმირი ამ ნაცრისფერი და უსახო არსებიდან არ ამოუზიდავს, მაშინ არც იმას აქვს აზრი, რომ გააცნო, თუკი ამ გმირში მაინც ვერ ამოიცნობს ადამიანს და არც შერცხვება, მას სიმბოლო ან ალეგორია უწოდოს.

და თუ ეს უსახო არსება, ადამიანის ეს მინამგვანი, რომელიც ყოველგვარ ტრაგიკულს გაურბის, ჩემ მიერ წარმოსახული კი არ არის, როგორც იტყოდა ტასო, რამეთუ ის, ვინც მართლაც არის წარმოსახვის ლანდი და ამას კიდეც შეიგნებს, მაშინ დიდ განსჯასაც მიეცემოდა და სურვილიც აღეძვრებოდა ყოფნისა ან არყოფნისა, თავადვე გახდებოდა ის ტრაგიკული პიროვნება, ვინც თავის თავში აღმოაჩენდა უნარს შეექმნა და ხელახლა შეექმნა სხვა ტრაგიკული ანდა კომიკური პერსონაჟები და შეძლებდა გამხდარიყო ნოველისტიც, ესე იგი, პოეტი და სწორედ ის შეძლებდა დამტკბარიყო ნოველით, ესე იგი, პოემით.

6

ახლა ცხადია?

ბრძოლა, რომელსაც ჩვენ ვეწევით, რათა ჩვენსავე ქმნილებებში სინათლე შევიტანოთ, კიდევ ერთი ტრაგედიაა.

მაშ, ეს ჩვენი პროლოგიც ნოველა ყოფილა. ეს გახლავთ ჩემი ნოველების ნოველა, დაწყებული ისეთი ნოველებით, როგორებიცაა „მშვიდობა ომის დროს“, „სიყვარული და პედაგოგიკა“, ჩემი მოთხრობები, ისინიც აკი ნოველებია, – „ბურუსი“ და ალბათ ყველაზე ტრაგიკული „აბელ სანჩესი“ და დამთავრებული „სამი სამოძღვრებო ნოველით“, რომლის წაკითხვასაც ახლა აპირებ, ჩემო მკითხველო, თუ ამ პროლოგმა ხალისი არ დაგიკარგა.

ახლა ხომ ხვდები, ჩემო მკითხველო, რატომ ვუწოდებ ჩემს ნოველებს სამოძღვრებოს! იმედია, სანიმუშო მოძღვრებადაც გამოგადგება!

ვიცი, რომ დღეს ესპანეთში ნოველებს უპირატესად ქალები კითხულობენ, თუმცა არა, ქალები კი არა, მანდილოსნები და ქალიშვილები და ისიც ვიცი, რომ ეს მანდილოსნები და ქალიშვილები ყველაზე დიდი ხალისით საკუთარ სულიერ მამათა მიერ შეთავაზებულ ნოველებს კითხულობენ, ანდა იმას, რასაც ისინი უკრძალავენ, ესე იგი, ან დისტილირებულ ამბებს, ანდა აშკარა პორნოგრაფიას და ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ ისინი გაურბიან ყველაფერს, რაც კი მათ აიძულებთ ჩაფიქრდნენ, არა, ისინი გაურბიან ყველაფერს, რაც მათ აღელვებთ, ხოლო ასეთი აღელვება შეიძლება იმითაც დამთავრდეს, რომ... მაგრამ ამაზე ჯობს გავჩუმდეთ!

ეს მანდილოსნები და ქალიშვილები აღფრთოვანებაში მოჰყავს მანეკენზე ჩამოცმულ მოდურ კაბას, ანდა ნახევრად შიშველი ან ნახევრად ჩაცმული სხეულის დანახვას, მაგრამ აშკარად კეთილშობილური სიშიშვლე კი აშინებთ. ყველაზე მეტად კი – სულის სიშიშვლე.

აი, ასე არსებობს ჩვენი ნოველისტური ლიტერატურაც!

ლიტერატურა... დიახ, ლიტერატურა. სწორედ ლიტერატურა. ეს განსაკუთრებული სახის არსებობა, წინადადებათა და მოთხოვნათა, ექსპორტისა და იმპორტის, საბაჟოს კონტროლსა და ნიხრის კანონებს რომ ექვემდებარება.

და აჰა, ბოლოს და ბოლოს, ძვირფასო მკითხველებო, კაცებო და ქალებო, ბატონებო, მანდილოსნებო და ქალიშვილებო, თქვენს სამსჯავროზე გამომაქვს ეს ჩემი სამი სამოძღვრებო ნოველა და, თუმცა წინასწარ ვიცი, ამ ნოველების გმირებს თქვენ სიმარტოვისთვის გასწირავთ და აღიარებას არ აღირსებთ, მაინც მწამს, რომ ისინი იცოცხლებენ და ისევე მწამს, როგორც ის, რომ მე ვიცოცხლებ.

როგორ? როდის? სად? მარტო ერთმა ღმერთმა უწყის...

ორი დედა

1

რა სატანჯველად ექცა საბრალო დონ ხუანს რაკელი! უშვილოდ გადაშენების შიშით გულმოწამლული ქალი გამწარებით ჩააფრინდა მას და ვინ იცის, რა ხერხსა და ღონეს არ ხმარობდა, ოღონდ კი სამუდამოდ მიეჯაჭვა, კალთაზე გამოება. და დონ ხუანის გულგვამში სურვილთან ერთად ჩაკვდა ნებაც, რაკელის თვალები და ხელები ერთიანად უნელებდა და უყუჩებდა ყოველგვარ სურვილს. და ეს განმარტოებული და უმართლოდ შექმნილი ოჯახური კერაც მონასტრის სენაკად ეჩვენებოდა, სადაც შეყვარებულმა წყვილმა მისაფარი პოვა.

შეყვარებულმა? მაგრამ უყვარდა კი დონ ხუანს რაკელი? არა, ამ ქალმა იგი შთანთქა, თავის მორევში ჩაითრია, რადგან მისმა ქვრივულმა უიღბლობამ გატეხა კაცი, რამეთუ რაკელი გახლდათ ქვრივი, – ფიქრობდა დონ ხუანი, – უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად, ქვრივი და თანაც უშვილო ქვრივი. ასე გეგონებოდათ, ქვრივად იყო დაბადებული. მისი სიყვარული იყო შმაგი და შმაგადვე ეძებდა ამ კაცის არსებაში, თვით მისთვისაც კი უცნობ სულის კუნჭულებში რაღაც უფრო მეტს, ვიდრე ამქვეყნიური სიყვარულია. და დონ ხუანი გრძნობდა, როგორ მიექანებოდა უფსკრულისკენ. „ეს ქალი მე მომკლავს!“ – იტყოდა ხოლმე მალიმალ და თავიდან ვერ იშორებდა ფიქრს იმ სამუდამო განსასვენებელზე, მარტო სამარეში რომ ეღირსებოდა, როცა ქვრივი მართლა საბოლოოდ მოუღებდა ბოლოს.

ერთი ხანია რაკელი სულ იმას უჩიჩინებდა დონ ხუანს, ცოლი შეირთე, ოჯახს მოეკიდეო, მაგრამ თავად როდი ფიქრობდა ცოლად გაყოლას, თუმცა კი საბრალო კაცს სხვა ქალზე ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა.

რაკელი: ვიქორწინოთო? მერედა, ამას რა აზრი აქვს, ჩემო ფისო? რისთვის? რა ამისთანა ხეირს დაგვაყრის ეკლესიისა თუ სამოქალაქო კოდექსით დაკანონებული შეუღლება? ქორწინება აკი ამისთვისაა დაწესებული, რომ მეუღლეებმა, როგორც კატეხიზმო გვასწავლის, კეთილდღეობა პოვონ და ზეციერს ბავშვები გაუზარდონ. ჩვენ ისედაც შეუღლებულნი ვართ! კეთილდღეობაზე ვიზრუნოთ? ეეჰ, ჩემო ფისო, – ესა თქვა და მარჯვენა ხელის თხელი, ნატიფი თითები ცხვირზე მოუთათუნა, – არც შენ და არც მე კეთილდღეობის მოსაპოვებლად არავის კურთხევა არა გვჭირდება. ხოლო შვილების აღზრდა ზეციერისთვის... შვილების აღზრდა ზეციერისთვის...

ეს რომ თქვა, ხმა გაებზარა, ცრემლები მარგალიტებად აუთრთოლდა წამწამებზე და ამ ცრემლებში აირეკლა მისი შავი თვალების უძირო სიღრმე.

დონ ხუანი: რამდენჯერ მითქვამს, კელინა, სხვა გზა აღარ გვაქვს უნდა ვიქორწინოთ-მეთქი, ამასვე გვიბრძანებს ღმერთიც და კაციც...

რაკელი: ეს შენ უხმობ ღმერთს, ჩემო ფისო?

დონ ხუანი: ჰო, ვიქორწინოთ, კანონიერად შევუღლდეთ და ბავშვიც ავიყვანოთ...

რაკელი: ბავშვი ავიყვანოთ!... ბავშვი ავიყვანოთ!.. ეგებ ისიც გეთქვა, უპატრონოთა თავშესაფრიდან გამოვიყვანოთო!...

დონ ხუანი: ოჰ, არა! აი, თუნდაც შენი დისწული რომ...

რაკელი: მე უკვე გითხარი, ამაზე არც დამელაპარაკო-მეთქი... საერთოდ, აღარ მიხსენო... ჩემი და იფიქრებს, რომ მართლა დიდი ქონების პატრონები ვართ...

დონ ხუანი: მერედა, განა არა ვართ?

რაკელი: ვართ, როგორ არა ვართ და ისიც კარგად ვიცი, რომ შენი ქონებაცა და შენ თვითონაც მე მეკუთვნით, მთლიანად მე მეკუთვნით!

დონ ხუანი: შენ გეკუთვნით, კელინა, შენ!

რაკელი: ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი და ერთ რომელიმე ბავშვს კიდეც შეელეოდა და დიდი სიამოვნებითაც შეელეოდა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იმ ბავშვს მე სრულიად უწვალებლად, ადვილად მივიღებდი, საკუთარივით ვერ შევითვისებდი... ოოჰ, ერთ ბავშვს როგორ ვერ ვეღირსე, როგორ ვერ გავაჩინე, თუნდაც მეც ზედ გადავყოლოდი!..

დონ ხუანი: ასე ნუ გადაიწურავ იმედს, ძვირფასო!..

რაკელი: ეს მაინც არ უნდა გეთქვა, ხუან, შენ... ნაშვილები მუდამ ნაშვილებია... გახდი მამა, ხუან, შენ თვითონ გახდი მამა, რაკი მე არ მეღირსა დედობა. მე რომ დედა გავმხდარიყავი, კიდეც ვიქორწინებდით, ჰო... ვიქორწინებდით... რატომ დახარე თვალები, რატომ დაირცხვინე?

დონ ხუანი: გული ამიჩუყე, რაკელ, განა მე...

რაკელი: ჰო, ვიცი, შენ ხომ არ გაბრალებ... არც ჩემს ქმარს მიუძღოდა ბრალი... ის...

დონ ხუანი: ახლა კიდევ ისიც...

რაკელი: კარგი და კეთილი, მაგრამ შენ მაინც შეგიძლია მაღირსო ბავშვი. როგორ? სხვა ქალთან გააჩინე და მე მომეცი. სულ არ მადარდებს, ის თანახმა იქნება თუ არა, მთავარია, რომ ეს მე მსურს...

დონ ხუანი: კი მაგრამ, იმაზე არ გიფიქრია, რომ მე შეიძლება ის სხვა ქალი შემიყვარდეს?

რაკელი: შეგიყვარდეს? როგორ თუ შეგიყვარდეს? ეს რამ გათქმევინა? ძალიან კარგად ვიცი, ვიდეც რომ მოინდომო, სხვას ვერც შენ შეიყვარებ და არც მე მოგიწონებ ამას! განა მე სიყვარულზე გელაპარაკები? უბრალოდ, გთავაზობ პირობას, სხვა ქალი გახადე დედა და ბავშვი მე მომეცი-მეთქი, თავად ის დაგვთანხმდება თუ არა, მე არ მანაღვლებს.

დონ ხუანი: ასეთ მადლს ვინ მოისხამს?

რაკელი: ჩვენი ქონების პატრონებს, უარს არავინ გვეტყვის!

დონ ხუანი: კარგი, მაგრამ ასეთ პირობაზე რომელ ქალს დაითანხმებ?

რაკელი: რა პირობაზე?

დონ ხუანი: იმაზე, რომ...

რაკელი: შენ მარტო ქორწინებაზე დაითანხმე და...

დონ ხუანი: რაკელ!..

რაკელი: ჰო, ხუან, ჰო, ქორწინებაზე! ოღონდ შენ იქორწინე და ქალს მე მოგიძებნი, ისეთ ქალს, რომელიც იმედს არ გაგიცრუებს... თანაც თვალსაც უნდა ეამებოდეს, არა (სიცილით კი ლაპარაკობდა, მაგრამ ცრემლები ახრჩობდა)? ერთი სიტყვით, შენ შეირთავ ცოლს, მე კი, ცხადია, შენს ცოლზე არ ვიეჭვიანებ.

დონ ხუანი: სამაგიეროდ, ის იეჭვიანებს შენზე.

რაკელი: ბუნებრივია, მაგრამ ეს ჩვენთვისვე იქნება სასიკეთო... ამ ქორწინებაში ბევრ სარგებელს ნახავთ, დიახ, ბევრზე ბევრს, რაც მთავარია, ერთი ბავშვი ხომ მაინც გაგიჩნდებათ ჩემთვის... მე თვითონ გავზრდი... ზეციერისთვის...

დონ ხუანი: ნუ მკრეხელობ...

რაკელი: იცი კი, რა არის ზეცა? ან რა არის ჯოჯოხეთი? მაინც სად გგონია ჯოჯოხეთი?

დონ ხუანი: მიწისქვეშეთშიაო, ამბობენ...

რაკელი: თუ უნაყოფო მუცელში?..

დონ ხუანი: რაკელ, რაკელ!..

რაკელი: ახლა მოდი ჩემთან, მოდი...

რაკელმა იგი ბავშვივით დაისვა მუხლებზე, მაგრად ჩაიკრა მკერდში, გამშრალი ტუჩები ყურთან მიუტანა და ჩასჩურჩულა: საცოლე უკვე გამოგიძებნე... თან ისეთი ქალი შევარჩიე, ჩვენი შვილის საკადრისი მშობელი რომ იქნება... ასეთი მონდომებით ალბათ ძიძაც არავის უძებნია...

დონ ხუანი: მერე... მაინც ვინ მომიძებნე ასეთი?..

რაკელი: სენიორიტა ბერტა ლაპეირა... რატომ აცახცახდი? მგონი, შენც მოგწონდა! რაო, ეგებ არა? რატომ გაფითრდი? რატომ მოგადგა თვალზე ცრემლი? იტირე, ჩემო ბავშვო, იტირე, საბრალო დონ ხუან!

დონ ხუანი: მერედა, ბერტა?..

რაკელი: ბერტას სიხარულს საზღვარი არა აქვს! ოღონდ ჩვენი ქონების გამო კი არა... ბერტას შენ უყვარხარ! თავდავიწყებით უყვარხარ... ბერტას ნამდვილად შეყვარებული ქალწულის გული უძგერს და შენი მხსნელის როლსაც სიამოვნებით იკისრებს. ჩემგან გიხსნის... ის ხომ დარწმუნებულია, რომ შენი ბედუკუღმართობის მიზეზი მე ვარ, შენი ჯოჯოხეთი... ვიცი, ვიცი!.. ვიცი, როგორ ებრალები ბერტას... ისიც ვიცი, რა შიშს ვგვრი და რას ლაპარაკობს ჩემზე...

დონ ხუანი: მერედა, მისი მშობლები?

რაკელი: ოჰ, მისი მშობლები! მისი ღვთისმოსავი მშობლები! ნუ გეშინია, საკმაოდ წინდახედულები ბრძანდებიან და შენი ქონების ამბავიც მშვენივრად მოეხსენებათ...

დონ ხუანი: ჩვენი ქონების...

რაკელი: ზოგიერთივით მათაც სჯერათ, რომ შენია... განა კანონით შენი არ არის?

დონ ხუანი: კარგი, მაგრამ...

რაკელი: ამაზე ჩვენც უნდა ვიფიქროთ, კარგად ავწონ-დავწონოთ, მაგრამ მათ, ეტყობა, ის არ იციან, რომ შენ ჩემი ხარ, მარტო ჩემი და მთლიანად მე მეკუთვნი... არც ის იციან, რომ მათი ქალიშვილი შენგან შვილს თუ გააჩენს, ისიც ჩემი გახდება... ხომ გეყოლებათ შვილი, ჰა, ფისო, ხომ გეყოლებათ?

საბრალო ხუანს ეს სიტყვები ყურს სჭრიდა და თავბრუს ახვევდა. უთუოდ ბიჭი გეყოლება, ხუან! ხომ გეყოლება, ხუან?

დონ ხუანი: შენ მე მომკლავ, რაკელ...

რაკელი: ვინ იცის!.. ოღონდ შენ მანამდე შვილი მაღირსე და... გესმის?.. აბა, ის ნამდვილი ანგელოზი, ბერტა ლაპეირა სხვა რისთვის გვინდა? ანგელოზი!.. ჰა!.. ჰა... ჰა...

დონ ხუანი: შენ კი ნამდვილი დემონი ხარ! – შესძახა მან და წამოდგა, წამოდგა, მაგრამ შეტორტმანდა.

რაკელი: დემონიც ანგელოზია, ფისო...

დონ ხუანი: მაგრამ დაცემული ანგელოზი...

რაკელი: მაშინ, დაე, ბერტაც დაეცეს; ამას მაინც ხომ ეცდები...

დონ ხუანი: შენ მე მომკლავ, კელინა, მომკლავ...

რაკელი: განა ჩემი სიცოცხლე სიკვდილზე უარესი არ არის?

(ესა თქვა და მაშინვე დასაწოლად გაემართა. ცოტა ხანში ხუანიც გვერდით მიუწვა და მისმა ტუჩებმა იგრძნო თავისი ქალბატონისა და მბრძანებლის უდაბნოს ქვიშასავით მშრალი და ცხელი ტუჩები). ახლა შენ, მე კი არა, უკვე ბერტა გეზმანება... ოჰ, არა, შენ ახლა ჩვენი ბიჭი გეზმანება!..

საბრალო ხუანს კი რულიც არ ეკარებოდა.

2

მაინც რამ აფიქრებინა რაკელს დონ ხუანი გულისხმაში ჩაეგდო, ეკარნახა, ეგებ ბერტა ლაპეირაზე იქორწინოო? ან როგორ ამოიცნო, რომ თავად დონ ხუანი იყო შეყვარებული ბერტაზე? აკი დონ ხუანს ძილშიც სულ ბერტა ლაპეირა ესიზმრებოდა, ოღონდ ძილში, როცა ის ნებაც გამოეცლებოდა, რაკელმა რომ შთაუნერგა, თორემ საკუთარი სადღა გააჩნდა; ეზმანებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სწორედ ბერტა, ეს ანგელოზებრივი არსება მოევლინებოდა მხსნელად. მაგრამ თუკი რაკელმა სათავეშივე განჭვრიტა მათი სიყვარული, მაშინვე ამ სიყვარულის მოშთობაც ჩაიდო გულში, რაკი სიტყვა შეაპარა, ბერტაზე იქორწინეო; მხოლოდ ასე თუ ეღირსებოდა უშვილო ქვრივს ნანატრი დედობა.

დონ ხუანი ბერტას ბავშვობიდანვე იცნობდა; მათ ოჯახებსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, დონ პედრო ლაპეირა და მისი ცოლი დონ ხუანის მშობლების გულითადი მეგობრები იყვნენ. როცა ჯერ სულ ყმაწვილი დონ ხუანი დაობლდა, მისთვის ყურადღება არ დაუკლიათ; მერედამერე მისი უიღბლო სიყვარულისა და მარცხიანი თავგადასავლების ამბავი რომ გახმაურდა, ლაპეირებივით არავის სტკენია გული,

მაგრამ როცა გაიგეს, უშვილო ქვრივთან პოვა უხიფათო ნავსაყუდელიო, შვებით ამოისუნთქეს, ეგებ, ბოლოს და ბოლოს, ბედსაც ეწიოსო და ეჭვიც კი არ აღძვრიათ, ვაითუ, იმ მყუდრო ნავსაყუდელშიც შეაღწიოს ქარიშხალმაო. ცოლ-ქმარმა ლაპეირამ, ხუანისგან განსხვავებით, მათი ურთიერთობა ოჯახურ კავშირად წარმოიდგინა; თუმცა ხუანის უნებისყოფობის ამბავიც კარგად მოეხსენებოდათ, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდნენ, ადრე თუ გვიან გონს მოეგებაო, ხოლო თუ შვილებიც ეყოლებათ, მით უკეთესიო. ამის თაობაზე ლაპეირები ხშირად საუბრობდნენ ხოლმე და თავიანთი შეხედულებებისამებრ სჯიდნენ ქალაქის სალაპარაკოდ გამხდარ ამ ტრაგიკომედიას. მშობლებს აზრადაც არ მოსდიოდათ მორიდებოდნენ თავიანთ ქალიშვილს, რადგან, თითქოს განგებ, ყოველთვის სუფრასთან იწყებდნენ სჯა-ბაასს, ასე იყო თუ ისე, მათმა საუბარმა ბერტა, ეს ანგელოზებრივი არსება გულისხმაში ჩააგდო და დონ ხუანისადმი ცნობისმოყვარეობა გაუღვივა. მშობლები ხომ სულ იმაზე წუხდნენ, თუ აქამდე არ ეღირსა რაკელს დედობა, ვაითუ, ეს შემთხვევითი კავშირი ღვთისა თუ ადამიანის, ანდა სულაც თეოკრატიისა და დემოკრატიის ძალით მაინც დაკანონდესო. ერთი სიტყვით, ბერტამ გულში ჩაიდო განზრახვა, როგორმე ხელი შეეშალა მათთვის, თუმცა იდუმალ იმაზეც ოცნებობდა, ამ უიღბლო სიყვარულის მსხვერპლს, დონ ხუანს მხსნელ ანგელოზად მოვლენოდა, ქარიშხლიანი ნავსაყუდლიდან გამოეყვანა და ასე გადაერჩინა.

და მაინც, როდის გაუჩნდათ მათ ეს ოცნება, როგორ გაიტაცა ბერტაც და ხუანიც ერთნაირმა ოცნებამ? ეტყობა, მაშინ, როცა დონ ხუანი საკმაოდ ხშირად დადიოდა ლაპეირების ოჯახში, ახალგაზრდები უმეტესწილად მარტონი რჩებოდნენ; მისალმებისას ერთმანეთს თვალებში ჩახედავდნენ ბავშვობის მეგობრები, ზოგჯერ მშობლებიც არ ჩქარობდნენ გამოსვლას.

დონ ხუანმა ადრევე განჭვრიტა საფრთხე და რაკი მორჩილად მიჰყვებოდა რაკელის ნებას, ახლაც დანებდა და თანდათან უკლო ლაპეირებთან სიარულს. ცოლ-ქმარმაც სწორად ამოიცნო ყმაწვილის თავშეკავების მიზეზი: „ხედავ, როგორ დაიმორჩილა? ცდილობს, ხალხს ჩამოაშოროს!“ მაგრამ ბერტას, ამ ანგელოზებრივ ბერტას ღამის სიჩუმეში, ძილში ჩაესმოდა დაცემული ანგელოზის ჩურჩული და გული უთქვამდა: „მას შენი ეშინია...“ და ახლა რაკელი, თავად რაკელი უბიძგებდა მას ბერტასკენ, პირდაპირ მკლავებში უგდებდა.

საბრალო დონ ხუანი ხვდებოდა, რომ რაკელმა იგი გაწირა, ლამის სასიკვდილოდ გაიმეტა და უკვე დანანებით იხსენებდა ადრინდელ გატაცებებს. მაინც რატომ უნდა გახდეს მამა, თუკი ამის სურვილიც არ გააჩნია?.. განა მარტო იმისთვის, რომ კიდევ ერთი მისივე მსგავსი მოევლინოს ამ ქვეყანას?

სხვა გზა აღარ იყო!..

და რაკელის ერთი ბიძგიც კმაროდა, რომ ხუანს უწინდებურად დაეწყო სიარული ლაპეირების ოჯახში. ქალიშვილსაც და მშობლებსაც უმალ მოულბათ გული, მით

უმეტეს, რომ გულისნადებს მიუხვდნენ. დონ პედროსა და დონია მარტასაც მიეცათ სალაპარაკო; თანაგრძნობითა და დანანებით იგონებდნენ ხოლმე დონ ხუანის უთავბოლო ცხოვრების ამბებს.

დონ პედრო: საბრალო ბიჭი! უმალ შეატყობ, რომ იტანჯება...

დონია მარტა: მერედა, მიზეზი არა აქვს, პედრო?

დონ პედრო: ჩვენი ტომასა ხომ გახსოვს, ყველაფერს ჯადოს რომ აბრალებდა?

დონია მარტა: დიდი სიკეთე კი დააყარა იმ ჯადომ; საწყალს სარკეში რომ ჩაეხედა...

დონ პედრო: და დაენახა, რა დღეშიც ჩააგდო ცხრა ფეხმძიმობამ და ჯაფამ... ამ დროს კი ის, მეორე ენახა, რა მშვენიერი იყო...

დონია მარტა: აი, როგორები ხართ, თქვენ, კაცები... ღორები...

დონ პედრო: ყველა?

დონია მარტა: მაპატიე, პედრო! შენ არა! შენ...

დონ პედრო: მაგრამ ამ ჩვენი ქვრივის ჯადოც ხომ გასაგებია...

დონია მარტა: ეეჰ, შე თაღლითო, ვის მხარეზე ხარ?

დონ პედრო: მე თვალები მაქვს, მარტა, თვალები კი მუდამ ახალგაზრდაა.

დონია მარტა: ჩვენზე უფრო ახალგაზრდა?

დონ პედრო: ახლა ჩვენი ბიჭი რას იზამს?

დონია მარტა: ვნახოთ, პედრო, მე უკვე რაღაც-რაღაცებს ვამჩნევ.

დონ პედრო: მეც ვამჩნევ! მერე ის?

დონია მარტა: მე ნელ-ნელა შევამზადებ, ყოველი შემთხვევისთვის...

დონ პედრო: მერე ეს კავშირი?..

დონია მარტა: შე ღვთის გლახავ, ვერ ხედავ, რომ თვითონვე ეძებს მიზეზს, რომ გაწყვიტოს? ვერ გაგიგია?

დონ პედრო: ცხადია, მაგრამ მათი დაშორება უმსხვერპლოდ არ ჩაივლის.

დონია მარტა: თუნდაც ასე იყოს... არაფერი აკლია, საკმაოდ ბევრი რამ აქვს, რაღაცას ხომ უნდა შეელიოს.

დონ პედრო: მართალია.

დონია მარტა: ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ბიჭი, პედრო; მისი მშობლებიც ამას გვავალებენ.

დონ პედრო: ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ჩვენმა ქალიშვილმა თვითონვე გვთხოვოს.

მათი ქალიშვილი კი, თავის მხრივ, სწორედ დონ ხუანის გადარჩენაზე ფიქრობდა. ნამდვილად დონ ხუანისა თუ საკუთარი თავისა? გულში კი ასე ამბობდა: „ეს კაცი ხელიდან უნდა გამოვგლიჯო როგორმე და ვნახო სინამდვილეში როგორია იმ ქალის მიერ შექმნილი და სულითა და ხორცით მასზე მინდობილი. მერედა, როგორ გამოწვრთნა, ალბათ რამდენი რამ ასწავლა და განაცდევინა, საბრალო ხუანს! ახლა, რა თქმა უნდა, ეცდება, მეც მას დამამსგავსოს“...

მაგრამ რაკელი მაინც ის ერთადერთი არსება იყო, რომელიც ასე იზიდავდა ბერტას; რაკელი ლამის კერპად გაიხადა.

3

საბრალო ხუანი ამ ორმა ქალმა შუაში მოიმწყვდია, ამ ორმა – მაცდურმა დემონმა და მფარველმა ანგელოზმა, ზურგს უკან რაკელი ედგა, წინ – ბერტა; ორივე უბიძგებდა, მაგრამ საით? ეტყობა, ორივემ დასაღუპად გაწირა და აკი იღუპებოდა კიდეც მათი წყალობით, არც ერთს ეცოდინებოდა და არც მეორეს, ორივე მზად იყო შუაზე გაეგლიჯა; სწორედ იმ ბავშვის დღეში იყო, ორი დედა სოლომონის სამსჯავროს წინაშე ერთმანეთს რომ ედავებოდა, ოღონდ ის ვერ გამოეცნო, რომელი მათგანი შეელეოდა ხუანს და ცოცხალს დაანებებდა მეტოქეს, რომელი გაწირავდა შუაზე გასაგლეჯად, ბერტა თუ რაკელი!

ქალწულის თვალები, ცისფერი და ნათელი, ვითარცა უძირო და უნაპირო ზღვა თავის მორევში ეზიდებოდა, ხოლო ზურგს უკან ედგა, უფრო სწორად, ირგვლივ თითქოს ყველაფერს ავსებდა რაკელის შავი და ქუფრი თვალები, ვითარცა უკიდეგანო და უვარსკვლავო ღამე და უფსკრულისკენ უბიძგებდნენ.

ბერტა: რა გემართება, ხუან? ერთხელ მაინც გამიხსენი გული, მე ხომ შენი ბავშვობის მეგობარი ვარ, თითქმის დად გეკუთვნი...

დონ ხუანი: და... და...

ბერტა: რაო, არ გინდა შენი და ვიყო?

დონ ხუანი: მე და არ მყავს, დედაჩემიც თითქმის არ მახსოვს... ვერც იმას ვიტყვი, საერთოდ თუ ვიცნობდი ქალს...

ბერტა: ვითომ? აბა, რას ამბობ?..

დონ ხუანი: ქალებს, როგორ არა, მაგრამ ქალს, ერთადერთი ქალი რომ ჰქვია, არა...

ბერტა: მაშ, ის ქვრივი რაკელი?..

ბერტას თვითონვე გაუკვირდა, ასე მშვიდად რომ წარმოთქვა მისი სახელი, ხმაც კი არ აკანკალებია და ხუანმაც რომ აუღელვებლად მოუსმინა.

დონ ხუანი: იმ ქალმა, ბერტა, მე ქალებისგან მიხსნა!

ბერტა: კარგი, მაგრამ ახლა...

დონ ხუანი: ახლა კი მისგან უნდა მიხსნას ვინმემ...

ამას რომ ამბობდა, უეცრად იგრძნო, რა დაჟინებით აქეზებდა ქვრივის თვალების ბასრი მზერა.

ბერტა: ეგებ მე შევძლო და დაგეხმარო...

დონ ხუანი: ოოჰ, ბერტა, ბერტა...

ბერტა: ერთი სიტყვით, შენ გინდა, რომ პირველმა მე ვაღიარო...

დონ ხუანი: მაგრამ, ბერტა...

ბერტა: ბოლოს და ბოლოს, როდისმე იგრძნობ თავს ნამდვილ მამაკაცად? ნუთუ ვერასოდეს გამოიჩენ ნებისყოფას?..

დონ ხუანი: კარგი და კეთილი, გინდა მიხსნა?

ბერტა: ჰო, მაგრამ, როგორ?..

დონ ხუანი: როგორ და, გამომყევი ცოლად!

ბერტა: როგორც იქნა! ესე იგი, შენ გადაწყვიტე, ცოლად შემირთო?

დონ ხუანი: ცხადია!

ბერტა: ცხადია? სულაც არ არის ცხადი! შენ გინდა, რომ ცოლად გამოგყვე?

დონ ხუანი: ასეა, მე მინდა!..

ბერტა: შენი, საკუთარი ნება-სურვილია?

ხუანმა შეამჩნია, როგორ ჩამუქდა ქალიშვილის ნათელი, ცისფერი თვალები და გააჟრჟოლა. „ნეტავ, თუ მიხვდა სიმართლეს?“ – გაიფიქრა მან და უკან დახევას აპირებდა, მაგრამ ქვრივის თვალებმა შეაჩერა და წააქეზა: „სიმართლე უთხარი, შენ ხომ ტყუილის თქმა არ გეხერხება!..“

დონ ხუანი: დიახ, საკუთარი ნება-სურვილით!..

ბერტა: მერედა, გაგაჩნია კი?

დონ ხუანი: თუ ცოლად გამომყვები, შევიძენ!

ბერტა: მაგრამ, მაშინ...

დონ ხუანი: რა, მაშინ?..

ბერტა: მაშინ ის ქალი უნდა მიატოვო!..

დონ ხუანი: ბერტა, ბერტა!..

ბერტა: კარგი, თუ არ გსიამოვნებს, ნურც ვახსენებთ, მაგრამ როგორც ვხვდები, თავად ვერ დაგიღწევია მისგან თავი და ამისთვის მე ამირჩიე, ხომ ასეა?

დონ ხუანი: ჰო, ასეა... (და მან თავი დახარა).

ბერტა: გგონია, მე დაგიბრუნებ შენს დაკარგულ ნებასაც?

დონ ხუანი: ჰო, ასეა...

ბერტა: რომ იმის ნებას დაუპირისპირდეს, არა?

დონ ხუანი: ჰო, ასეა...

ბერტა: დაე, ასეც იყოს!..

დონ ხუანი: ოჰ, ბერტა... ბერტა!..

ბერტა: აბა, დაწყნარდი, შორიდან მიყურე და ახლოს არ მომეკარო, საცაა ჩემი მშობლები შემოვლენ...

დონ ხუანი: ისინი რაღას ამბობენ, ბერტა?

ბერტა: ხუან, ნუთუ ისეთი გულუბრყვილო ხარ, რომ ვერ ხვდებოდი, ყველაფერი ადრევე მოფიქრებული და გადაწყვეტილი რომ გვექნებოდა?

დონ ხუანი: მაშასადამე...

ბერტა: მაშასადამე, ჩვენ ყველა ერთად გიშველით და გადაგარჩენთ...

4

საბრალო ხუანს ქორწინებასთან დაკავშირებულმა ათასმა საზრუნავმა მთლად გაუმწარა სიცოცხლე. ბერტას მშობლებმა ყველაფერი იღონეს, რათა ქალიშვილის მომავალი უზრუნველყოფილი და რაიმე შემთხვევისგან დაცული ყოფილიყო, მაგრამ არც საკუთარი კეთილდღეობა დავიწყებიათ. ბერტა მათი ერთადერთი შვილი როდი გახლდათ, თუმცა კი ბევრს ასე ეგონა; მათ ვაჟიშვილიც ჰყავდათ, რომელიც სულ ყმაწვილი წავიდა ამერიკაში და ქალაქში კარგა ხანია აღარავის ახსოვდა, ოჯახში კი ხსენებითაც აღარ ახსენებდნენ. ცოლ-ქმარმა ლაპეირამ იმაზეც იზრუნა, რომ ხუანს ქორწინებამდე მოეგვარებინა მათი ქალიშვილის უზრუნველყოფის საკითხი, მაგრამ თავის მხრივ, არც უფიქრიათ, სასიძო საკუთარი ავლადიდების საქმეში

ჩაეხედებინათ. არც ხუანს შეუწუხებია თავი, ისიც მარტო იმას ჰპირდებოდა, ქორწინებამდე შევადგენ ანდერძს, რომლის თანახმად ცოლი გახდება ქმრის ერთადერთი მემკვიდრე და მთელი მისი ქონების პატრონი, თუკი მცირეოდენი ნაწილი რაკელსაც შეხვდებაო; ამაზე მისი მომავალი სიდედრ-სიმამრი სიამოვნებით დათანხმდნენ.

ასე და ამგვარად, რაკელი არც ცოლ-ქმარი ლაპეირასთვის და არც მათი ქალიშვილისთვის საშიში აღარ იყო; იმასაც კი ფიქრობდნენ, კეთილმეგობრული ურთიერთობაც შეიძლება ასეთ გონიერ და სანდო ადამიანთან, რადგან თავის დროზე ხუანს მართლაც კეთილ მხსნელად მოევლინაო; ესეც არ იყოს, მშობლებიცა და ქალიშვილიც დარწმუნებული იყვნენ, რომ, ჯერ ერთი, თავად ბერტა რბილად და ჭკვიანურად შეძლებდა ქმრის გულის მონადირებას და მეორეც, რაკელიც თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ახალგაზრდების ბედნიერებას. სწორედ ამას გულისხმობდა მისი მომავლის უზრუნველყოფაც და საქმის იმდაგვარად მოწყობა, რომ წესიერი და პატიოსანი ადამიანები პატივისცემით მოჰკიდებოდნენ მას! რაც უნდა იყოს, რაკელი, არც არასდროს ყოფილა ვულგარული თავგადასავლების მაძიებელი და არც ფულზე გაუყიდია თავისი სიყვარული. ხუანთან მისი კავშირი ურთიერთლტოლვით, ანდა სულაც თანაგრძნობით იყო ნაკარნახევი. ასე ფიქრობდნენ, ანდა ასე უნდოდათ ეფიქრათ ცოლ-ქმარ ლაპეირას.

მაგრამ ანგელოზივით ბერტას მშობლებმა არ იცოდნენ მთავარი, თუმცა არც არავინ იცოდა მთელ ქალაქში, იმის მიუხედავად, რომ ყველა მშვენივრად იცნობდა ქვრივს, – დიახ, ვერასოდეს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რაკელი ხელს მოაწერინებდა ხუანს საბუთზე, რომლის თანახმად, მთელი მისი ქონება, უძრავ-მოძრავი და სხვა ქვრივის მიერ შესყიდულად ჩაითვლებოდა, სხვა ფასეულობანიც ასევე მის სახელზე დაიწერებოდა; ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე მოაწყო, რომ ბეჩავი ხუანი მარტო რაკელის საქმეების რწმუნებულადღა რჩებოდა, თანაც ცბიერმა ქალმა ისე მოაგვარა, რომ არავის არაფერი გაუგია; ისიც უნდა ითქვას, რომ მას ასევე კარგად მოეხსენებოდა ლაპეირას ოჯახის ფინანსური მდგომარეობა.

რაკელი: ყური დამიგდე, ხუან, ცოტა ხანში, ეგებ სულაც თქვენს ქორწინებამდე, ანდა, ყოველ შემთხვევაში, თქვენი ქორწინების შემდეგ მაინც, ბერტას მშობლების მცირე ქონებაც, ანუ შენი მომავალი მეუღლის ქონება, – მეუღლისა, ასე არაა? ცოლისა კი არა, მეუღლისა, – ჩემი გახდება... ესე იგი, ჩვენი!..

დონ ხუანი: ჩვენი?

რაკელი: დიახ, ჩვენი ვაჟიშვილისა, თუკი შენი მეუღლე ვაჟიშვილს გაგვიჩენს, თუ არა და...

დონ ხუანი: შენ მე მომკლავ, კელინა...

რაკელი: გაჩუმდი, ფისო, ჩათვალე, რომ მთელი მათი ქონება უკვე ხელთა მაქვს და მათ კრედიტებსა და გირავნობის სიგელსაც მე ვიყიდი... იცოდე, ყველაფერი ამის შემდეგ, ისინი მაინც იტყვიან: „რაკელი კარგი ქალია, კეთილშობილი, მან ჩვენი ქალიშვილის ქმარი რომ იხსნა და ჩვენი ოჯახის კეთილისმყოფელი და ჩვენი სიბერის ნუგეშიც არისო!“ დამიჯერე, ასე იქნება, ასე იქნება! რატომაც არა!

დონ ხუანი: რაკელ! რაკელ!

რაკელი: ისე წუწუნებ, ხუან, გეგონება, კრავივით მიმყავდე სამსხვერპლოზე!..

დონ ხუანი: ასეც არის...

რაკელი: არა, სულაც არ არის ასე! მე შენგან შევქმნი ნამდვილ მამაკაცს! მე შენ მამად გაგხდი!

დონ ხუანი: შენ?

რაკელი: სწორედ მე, ხუან, მე, რაკელი!

ხუანს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს აგონიაში იყო.

დონ ხუანი: მაგრამ ერთი ისიც მითხარი, კელინა, მითხარი – მის ხმაში ცრემლები იგრძნობოდა, – რატომ შემიყვარე? რატომ მომაჯადოე? რატომ დამშრიტე სულერთიანად, რისთვის გადამაქციე უნებისყოფო თოჯინად? რისთვის მომწყვიტე ჩემს ადრინდელ ცხოვრებას?..

რაკელი: მე რომ არა, აქამდეც ვერ მოაღწევდი, გაკოტრდებოდი და სიღატაკესა და ავადმყოფობაში ამოგხდებოდა სული.

დონ ხუანი: ის მერჩივნა, რაკელ, ის მერჩივნა!... ჯობდა სიღატაკესა და ავადმყოფობაში ამომხდომოდა სული. განა ახლა ღატაკი არა ვარ? განა ახლა მე ჩემს თავს ვეკუთვნი? რატომ გამძარცვე სულით ხორცამდე?..

საცოდავ ხუანს ქვითინი ახრჩობდა. რაკელმა ისევ დედობრივი სინაზით ჩაიხუტა, ჩვეულებისამებრ მუხლებზე დაისვა, მაგრად მიიკრა თავის უნაყოფო სხეულზე, წითელი სისხლით სავსე მკერდზე, ვერასოდეს რომ ვერ გადაიქცეოდა თეთრ რძედ, სახე სახესთან მიუტანა, გაშლილ თმაში გაახვია, მწარედ ატირდა და თან გულამომჯდარი ეუბნებოდა:

რაკელი: ჩემო შვილო, ჩემო შვილო, ჩემო შვილო!.. მე კი არ გაგძარცვე, პირიქით, შენ გამძარცვე, შენ მომტაცე სული, შენ, შენ! შენ მომტაცე სხეული!.. ჩემო შვილო!.. ჩემო ბიჭო! ჩემო შვილო!.. ვხედავდი, რომ დაღუპვის გზაზე იდექი, ვხედავდი, რასაც ეძებდი და ვერასოდეს იპოვიდი. მე კი შვილს ვეძებდი. იმედი მომეცა, შენში ვპოვებდი, შენ მაღირსებდი შვილს, ურომლისოდაც სიცოცხლე არად მიღირს... ახლა მე მსურს დედა გამხადო!..

დონ ხუანი: მაგრამ, ის ხომ შენი მაინც არ იქნება, კელინა...

რაკელი: არა, იქნება, ჩემი იქნება, ჩემი... ისიც შენსავით ჩემი გახდება; მე ხომ ვარ შენი ცოლი?

დონ ხუანი: ხარ, როგორ არა, შენა ხარ ჩემი ცოლი...

რაკელი: ის კი შენი მეუღლე იქნება, მეუღლე! ხელოსნებმა იციან ხოლმე თქმა – „ჩემი მეუღლე!“ მე უნდა გავხდე შენიცა და თქვენი ბავშვის დედაც... ჩემი ბავშვისა!..“

დონ ხუანი: ვაითუ, არ გვეყოლოს!

რაკელი: გაჩუმდი, ხუან, გაჩუმდი! თუ არ გეყოლებათ, თუ ვერც ის გაგვიჩენს ბავშვს... მაშინ, მზად ვარ...

დონ ხუანი: გაჩუმდი, რაკელ, ეგ ხმა, ხრინწიანი ხმა, შიშს მგვრის!

რაკელი: ჰო, მზად ვარ სხვა ცოლი მოგიძებნო!

დონ ხუანი: ვაითუ, ჩემი ბრალია, რომ...

რაკელმა ხელი ჰკრა, მეხდაცემულივით ფეხზე წამოიჭრა, ცივი, ბასრი მზერა ესროლა, მაგრამ მაშინვე, როგორც კი მისი თვალების ცივი ხანჯალი მის მკერდს შეეხო, მკლავები გაშალა და შესძახა:

რაკელი: არა, არა, ხუან, მოდი ჩემთან! ჩემო შვილო! ჩემო შვილო! შენს მეტი შვილი რად მინდა. განა შენ ჩემი ბავშვი არა ხარ?

(და ციებცხელებიანივით აკანკალებული და ლამის გონმიხდილი კაცი ლოგინში ჩააწვინა).

5

რაკელმა არ ისურვა მათ ქორწილს დასწრებოდა, თუმცა ბერტამაც და მისმა მშობლებმაც დაპატიჟეს; ავადმყოფობის მომიზეზებაც არ დასჭირვებია, მართლა ავად გახდა.

რაკელი: არ მეგონა, რომ ასე დაიმდაბლებდნენ თავს, ხუან; ვიცოდი, რა ქარაფშუტები და პატივმოყვარეებიც ბრძანდებიან ქალიშვილიცა და მისი მშობლებიც, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ საზოგადოების წეს-კანონებს ასე დაუპირისპირდებოდნენ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ჩვენს ურთიერთობაში არაფერი ყოფილა სამარცხვინო, არც საზოგადოებაში გამოვჩენილვართ ერთად და არც ხალხისთვის გაგვიცხადებია თუ დაგვინახვებია ჩვენი ურთიერთობა, თუმცა ქალაქში ისედაც ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა. მათი დაჟინება, რომ მაინცდამაინც შენ უნდა დაგეპატიჟე, მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდა – დაედასტურებინათ, რომ მათმა ქალიშვილმა გაიმარჯვა! სულელები! მერე, ის, შენი მეუღლე?..

დონ ხუანი: ღვთის გულისათვის, რაკელ, იმაზე მაინც იფიქრე, რომ...

რაკელი: მაინც რაზე... როგორ შეეთვისეთ? როგორ მოგწონს მისი ხვევნა-ალერსი? უკვე მოასწარი შენი გამოცდილების გაზიარება? ვეჭვობ, ჩემგან შეძენილი მაინც თუ გადაეცი... შენ მაინც არ ეკუთვნი მას...

დონ ხუანი: მაგრამ მე არც ჩემს თავს ვეკუთვნი...

რაკელი: სამაგიეროდ, მე მეკუთვნი, ფისო, შენ ჩემი ხარ, ჩემი, ჩემი... ახლა უკვე ორივემ იცით თქვენი მოვალეობა და ჭკუით მოიქეცი, აქ, ჩვენს სახლშიც სიარულს მოუკელი.

დონ ხუანი: მაგრამ, რაკელ...

რაკელი: რაკელი უკვე სათვალავში აღარ მიიღება; ახლა შენ მეუღლეს უნდა ელოლიავო! მასზე უნდა იზრუნო.

დონ ხუანი: ის კი თვითონ მირჩევს, ხანდახან შენც გესტუმრო ხოლმე!

რაკელი: ასეც ვიცოდი! მთლად გადარეულა! ამაშიც მე მბაძავს, ვერ ხედავ?

დონ ხუანი: ჰო, ცდილობს. ყველაფერში შენ გბაძავს, ჩაცმა-დახურვაში, თმის ვარცხნილობაში, მიხრა-მოხრასა თუ ქცევაში...

რაკელი: ჰო, როცა თქვენ აქ, ჩემთან, ვითომ ოფიციალური ვიზიტით მობრძანდით, შევამჩნიე, რომ სულ მაკვირდებოდა.

დონ ხუანი: ის კი არადა, ამბობს, უფრო უნდა დავუახლოვდეთ ერთმანეთს, მით უმეტეს, მეზობლები ვართ, ლამის გვერდიგვერდ ვცხოვრობთო...

რაკელი: ეს უკვე ტაქტიკაა, უნდა, რომ შემენაცვლოს, ხშირად რომ გვნახავ ერთად, ერთმანეთს უფრო უკეთ შეგვადარებ... შენი გულიდან უნდა რომ გამაძევოს...

დონ ხუანი: მე კი სულ სხვანაირად ვფიქრობდი...

რაკელი: მაინც როგორ?

დონ ხუანი: მე ვფიქრობდი, რომ შენ მას უყვარხარ, მართლა მოხიბლე და მოაჯადოე.

რაკელმა თავი დახარა, უეცრად მკვდრისფერი დაედო, ხელები მკერდზე დაიკრიფა, სუნთქვაც კი შეეკრა, გამსჭვალავი მზერა მიაპყრო და თქვა:

რაკელი: ამან თავისი ნაყოფი უნდა გამოიღოს...

როცა ხუანმა ხელი მოხვია და სცადა ვნებიანი, ხარბი კოცნით დამშვიდობებოდა, ქვრივმა ახლოსაც არ მიუშვა და უთხრა: არა, ოღონდ არა ახლა! არც ის მინდა, რომ ეს კოცნა მას გადასცე და, არც ის, რომ მას წავართვა...

დონ ხუანი: ხომ არ ეჭვიანობ?

რაკელი: ვეჭვიანობ? სულელო! რა გგონია, მე შენს მეუღლეზე ვიეჭვიანებ? შენს მეუღლეზე? მე, შენი ცოლი? თანაც მას შემდეგ, რაც მე თვითონ შეგაუღლეთ, დაგლოცეთ და გისურვეთ ბავშვები გაგეჩინათ ზეციერისთვის? ზეციერისთვის და ჩემთვის?

დონ ხუანი: ჩემი ზეცა შენა ხარ!

რაკელი: აქამდე ჯოჯოხეთი ვიყავი!..

დონ ხუანი: მართალია...

რაკელი: ახლა მოდი ჩემთან, ჩემო შვილო, მოდი... (მან თავზე ხელები შემოაჭდო და შუბლზე აკოცა; ამ მშრალი, ცხელი კოცნითა და ამ სიტყვებით დაემშვიდობა): ახლა წადი და შენი ვალი მოიხადე მის წინაშე, მაგრამ თქვენ ორივე ვალდებული ხართ ასევე ჩემ წინაშეც და კიდეც უნდა შეასრულოთ... თუ არადა, კარგად იცი, რომ შემიძლია...

6

მართლაც ბერტა სულ იმაზე ფიქრობდა, როგორმე ამოეცნო რაკელის ჯადო და ასე მაინც მოენადირებინა ქმრის გული, მორეოდა თავის გრძნობებს, გამხდარიყო თავისთავადი, ნამდვილი ქალი; სწორედ ამიტომ იყო, რომ ასე ხარბად ნთქავდა ხუანის ქალბატონისა და მბრძანებლის ყოველ სიტყვას, უნდოდა ამოეცნო მისი ფიქრი, ამ გზით შეეცნო საკუთარი თავი. და აი, ერთხელაც, ორივემ, რაკელმაც და ბერტამაც უსიტყვო შეთანხმებით, თავიანთი ხუანი მეგობრებთან ერთად სანადიროდ გაისტუმრეს, ბერტამ ვეღარ გაუძლო ცდუნებას და ესტუმრა ქვრივს.

ბერტა: ალბათ გაგიკვირდებათ, რომ მარტო გესტუმრეთ...

რაკელი: სულაც არა, კიდეც ველოდი, რომ მობრძანდებოდით...

ბერტა: ელოდით?

რაკელი: დიახ, ველოდი. რაც უნდა იყოს, რაღაც ამაგი მეც მაქვს თქვენს მეუღლეზე, ჩვენს საყვარელ ხუანზე; ეგებ თქვენი შეუღლებაც...

ბერტა: დიახ, ვიცი, თქვენ რომ არ გეზრუნათ და არ გამოგეხსნათ იმ ქალებისგან...

რაკელი: აა ჰ, ქალებისგან...

ბერტა: დიდად ვაფასებ თქვენს სულგრძელობას...

რაკელი: სულგრძელობას?.. აა ჰ, გასაგებია... თუმცა არა, არა! მაინც არ მმართებდა ჩემი ბედი მასთან დამეკავშირებინა, იმის მიუხედავად, რომ მას ნამდვილად უნდოდა ჩემზე დაქორწინება...

ბერტა: ასეც ვიცოდი...

რაკელი: მაგრამ რაკი გამოცდილი გვყავდა ერთმანეთი, ისიც ვიცოდით, რომ მღვდლის კურთხევა ვერას გვიშველიდა და შვილები მაინც არ გვეყოლებოდა, რომ ზეციერისთვის გაგვეზარდა... რატომ გაწითლდი, ბერტა? განა იმისთვის არ მობრძანდით, რომ გულწრფელად გვესაუბრა?..

ბერტა: მართალი ბრძანებაა, რაკელ, მაშ, ვიყოთ გულახდილები...

რაკელი: მე ჩემი ეგოიზმის გამო მას ვერ გავწირავდი... დაე, ის ეწიოს იმ ბედნიერებას, რასაც მე ვერ ვეღირსე...

ბერტა: ოოჰ, მადლობელი ვარ! მადლობელი ვარ!

რაკელი: სამადლობელი არაფერია! სულ არაფერი! ეს ხომ მის სასიკეთოდ მოვიმოქმედე!

ბერტა: სწორედ იმისთვის გიხდით მადლობას, რომ მის სასიკეთოდ მოიმოქმედეთ, მადლობელი ვარ!..

რაკელი: ააჰ!

ბერტა: ხომ არ გწყინთ?

რაკელი: არაფერია საწყენი. გავა დრო და თქვენც ისწავლით...

ბერტა: რას, თვალთმაქცობას?

რაკელი: არა... გულწრფელობას!

ბერტა: თქვენ ფიქრობთ, რომ მე არ ვარ გულწრფელი?

რაკელი: თვალთმაქცობაც შეიძლება იყოს გულწრფელი, ხოლო ქორწინება თვალთმაქცობის კარგი სკოლაა...

ბერტა: როგორ?

რაკელი: აკი მეც გახლდით გათხოვილი!

ბერტა: აჰ, მართალია! თქვენ ხომ ქვრივი ბრძანდებით!

რაკელი: ქვრივი... ქვრივი... მუდამ ქვრივი ვიყავი... ასე მგონია, ქვრივად დავიბადე... ჩემი ნამდვილი ქმარი კი ჩემს გაჩენამდე მოკვდა... მაგრამ მოვეშვათ ამ სისულელეებს. როგორ შეეთვისეთ ხუანს?

ბერტა: მოგეხსენებათ მამაკაცების ამბავი...

რაკელი: არა, მამაკაცებისა კი არა, მამაკაცის! როცა მითხარით, ჩვენი ხუანი ქალებისგან იხსენითო, მე მხოლოდ მხრები ავიჩეჩე; ახლა კი გეტყვით, ბერტა, რომ თქვენ მხოლოდ ერთი მამაკაცი გაბარიათ და მას უნდა მიხედოთ, თქვენს მამაკაცს უნდა მიხედოთ და მასში ეძიოთ მამაკაცი...

ბერტა: მეც ამას ვცდილობ, მაგრამ...

რაკელი: მაგრამ, რა?..

ბერტა: ის, რომ მე მასში ნებას ვერ ვპოულობ...

რაკელი: მერედა, აქ მოხვედით საპოვნელად?

ბერტა: ოჰ, არა, არა, მაგრამ...

რაკელი: მაგ თქვენი „მაგრამებით“ შორს ვერ წახვალთ...

ბერტა: მაინც სად უნდა წავიდე?

რაკელი: სად? ესეც მე უნდა გასწავლოთ?

ბერტა მიტკალივით გაფითრდა, შეჭოჭმანდა; რაკელის თვალები ბასრი მზერით თითქოს სიჩუმეს ჰკვეთდა. ბოლოს ჰკითხა.

ბერტა: მაინც სად?

რაკელი: დედა უნდა გახდეთ! ეს თქვენი ვალია, რაკი მე ვერ ვეღირსე დედობას, თქვენ მაინც გახდით!

კვლავ მძიმე სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ მალე ბერტას წამოძახილმა დაარღვია.

ბერტა: მე გავხდები დედა!

რაკელი: მადლობა ღმერთს! რატომ გკითხეთ, აქ ხუანის ნების საპოვნელად ხომ არ მოსულხართ-მეთქი! მაშ, იცოდეთ, დონ ხუანის, ჩვენი, ორივეს მამაკაცის ერთადერთი ნებაა, გახდეს მამა!

ბერტა: ნამდვილად მისია?

რაკელი: დიახ, მისია, მისია იმდენად, რამდენადაც ჩემია!

ბერტა: ახლა კიდევ უფრო აღმაფრთოვანა თქვენმა სულგრძელობამ...

რაკელი: სულგრძელობამ? ეს რა შუაშია! არა... მაგრამ თქვენ მაინც ჩემი ერთგულებისა და მეგობრობის იმედი უნდა გქონდეთ, გამოიყენეთ...

ბერტა: ეჭვი არ მეპარება...

რაკელმა კარამდე მიაცილა ბერტა და დაემშვიდობა.

რაკელი: გადაეცით თქვენს მშობლებს, რომ მათი ნახვა მსურს...

ბერტა: ჩემი მშობლების?

რაკელი: დიახ, მათთან მე საქმიანი საუბარი მექნება... ჩემი ქვრივული ცხოვრების გასახალისებლად ხანდახან საქმეებსაც ვეჭიდები, ფინანსურ საქმეებს... მაგრამ კარი რომ დახურა, თავისთვის თქვა: საბრალო მეუღლე!

7

როცა ბოლოს და ბოლოს, შემოდგომის ერთ დილას ბერტამ მეუღლეს ამცნო, მალე მამა გახდებიო, საბრალო კაცმა იგრძნო, როგორ შემოეგრაგნა მის ისედაც გაწამებულ სულს მძიმე ჯაჭვი; განსაკუთრებით მწვავედ იგრძნო მასში ჩამკვდარი ნებისყოფის ლმობა. დიდი ბრძოლა იყო გადასახდელი. ნუთუ მართლა ვაჟიშვილი გაუჩნდება? ნუთუ მართლა მამა გახდება? რას ნიშნავს მამობა?

ბერტაც გაოგნებული იყო ბედნიერებისგან. მაინც გაიმარჯვა რაკელზე! თუმცა ისიც კარგად ესმოდა, რომ ეს გამარჯვება შეიძლება მარცხად შემობრუნებულიყო და ახსენდებოდა ქვრივის სიტყვები, მისი მზერა. როცა ხუანმა ეს სასიხარულო ამბავი რაკელს აცნობა, ქალს ჯერ მკვდრისფერი დაედო, სუნთქვა შეეკრა, მერე სახე აენთო და მძიმედ ამოიხვნეშა, შუბლი ოფლით დაეცვარა, იძულებული გახდა დამჯდარიყო, ბოლოს, თითქოს ძილ-ბურანიდან გამოერკვაო, წაიბუტბუტა:

რაკელი: ახლა უკვე საბოლოოდ ჩაგიგდე ხელში, ხუან!

და მოეხვია, მაგრად მიიკრა აცახცახებულ ტანზე და გაშმაგებით დაუწყო კოცნა; კოცნიდა თვალებში, ტუჩებში, ხელისგულებში მოიქცევდა მის სახეს, მერე განზე გასწევდა, ჩახედავდა თვალებში, მათში საკუთარ ანარეკლს დაინახავდა, ისევ დაუწყებდა კოცნას, მერე შეშლილივით, ხმაჩახლეჩილი წაიბუტბუტებდა: „მაცადე, გაკოცო!“ და კოცნიდა და კოცნიდა დაუსრულებლად. ხუანს კი ეჩვენებოდა, საცაა გავგიჟდებიო. აი, ახლა კი შემიძლია უფრო ხშირად გესტუმრო ხოლმე, ადრინდელზე ხშირადაც... მას აღარც სჭირდები...

დონ ხუანი: პირიქით, სწორედ ახლა ვჭირდები, სულ გვერდით უნდა, რომ ვყავდე...

რაკელი: შეიძლება... ჰო, ჰო, აკი ისიც ახლა ყალიბდება. მართალია... პატარას მიმართ განსაკუთრებული სინაზე და მზრუნველობა გმართებს... მაგრამ მას მალე ალბათ აღარც დასჭირდები... შეაწუხებ კიდეც.

ასეც მოხდა. პირველ თვეებში ბერტას მართლაც უნდოდა ქმარი სულ გვერდით ჰყოლოდა, ზრუნვა-ალერსი არ დაეკლო, შეეძლო საათობით მის გვერდით მჯდარიყო, მისი ხელი სჭეროდა ხელში და თვალებში ეცქირა. ასეთ დროს თავისდა უნებურად, ისევ რაკელზე იწყებდა ხოლმე საუბარს.

ბერტა: ახლა რაღას ამბობს?

დონ ხუანი: როცა ვუთხარი, ძალიან გაუხარდა.

ბერტა: მერე შენ გჯერა?

დონ ხუანი: რატომ არ უნდა მჯეროდეს?

ბერტა: მე არ მჯერა! ის ქალი კი არა, ნამდვილი დემონია! დემონია და კიდეც მოგნუსხა!

დონ ხუანი: განა შენ არა?

ბერტა: მაინც რა ჯადო აქვს ასეთი, ხუან?

დონ ხუანი: მისმა ჯადომ უკვე ძალა დაკარგა.

ბერტა: ამიერიდან ჩემი გახდები, მარტო ჩემი.

„ჩემი! ჩემი!“ – ფიქრობდა ხუანი, – ორივე მარტო ამას გაიძახის. უნდა მოვინახულო!

დონ ხუანი: ახლა?

ბერტა: ახლა, სწორედ ახლა, რატომაც არა?

დონ ხუანი: მოვინახულოთ, თუ ვეჩვენოთ?

ბერტა: მოვინახულოთ, რათა ვეჩვენოთ! მინდა ვნახო, რა გუნებაზე დადგება, როცა მნახავს!

ბერტა ხშირად სთხოვდა ხოლმე ხუანს, სასეირნოდ ერთად წავიდეთო; დაეყრდნობოდა მკლავზე, მიჰყვებოდა გვერდით და თან თვალი ხალხისკენ ეჭირა, მიყურებენ თუ არაო. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, სიარული რომ გაუჭირდა, სწორედ ისე მოხდა, როგორც რაკელმა იწინასწარმეტყველა, ქმარი უკვე აღიზიანებდა, მარტო ყოფნა ერჩივნა, ხოლო როცა გულზიდვებიც დაეწყო, თავს ცუდად გრძნობდა და ხუანს საყვედურებით ავსებდა: „აქ რას მიკეთებ, კაცო, წადი სადმე, გაიარ-გამოიარე სუფთა ჰაერზე. დამასვენე... რა სამწუხაროა, რომ კაცებს ასეთი რამის გადატანა არ გიწევთ! გამეცალე, კაცო, მომშორდი, ვერ ხედავ, რომ გული მერევა... რატომ წრიალებ, მოეშვი მაგ სკამს... არა, არა, ახლოს არ მომეკარო! წადი, წადი და თუ გინდა, გვიან დაბრუნდი; მე დავწვები! წადი, ჰო, კარგი, წადი და უამბე, როგორ ვიტანჯები... ვიცი, ყველაფერი კარგად ვიცი, მის ცოლად შერთვას რომ აპირებდი, ისიც ვიცი და ისიც, რატომაც არ გამოგყვა, რატომ არ მოისურვა...

დონ ხუანი: არა, აბა, რას ამბობ, ბერტა...

ბერტა: თვითონ მითხრა, თვითონ, ისიც ხომ ქალია, ისეთივე ქალია, როგორიც მე ვარ...

დონ ხუანი: არა, ისეთი არაა, როგორიც შენა ხარ... არა!

ბერტა: არა, არა, ის ხომ ამ მდგომარეობაში არ ყოფილა... მაინც რა ღორები ხართ მამაკაცები, ახლა წადი მასთან, წადი შენს ქვრივთან...

და როცა დონ ხუანი რაკელს ეახლებოდა და თავისი მეუღლის ამბავს წვრილად უყვებოდა, ქვრივი სიხარულისგან ცას ეწეოდა ხოლმე და უკოცნიდა და უკოცნიდა თვალებს, დიდხანს არ უშვებდა შინ და ზოგჯერ მთელი ღამეც კი ტოვებდა თავისთან, ხოლო გათენებისას კარამდე რომ მიაცილებდა, ბოლო კოცნასთან ერთად ამასაც ეტყოდა: „ახლა, როცა ის აღარც გელოდება, წადი მასთან და ტკბილი სიტყვებით ანუგეშე... უთხარი, რომ სულ მახსოვს და ველოდები...“

8

გაოგნებული დონ ხუანი ოთახში ბოლთას სცემდა და ტკივილივით გრძნობდა სიცარიელეს თავსა და გულში. ბერტას კვნესა-ტირილი თითქოს სხვა სამყაროდან მოისმოდა; სენიორ ლაპეირა, საკუთარი სიმამრიც კი ვერ შეამჩნია, ოთახის ბნელ კუთხეში მიყუჟული რომ ელოდებოდა შვილიშვილის დაბადებას. და რაკი უბედურ ხუანს თავი სიზმარში ეგონა, სულ არ გაჰკვირვებია, როცა კარი გაიღო და შემოვიდა... თავად რაკელი.

დონ პედრო: თქვენ ხართ? (წამოიძახა დონ პედრომ და წამოდგა).

რაკელი: მე გახლავართ, დიახ, მე, ვიფიქრე, ეგებ მეც რამეში დავეხმარო-მეთქი...

დონ პედრო: როგორ! თქვენ? დასახმარებლად მობრძანდით? ამ მძიმე წუთებში?

რაკელი: ეგებ ვინმეს ან რამის მოძებნა დაგჭირდეთ... მზად ვარ... ხომ არ გავიწყდებათ, რომ ქვრივი ვარ, დონ პედრო?

დონ პედრო: არა! დიახ, ქვრივი, მაგრამ...

რაკელი: არავითარი „მაგრამ“, ერთი სიტყვით, აქ ვარ და მიმსახურეთ!

დონ პედრო: კეთილი, წავალ და ჩემს მეუღლესაც შევატყობინებ.

მერე ასეთი საუბარი გაიმართა რაკელსა და დონია მარტას შორის.

დონია მარტა: ღვთის გულისათვის, სენიორა...

რაკელი: რაო, განა მე თქვენი ოჯახის მოკეთე არა ვარ?

დონია მარტა: როგორ არა, ხართ, ოღონდ მან არ გაიგონოს... არ გაიგოს, რომ...

რაკელი: რომ გაიგოს, რა მოხდება?

დონია მარტა: ღვთის გულისათვის, სენიორა, ცოტა ხმადაბლა ილაპარაკეთ, არ გაიგოს, რომ... ჩუმად, ჩუმად...

სწორედ ამ დროს გაისმა გულისგამგმირავი კივილი და დონია მარტა ქალიშვილისკენ გაიქცა; რაკელი გაიტრუნა, მშობიარობის კივილის შემდეგ ჩამოწოლილ სიჩუმეს მიაყურა, მერე დაჯდა; როცა ხუანმა გვერდით ჩაუარა, ხელი ხელზე სტაცა და მოუთმენლად ჰკითხა: „რა ეყოლა?“

დონ ხუანი: გოგო...

რაკელი: მე მას რაკელს დავარქმევ!..

და ქვრივი მაშინვე გაქრა.

9

როცა ხუანმა საუბარი წამოიწყო ბავშვზე თავის სიდედრ-სიმამრთან, ახლა უკვე ბებია და პაპასთან და ძალიან მორიდებით სიტყვა გადაუკრა, კარგი იქნება, ბავშვს რაკელი დავარქვათო, – თავად შიშისგან კინაღამ ენა ჩაუვარდა, მაგრამ ქვრივის თვალები თითქოს ზურგს უხვრეტდა, – ცოლ-ქმარ ლაპეირას სიტყვაც არ დაუძრავს, მეტისმეტად დათრგუნვილები ჩანდნენ. ნეტავ რა უნდა მომხდარიყო?

დონია მარტა: დიახ, დიახ, ჩვენ ისე ვართ დავალებული ამ ქალბატონისგან!.. ესეც არ იყოს, შენც ხომ დედის მაგივრობა გაგიწია...

დონ ხუანი: ასეა, ასე, მართალს ბრძანებთ...

დონია მარტა: მარტო სახელი კი არა, ვფიქრობ, ეგებ ჩვენი პატარა კიდეც მონათლოს...

დონ პედრო: მაშინ მითქმა-მოთქმასა და ჭორებსაც მოეღება ბოლო...

დონ ხუანი: სალაპარაკო აღარ ექნებათ, მაგრამ...

დონ პედრო: ჭორებს წინ უნდა აღუდგე, მით უმეტეს, რომ ყველაფერს ამახინჯებენ! კაცს ქუჩაში თავაწეული არ უნდა შეეძლოს სიარული?

დონ ხუანი: მართალი ბრძანებაა!

დონ პედრო: ყველა საკუთარი სინდისის თანახმად ცხოვრობს.

...და დონ პედრომ ისე გადახედა ცოლს, თითქოს რაღაც ძალიან ბრძნული აზრი თქვა და ცოლის თვალში ამაღლდა, ცოლის თვალში, ვინც ყველაზე კარგად იცნობდა მას.

მაგრამ ხუანის გაკვირვებას უკვე საზღვარი აღარ ჰქონდა, შიშმაც კი აიტანა, როცა ბერტას უთხრეს, გადავწყვიტეთ ბავშვს სახელად რაკელი დავარქვათ და ქვრივს ვთხოვოთ მონათლოსო, ბერტამ, მისი შვილის დედამ, ნაღვლიანად უპასუხა: „რაც გინდათ, ისა ჰქენით!“ საბრალომ ბევრი სისხლი დაკარგა, ერთთავად ძილბურანში იყო და ეჩვენებოდა, ბურუსი იდგა ირგვლივ.

ასე და ამგვარად, სულ ცოტა ხანში რაკელი ლაპეირების სახლშიც დაბინავდა და ყველაფერს თავის ჭკუაზე ატრიალებდა. ბერტა თავისი საწოლიდან ადევნებდა მას თვალს და ეგონა, იმქვეყნიური მოჩვენება გამომეცხადაო. ქვრივს კი უჩვეულოდ უელავდა თვალები, როცა ბავშვს კოცნიდა, ბერტას ეჩვენებოდა კოცნის ხმა მთელ ოთახში ისმოდა; თითქოს თვითონ: სიზმარში თუ აგონიაში იყო და ქვრივის მკაცრი, მბრძანებლური ხმა საიდანღაც, შორიდან, ალბათ იმ ქვეყნიდან ესმოდა.

რაკელი: ბერტა, ახლა ძიძა უნდა მოვძებნოთ. ჩემი აზრით, ბავშვის კვება, ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ახლა ხართ, საშიშიც კია, ამით ორივეს სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდება.

ბერტას თვალები ცრემლით აევსო.

რაკელი: თქვენიც კარგად მესმის, ბუნებრივია, ვიცი, რას ნიშნავს დედა... მაგრამ ახლა სიფრთხილე გვმართებს... ჯერ უნდა მომაგრდე, გამოჯანმრთელდე.

ბერტა: მაგრამ, რაკელ, სიკვდილი...

რაკელი: ვისი სიკვდილი? ბავშვისა ხომ არა? ჩემი კელინასი? არა... არა...

და მან ბავშვი ხელში აიყვანა; საბანში რომ ახვევდა, ისეთი გაშმაგებით კოცნიდა, რომ საბრალო ნამდვილ დედას გული ეფლითებოდა. მისი ყურება გაუსაძლის ტკივილს ჰგვრიდა; ბოლოს ვეღარ მოითმინა და დაიკვნესა.

ბერტა: კმარა, რაკელ, კმარა, ასე ნუ შეაწუხებთ პაწაწას, საბრალოს ეძინება... დააძინეთ...

მაგრამ რაკელი მაინც თავისას განაგრძობდა, თან არწევდა ბავშვს და თან კოცნიდა; მერედა, რა უცნაურ ნანას უმღეროდა, რა ენაზე, არავის ესმოდა, არც ბერტას, არც მის მშობლებს და არც თავად ხუანს. მაინც რას მღეროდა? მძიმედ ჩამოწოლილ სიჩუმეში ისე ინთქმებოდა ეს ნანა, გეგონებოდათ, საიდანღაც შორეული, ძალიან შორეული, სიზმრისეული, ბურუსში ჩაკარგული სამყაროდან მოისმისო. და როცა ხუანი უსმენდა, მაშინვე ძილი ერეოდა ხოლმე, სიკვდილის სიზმარივით ერეოდა და მისი დაცარიელებული გული შიშით ივსებოდა. მაინც რა ემართებოდა? ან რას მოასწავებდა ეს ყველაფერი? საერთოდ, რას ნიშნავდა მისი საკუთარი სიცოცხლე?

10

როცა ბერტამ მშობიარობის შემდეგ ცოტა მოიკეთა, იმ უსიამოვნო სიზმრებსაც თავი დააღწია და გამოფხიზლდა, მაშინღა დაინახა, რომ რაკელსა და მის მიერვე მოყვანილ და მორჩილ ძიძას ბავშვი სულ მოეშორებინათ მისთვის, უკვე საბრძოლველად მოემზადა. ისიც ცხადად დაინახა, რომ უფსკრულისკენ მიექანებოდა და ისიც დაინახა, თუ ვისი ან რისი მიზეზითაც ეწირებოდა მსხვერპლად... მაგრამ ყველაფერს როგორ დაინახავდა, რაკელის, ამ ქვრივის სულის ჯურღმულის სიღრმეს ბერტა

ვერასოდეს ჩასწვდებოდა. თუმცა ჩახედვა არც უცდია, კიდეც რომ ეცადა, ალბათ, მაშინვე თავბრუ დაეხვეოდა, ან იმ გაუგებარ ენაზე სიმღერა რას ნიშნავდა?

ბერტა: მაინც რას მღერით?

რაკელი: ჩემი ბავშვობის დროინდელი მოგონებებია...

ბერტა: როგორი...

რაკელი: ვერ გაიგებთ და ნურც ეცდებით გაიგოთ, რისთვის?..

მაგრამ ბერტა, კიდეც რომ მოენდომებინა, ამაზე მეტს მაინც ვერ გაიგებდა! რაც გაიგო, ისიც კმაროდა! ამდენის ცოდნა არც სჭირდებოდა! ჯობდა, არ დაჰყოლოდა მაცდურ გველს და არ ეგემნა სიკეთისა და ბოროტების ხის ნაყოფი! ახლა მისი მშობლები თქვით, მისი კეთილი მშობლები, საკუთარ სახლში უცხოებივით, შეკედლებულებივით რომ გრძნობდნენ თავს. შვილიშვილის ნახვაც კი ენატრებოდათ, მარტო ძიძას უნდა მოეყვანა ანდა მას.

ბერტა გრძნობდა, როგორ ღვივდებოდა ქმრისადმი სიბრალული მის გულში, საბრალო ხუანისადმი. ისე შემოხვევდა ხოლმე თავის გამხდარ ხელებს, თითქოს მის დაცვას ცდილობდა უჩინარი მტრისგან, რაღაც საშინელი ხიფათისგან; თმაგაშლილი და შუბლდაცვარული მიეყრდნობოდა მკერდზე და ტიროდა და ტიროდა, მისი აკვნესებული და აჩქროლებული გული მიენდობოდა ხოლმე ხუანის სევდაშემოწოლილ გულს, და ერთხელაც როცა მეუღლე-დედამ ასეთ წუთს დაიკვნესა: „ჩემო შვილო!.. ჩემო შვილო!.. ჩემო შვილო!..“ – კინაღამ თვითონვე მოკვდა შიშისგან, რადგან დაინახა, რა მიცვალებულივით გაფითრდა ხუანი და როგორ მოექცა სახე მწუხარებისგან.

ბერტა: რა დაგემართა, შვილო, რა მოხდა?

დონ ხუანი: გაჩუმდი, კელინა, გაჩუმდი, შენ მე მომკლავ...

ბერტა: ხუან, შენ ხომ ჩემთან ხარ ახლა, ჩემთან, შენს ბერტასთან...

დონ ხუანი: ვეღარაფერს ვხვდები, სადა ვარ...

ბერტა: რა გემართება ასეთი, შვილო?..

დონ ხუანი: ნუ ამბობ ამ... ნუ იმეორებ... ამ... ნუ...

ბერტა ხვდებოდა, რაც ტანჯავდა მის ქმარს და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, როგორმე მოენადირებინა მისი გული, გაეთავისუფლებინა; რამე უნდა ეღონა, თუნდაც შვილი დაეთმო რაკელისთვის, ოღონდ კი მის მეორე შვილად ეგრძნო თავი ხუანს, მას უყვარდა ქმარი, თავისი ქმარი!

და ისიც, მისი ქმარი, ხუანი თანდათან უფრო მეტად გრძნობდა თავს მამაკაცად, ქმრად, ვინემ მამად. იგი ხვდებოდა, რომ რაკელისთვის იგი უფრო იარაღი იყო, საშუალება, ოღონდ რისი საშუალება? დედობის შმაგი წყურვილის მოსაკლავად? ანდა ეგებ რაღაც უცნაური შურისგებისთვის? სხვა სამყაროდან ნაკარნახევი შურისგებისთვის? ეგებ ის უცნაური ნანა, რაკელი რომ უმღეროდა ხოლმე პატარა კელინას უცნობ ენაზე, – უმღეროდა ხოლმე არა თავის ნათლულს, არამედ საკუთარ შვილს, უნაყოფო ქვრივის შვილს, – ეგებ სწორედ ის უცნაური ნანა ჰყვებოდა შურისგების ნეტარებაზე, ასე ბანგივით რომ მოქმედებს და ძილბურანში ახვევს ადამიანს. ახლა რაღას ნიშნავდა ხუანი რაკელისთვის? ახლა უწინდებურად აღარც ეძებდა თავის ხუანს. მაგრამ როცა იპოვიდა, ისევ ისე, უწინდებურად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ უფრო შმაგად და კუშტად.

რაკელი: ახლა შენ გვერდიდან აღარ უნდა მოსცილდე შენს ბერტას, შენს მეუღლეს, რაც შეიძლება მეტი დრო უნდა გაატარო მასთან! – უთხრა ერთ დღეს, – ბიჭიც ხომ გვინდა, ბიჭიც უნდა გააჩინოს, თან კიდეც დაიმსახურა, რადგან გოგონა ჩემია, ჰო, კელინა მარტო ჩემია, ჩემია, ჩემი და ეს შენც კარგად მოგეხსენება, მის გაჩენას ხომ მე უნდა მიმადლოდეთ, ლამის ჩემს მუხლებზე დაბადა ბერტამ, შენმა ბერტამ, ჩვენმა ბერტამ, ასე არ არის ნათქვამი წმინდა წიგნში? ახლა შენ მისთვის უნდა იცოცხლო, შვილო.

დონ ხუანი: შენ მე მომკლავ, რაკელ.

რაკელი: ყური დამიგდე, ხუან, ერთხელ არ მომისმენია შენგან ეს სიმღერა და ორჯერ, ეჭვი არ მეპარება, რომ მისთვისაც ბევრჯერ გიმღერია, შენი მეუღლისთვის... მაგრამ თუ სიცოცხლე მოგბეზრდა და თავის მოკვლა გინდა, მოიკალი, ოღონდ ჩვენ ნუ დაგვაბრალებ. მე რომ მკითხო, შენ უნდა იცოცხლო, ეს აუცილებელიცაა, შენს ბერტას ამქვეყნად უფრო სჭირდები, ცოცხალი სჭირდები. და როცა ხუანმა სცადა რაკელის მკლავებიდან თავი დაეხსნა, მან კიდევ უფრო მაგრად შემოხვია მკლავები და უთხრა: დიახ, თუ მე ვხედავ ხოლმე, იმანაც დაგვინახოს!

შემოდის ბერტა.

რაკელი: აჰა, შენც მიყურე, ბერტა! ვიცოდი, რომ შემოხვიდოდი!..

და მან მახვილი დაუსვა „შენ“-ს. მერე მძიმედ, უღელივით დაადო ხელი კისერზე ხუანს, ოდნავ უკან დაიხია და განაგრძო: მაგრამ შენ ცდები, მე იმისთვის ვიბრძოდი, რომ შენთვის ქმარი მომეპოვებინა, ამიტომ იყო, რომ ხუანს სულ იმას ვუჩიჩინებდი, საკუთარი თავი მხოლოდ შენთვის მოეძღვნა. აჰა, შენთვის დამითმია, მე უკვე გამხადა დედა, ახლა შენი ჯერია, შენც შეგიძლია გახდე დედა, ისიც შეგიძლია, მას შვილი უწოდო, თუკი ჩვენ მას არ მოვკლავთ, როგორც თვითონ იცის ხოლმე თქმა, როცა მას შვილს ვეძახით. ორი დედის ამბავიც გეცოდინება, სოლომონის წინაშე ერთმანეთს რომ ედავებოდნენ ბავშვის გამო. აჰა, შენ წინაშეა ბავშვი, ყოფილი დონ

ხუანი! მე მას შუაზე გასაგლეჯად ვერ გავიმეტებ, რადგან მოკვდება, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე... დამითმია იგი შენთვის მთლიანად.

ბერტა: ეს იმას ნიშნავს, რომ შენ...

რაკელი: რომ მე ვარ ნამდვილი დედა, მე და არა შენ!

მაშინ კი მთლად გონდაკარგულმა ბერტამ ქმარს ხელი ჩაავლო, რაკელს მკლავებიდან გამოჰგლიჯა, შემოატრიალა თავისკენ, – მას წინააღმდეგობაც არ გაუწევია, – და შეჰყვირა:

ბერტა: არა! არა! ნამდვილად დედა მე ვარ, მე, მე, მე... და მთლიანად და განუყოფლად მე მეკუთვნის. ეს მე შენზე მეტად მინდა. თუ გინდა, ახლა ეს შენ წაიყვანე და მოკალი, ოღონდ ჩემი შვილი მე დამიბრუნე, ჩემი შვილი!

რაკელი: რომელი შვილი?

ბერტა: ის... ის!.. – ბავშვის სახელი ვერ წარმოთქვა, ტუჩები ეთუთქებოდა.

რაკელი: ჩემი კელინა? ჩემი საკუთარი თავი? ჩემი გოგონა, ჩემი სისხლი და ხორცი?.. საკუთარი თავი დაგითმო? შენ მოგცე ჩემი კელინა, ჩემი რაკელი, რომ მისგან შენივე მსგავსი აღზარდო? მეორე ბერტა ლაპეირა შექმნა, თქვენი ყველას მსგავსი? რომ თქვენ, ყველა, ვითომ დიდად პატივსაცემ მეუღლეებს რომ დაგემსგავსოთ? მაგრამ მეც ხომ ვიყავი ცოლი!.. მეც ვიცი...

ბერტა: მერე, ჩემი რა ბრალია, თუ ვერც შენმა ქმარმა და ვერც ხუანმა ვერ გაღირსეს დედობა! მე და ხუანს კი გვეყოლა შვილი, რას იზამ, ჩვენ გვეყოლა!

რაკელი: შენ, ხუან, ჩემო შვილო, აირჩიე, შუაზე გაგლეჯა გირჩევნია, თუ მთლიანად შენს მეუღლეს გინდა ეკუთვნოდე!..

ხუანი გაიქცა. ორივეს გაექცა.

11

ხუანი გაიქცა, ორივეს გაექცა, გაიქცა, მაგრამ რა ბედი ეწია? მარტო ის გაიგეს, რომ მანქანით სიერასკენ გაემგზავრა და შინ უკვე მომაკვდავი მოიყვანეს, საბრალო ისე მიიცვალა, გონზე აღარ მოსულა. ვერც მძღოლმა და ვერც მეგობარმა, თან რომ ახლდა, ვერ ახსნეს, რა მოხდა. თურმე როცა მანქანამ ღრმა ხრამს ჩაუქროლა, უეცრად შეამჩნიეს, რომ ის იქ აღარ იყო, ვერ დაინახეს, შემთხვევით გადავარდა თუ თავისით გადახტა; მარტო ის დაინახეს, ხრამში რომ მიგორავდა, მერე ერთიანად დამტვრეული და დაშავებულ-დაჭრილი ამოიყვანეს.

ხუანის უსიცოცხლო, გახევებულ გვამს რომ დასცქეროდნენ, მერე რაკელისა და ბერტას თვალები ერთმანეთს შეხვდა.

ბერტა: ახლა უკვე ჩემი ბავშვის, ჩემი შვილის ბედიც გაირკვა...

რაკელი: გაირკვა!.. მერედა, არსებობას როგორ აპირებთ? როგორ უნდა არჩინო? როგორ უნდა აღზარდო? ან შენ თვითონ როგორ და რით აპირებ ცხოვრებას? ან შენს მშობლებს რისი იმედი აქვთ?

ბერტა: რა იქნა ხუანის ქონება?

რაკელი: ხუანს არავითარი ქონება არ დარჩენია!.. თუ რამ ებადა, ახლა ჩემი გახდა... აქამდე თუ არ იცოდი, ახლა ხომ გაიგე!..

ბერტა: ქურდო! ქურდო! ქურდო!

რაკელი: ცარიელი სიტყვებია! ვინ იტყვის, რომელია ქურდი ჩვენ შორის! ვინ ვინ გაქურდა! ეგებ შენ ხარ ქურდი, თქვენ, ყველა, შენცა და ყველა შენისთანა ხართ ქურდები!... არ მინდა, ჩემი შვილიც თქვენისთანა გამოვიდეს, ყველა თქვენი მსგავსივით აღზარდო!... ახლა, ადექი და შენს მშობლებთან ერთად ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე, მოითათბირეთ და გადაწყვიტეთ, რა გირჩევნიათ, მათხოვრული ცხოვრება თუ ჩემისთანა ქურდთან მშვიდობიანი მოლაპარაკება, გარიგება.

ბერტა: გარიგება?

რაკელი: ხალხის თვალში მაინც!..

* * *

ბერტამ და მისმა მშობლებმა, ცოლ-ქმარმა ლაპეირამ კარგა ხანს ითათბირეს, მერე ძალიან ცნობილი, სახელოვანი ვექილის მეშვეობით დონ ხუანის ანდერძის ამბავი გამოიკვლიეს; და აღმოჩნდა, რომ მას მართლაც არავითარი ქონება არ დარჩენოდა; მთელი მისი ავლადიდება რაკელს ჩაეგდო ხელში; მეტი რა გზა ჰქონდათ, და რაკელის პირობას დათანხმდნენ, რომლის მიხედვით, რაკელი მათ იმ შემთხვევაში გაუწევდა დახმარებას, თუ ბავშვს მას მისცემდნენ.

მათი ერთადერთი ნუგეში ისღა იყო, რომ ბერტა მეორე ბავშვს ელოდებოდა, ხოლო რაკელი, პირობის თანახმად, ბავშვის სახელზე, სულერთია, ბიჭი იქნებოდა თუ გოგო, მცირეოდენ თანხას უწყალობებდა. მაგრამ ვინ უწყის, რა ბედი ეწეოდა საბრალო ბავშვს! ამის გარდა, ერთხელ რაკელმა ესეც უთხრა ბერტას: „თუ მეორედ გათხოვდები, კიდეც გაგამზითვებ. კარგად დაფიქრდი, ქვრივად დაბერება სიკეთეს არაფერს გიქადის“.

მარკიზ დე ლუმბრია

მარკიზ დე ლუმბრიას უზარმაზარი საგვარეულო სახლი, ანდა სასახლე, როგორც მიყრუებულ ქალაქ ლორენსაში უწოდებდნენ, უთქმელი და იდუმალი მოგონებებით სავსე სკივრს მოგაგონებდათ. ფასადზე საჩინოდ იკვეთებოდა ლუმბრიათა საგვარეულო დიდი გერბი, რომელიც მედიადიას მძიმე, ბაროკოს სტილის ტაძრის ფართო მოედანს გადაჰყურებდა. რაკი მზე ლამის მთელი დღე აცხუნებდა, ხოლო ლორენსაში ღრუბლიანი დღეები იშვიათი მოვლენა იყო, სახლში თითქმის ყველა ჭუჭრუტანა ამოექოლათ; თუმცა მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ბრწყინვალე მარკიზ დე ლუმბრიას დონ როდრიგო სუარეს დე ტეხადას თავზარს სცემდა მზის სინათლეცა და სუფთა ჰაერიც. „ქუჩიდან მტვრის მეტი არაფერი შემოდის და ავეჯსა და შპალერს მთლად ახუნებს, – იტყოდა ხოლმე, – მერე კიდევ ეს ბუზებიც...“ – ბუზები ხომ კიდევ უფრო აშფოთებდა მარკიზს; ხომ შეიძლება, მანამდე ვინმე მაწანწალას დასხდომოდნენ ანდა სულაც ქეციანსაც კი. ხოლო იმის გაფიქრებაზე, ვაითუ, ბუზებმა რაიმე პლებეური სენი შემოგვიტანონო, მთლად აკანკალებდა. მაინც რა სიბინძურის ბუდე იყო ლორენსაცა და მისი შემოგარენიც.

სასახლეს უკანა მხარეს მდინარე ჩაუდიოდა, ციცაბო კლდეებს შორის მიჩუხჩუხებდა; კედელი მთლიანად დაეფარა სუროს და თუმცა იქ თაგვებსა და სხვა ათასგვარ უწმინდურ არსებებს დაებუდებინათ, მარკიზი მაინც დიდი მოწიწებით ეკიდებოდა, რამეთუ სურო მათი ოჯახის ტრადიციად ითვლებოდა. და სწორედ აქ, მზესა და ბუზებს განრიდებული მარკიზი მოიკალათებდა ხოლმე მყუდრო აივანზე, ჩრდილში, კითხულობდა და ნანასავით ესმოდა მდინარის ჩქამი, ლოდებს შორის რომ მიისწრაფოდა აქაფებული, თითქოს ჩქარობდა ამ ვიწრო ხეობიდან გაეღწია.

ბრწყინვალე მარკიზ დე ლუმბრიასთან ერთად სასახლეში ცხოვრობდა მისი ორი ქალიშვილი, უფროსი კაროლინა და უმცროსი ლუისა და მისი მეორე ცოლი დონია ვისენტა, რომელიც დიდი ჭკუის პატრონი არ გახლდათ და მთელი დღეები ან ეძინა ან ბუზღუნებდა; ხოლო ბუზღუნებდა ყველაფერზე, განსაკუთრებით ხმაურს უჩიოდა; ასე რომ, მარკიზს აწუხებდა მზე, მარკიზას – ხმაური, ამიტომ ზაფხულის თაკარა დღეებში ერთი სუროთი დაჩრდილულ აივანს მიაშურებდა და მდინარის დგაფუნის ხმაზე კითხულობდა, მეორე სახლის წინა მხარეს მიაშურებდა, ნასადილევს ძველ, ატლასგადაკრულ სავარძელში ჩაეფლობოდა და ტაძრის მოედანზე ჩამოწოლილ სიჩუმეში ნებივრობდა.

მარკიზ დე ლუმბრიას ვაჟიშვილები არ ჰყავდა და ეს მწარე ეკალივით ჩხვლეტდა გულში; არადა, მეორედ მარტო ამიტომ იქორწინა დონია ვისენტაზე, მაგრამ სენიორა უშვილო აღმოჩნდა.

მარკიზის ცხოვრება ისევე უღიმღამოდ, ერთფეროვნად და ჩვეული წესით მიედინებოდა, როგორც მდინარე მიედინებოდა ხეობაში, ან როგორც ლიტურგიული კაპიტულები სრულდებოდა ტაძარში. თითქოს ოჯახის საქმეებსაც უძღვებოდა,

ხანდახან თავის მამულებს და სავარგულებსაც დახედავდა ხოლმე, თუმცა დიდხანს ვერც იქ ძლებდა, საღამოობით კი ჩვეულებისამებრ შეიყრებოდნენ მოურავი, ოჯახის მოძღვარი, საეკლესიო ბენეფიციების მფლობელი და ტრესილიოს პარტიას თამაშობდნენ. სტუმრები მუდამ დანიშნულ დროზე მოდიოდნენ, როგორც კი დიდი კარის ზღურბლს გადმოაბიჯებდნენ – რომლის თავზე ეკიდა დაფა იესოს წმინდა გულის გამოსახულებით და წარწერით: „სამეუფეო ჩემი იქნება ესპანეთი, სადაც ვიქნები განდიდებული უფრორე, ვინემ სხვა მიწაზე“, – მყისვე მაგიდას შემოუსხდებოდნენ – ზამთრობით, გასათბობად ტაფასაც დგამდნენ ხოლმე მაგიდის ქვეშ – ხოლო ათი საათი ჩამოჰკრავდა თუ არა, მომართულებივით წამოიშლებოდნენ, ისე ჩქარობდნენ, ფსონსაც კი არ იმზადებდნენ მეორე დღისთვის, ამასობაში კი მარკიზა სულ თვლემდა, ხოლო ქალიშვილები ან ხელსაქმეს ჩაჰკირკიტებდნენ, ან სამოძღვრებო წიგნებს კითხულობდნენ – ხანდახან მალულად ნაშოვნ საკითხავსაც – ან კიდევ ჩხუბობდნენ.

მზისა და ბუზებისგან თავდასაცავად საგულდაგულოდ დაგმანულ სალონში და საერთოდ მთელ სახლში, ვიდრე სუროთი შესუდრულ კედლამდე, ისეთი მოწყენილობა სუფევდა, რომ კაროლინასა და ლუისას დროის მოსაკლავად ჩხუბის მეტი სხვა აღარაფერი დარჩენოდათ. უფროსს, კაროლინას მამაზე ნაკლებად როდი სძულდა მზე. საერთოდ, მეტისმეტად თავდაჭერილი გახლდათ და ოჯახის ტრადიციებსაც მტკიცედ იცავდა, ხოლო უმცროსს, ლუისას სიმღერა უყვარდა, აივნიდან ყურებაც ხშირად იცოდა, ქოთნის ყვავილების მოვლა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა და ხალისითაც რწყავდა ხოლმე, ამიტომ მარკიზი სულ საყვედურობდა, პლებეური ჩვევააო. „ბაღი არ გვაქვს?“ – ეტყოდა ხოლმე შვილს და სასახლის გვერდით ბაღზე მიუთითებდა, მაგრამ იქ იშვიათად თუ ვინმე ჩავიდოდა. ხოლო ლუისას ქოთნის ყვავილები უფრო მოსწონდა, თავისი საძინებელი ოთახის აივანსაც ამშვენებდა და თან საბაბიც ჰქონდა, ტაძრის მოედანსა და პატარა ქუჩის მხარეს გადამდგარიყო და გამვლელ-გამომვლელები ეთვალიერებინა. „ეგ არის შენი გემოვნება? გეკადრება ჩვენთვის შეუფერებელი ვიღაცებისა თუ რაღაცების ყურება!“ – ბუზღუნებდა მამა, ხოლო უფროსი და, კაროლინა დაუმატებდა: „ხალხი იფიქრებს, კაცებზე ნადირობსო“, – და იწყებოდა ერთი დავიდარაბა.

მაგრამ საძინებელი ოთახის აივანზე სირბილსა და ქოთნის ყვავილებში ფუსფუსს უშედეგოდ არ ჩაუვლია. ერთხელაც ქალაქ ლორენსას მკვიდრმა, ასევე ერთი ყველაზე წარჩინებული, ძველი გვარის ყმაწვილმა ტრისტან იბანიეს დელ გამონალმა მათი სახლის წინ ჩაიარა და დაინახა, მარკიზ დე ლუმბრიას უმცროსი ქალიშვილი ყვავილებს რომ რწყავდა, ისე მოხიბლა მისმა ღიმილმა, იისფერმა თვალებმა და გელორგელასფერმა ტუჩებმა, რომ თვალი ვეღარ მოსწყვიტა. მეორეჯერ კი ისე მოხდა, რომ თავზე ქოთნის წყალი დაეწვეთა და ლუისამ მაშინვე გადასძახა: „ოჰ, მაპატიეთ, ტრისტან!“ და ყმაწვილს მოეჩვენა, თითქოს მოჯადოებულ ციხესიმაგრეში დამწყვდეული პრინცესა შველას სთხოვდა.

– შვილო, ასეთ რამეებს თავისი წესი და რიგი აქვს, – უთხრა მამამ, – სისულელეს ნუ ჩაიდენ!

– ამას რატომ მეუბნები, მამა? – შეწუხდა ლუისა.

– კაროლინა უკეთ აგიხსნის.

ლუისამ უფროს დას გადახედა და მანაც თავისებურად აუხსნა:

– ჩემი აზრით, დაიკო, ჩვენ, მარკიზ დე ლუმბრიას ქალიშვილებს, არ გვეკადრება აივნიდან ვიღაცებს ვეკეკლუცოთ მდაბიო მკერავებივით. აი, თურმე რისთვის გინდოდა ის ყვავილები!

– იმ ყმაწვილმა ჯერ ნებართვა უნდა ითხოვოს, რომ ამ სახლში მივიღოთ, – დაასკვნა მამამ, – თუმცა მე, ჩემდა თავად, წინააღმდეგი არ ვიქნები, ყველაფერი მერე შეიძლება მოგვარდეს... შენ რას იტყვი, კაროლინა?

– მე? – თქვა მან, – არც მე ვიქნებოდი წინააღმდეგი.

ასე და ამგვარად, ტრისტანი მარკიზის ოჯახმა ლუისას ოფიციალურ საქმროდ აღიარა; ეს ამბავი მარკიზამ ყველაზე ბოლოს გაიგო.

სანამ კაცები ტრესილიოს თამაშით იყვნენ გართული, ხოლო სენიორა სალონის ერთ კუთხეში თვლემდა, კაროლინა და ლუისა შორიახლო ისხდნენ, მარმაშებს ქარგავდნენ და თან ტრისტანს ეჩურჩულებოდნენ; მაგრამ უფროსებს თვალი მაინც მათკენ ეჭირათ, რომ დები ერთმანეთს არ დასცილებოდნენ და ლუისა მარტო არ დარჩენილიყო საქმროსთან, განსაკუთრებით ფხიზლად ადევნებდა მათ თვალს მამა, მისი აზრით, უფროსი ქალიშვილი უფრო სანდო იყო და სასიძოსაც უკეთ გააცნობდა ოჯახის ტრადიციებს.

* * *

ტრესილიოს მოთამაშეებმაც, შინამოსამსახურეებმაც და ქალაქის საზოგადოებამაც, ვინც კი თვალს ადევნებდა ამ დიდი სახლის იდუმალ ცხოვრებას, შეამჩნიეს, რომ უმცროსი ქალიშვილის საქმროდ ტრისტანის აღიარების შემდეგ ამ წმინდა ოჯახში ვითარება თითქოს უფრო ჩამობნელდა და დაიძაბა; მარკიზიც კიდევ უფრო დადუმდა, მარკიზმაც უმატა წუწუნს, თუმცა ახლა ადრინდელზე ნაკლებად ისმოდა ხმაური; დებს შორის უფრო გახშირდა ჩხუბი, ოღონდ ეგ არის, ჩუმ-ჩუმად, მალულ-ფარულად, მაგრამ მწვავედ კენწლავდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით, როცა დერეფანში შეეფეთებოდნენ, მაშინ არც შეურაცხყოფას ერიდებოდნენ და არც ჩქმეტასა თუ კაწვრას, თუმცა უბრალო წამოკივლებასაც კი ვერავინ გაიგონებდა. მარტო ერთხელ იყო, რომ მოხუცმა მოსამსახურემ, მარიანამ ყური მოჰკრა ლუისას ყვირილს: „ამას მთელი ქალაქი შეიტყობს, დიახ, მთელი ქალაქი! მე თვითონ გადავდგები აივანზე და ქვეყნის გასაგონად ვიყვირებ ტაძრის მოედანზე!“

„გაჩუმდი!“ – შეუბუხუნა მარკიზმა, რასაც მერე იმისთანა სიტყვები მოაყოლა, იმისთანა, რომ კარს უკან მოყურადე მარიანა გულგახეთქილი გაიქცა უკანმოუხედავად.

იმ შემთხვევიდან ორიოდე დღე არ გასულა, რომ მარკიზი უფროს ქალიშვილთან ერთად ლორენსადან სადღაც გაემგზავრა. სანამ ისინი შინ არ იყვნენ, ტრისტანი ერთხელაც არ გამოჩენილა მათ სახლში. ხოლო როცა მარკიზი მარტო დაბრუნდა, ერთ საღამოსაც, რატომღაც თავი ვალდებულად ჩათვალა, ტრესილიოს მოთამაშეებისთვის თავისი გამგზავრების მიზეზი აეხსნა: „საბრალოს ამ ბოლო ხანებში ჯანმრთელობა შეერყა, – ეს რომ თქვა, დაჟინებით დააცქერდა მოძღვარს, – ცოტა ნერვებმაც უღალატა, თან დასთანაც გაურთულდა ურთიერთობა, რა თქმა უნდა, უბრალო წვრილმანებზე კი დაობდნენ, თორემ თავის დაზე ლამის ლოცულობს; ჰოდა, მეც ავდექი და გავარიდე, იქნება ცოტა დამშვიდდეს-მეთქი“. კრინტიც არავის დაუძრავს.

ამ დღის მერე, სულ ცოტა ხანში მხოლოდ ვიწრო ოჯახურ წრეში აღნიშნეს ტრისტან იბანიეს დე გამონალისა და ბრწყინვალე სენიორის, მარკიზ დე ლუმბრიას უმცროსი ქალიშვილის ლუისას ქორწინება; გარეშეთაგან არავინ მიუწვევიათ, მხოლოდ სიძის დედა და მარკიზის ამხანაგები, ტრესილიოს მოთამაშენი ესწრებოდნენ.

ერთი სიტყვით, ტრისტანი სიმამრის ოჯახში დაბინავდა და სახლშიც კიდევ უფრო დაინისლა და დამძიმდა ვითარება. ახალშეუღლებულთა საძინებელი ოთახის აივანზე ყვავილები მოუვლელობის გამო ერთიანად ჩამოჭკნა; სენიორას კიდევ უფრო დიდხანს ეძინა, დადუმებული და პირგამეხებული სენიორი კი თავჩაქინდრული მოჩვენებასავით დაბორიალებდა დაგმანულ ოთახებში, სადაც მზეს არ უშვებდნენ. იგი გრძნობდა, რომ მისმა დრომაც მოაწია და სიცოცხლეს უნდა დამშვიდობებოდა, მაგრამ მით უფრო გამწარებით ებღაუჭებოდა; ტრესილიოს თამაშზეც გული აუცრუვდა, ეს კი ამ ქვეყანასთან გაყრას უტოლდებოდა, თუკი რაიმე კიდევ აკავშირებდა ამ ქვეყანასთან. „თამაშის თავიც აღარ მაქვს, – უთხრა ერთხელაც მოძღვარს, – გულისყური მეფანტება და ხალისიც დამეკარგა. ახლა ისღა დამრჩენია, სიკვდილისთვის მზადებას შევუდგე“.

და აი, ერთ დილას დამბლის ნიშნებიც იგრძნო, უცბად ყველაფერი ერთბაშად დაავიწყდა, მერე, გონს რომ მოეგო, მეტი გამწარებით ჩაებღაუჭა სიცოცხლეს. „არა, არა, არ უნდა მოვკვდე, არც მოვკვდები, სანამ არ დავინახავ, როგორ დამთავრდება ეს ამბავი“, და მოუსვენრობამ შეიპყრო, წამდაუწუმ ეკითხებოდა შვილს, როცა საჭმელს მიუტანდა ხოლმე მწოლიარეს, – „როგორ არის საქმე, ხომ არ იგვიანებს?“ „ბევრი აღარ დარჩა, მამა“. „ამ ქვეყნიდან ისე არ წავალ, ვერ დაგტოვებთ, სანამ ახალ მარკიზს ჩემი თვალით არ ვნახავ; მომავალ მარკიზს უნდა მოვესწრო, გვარში მამაკაცი გვჭირდება, მამაკაცი! თუ სუარეს დე ტეხადა არა, სახელი როდრიგო და მარკიზ დე ლუმბრიას ტიტულს ხომ შევინარჩუნებთ!“ „ეს ხომ ჩემზე არ არის დამოკიდებული, მამა...“ „ესღა

გვაკლია, შვილო, – ამას რომ ამბობდა, ხმა უკანკალებდა, – ამ ჩიტირეკიამ, ჩვენს სახლში რომ შემოიპარა, იმედი გაგვიცრუოს და ბიჭი არ გვაღირსოს... თუ ის მოახერხა, რომ... საბრალო ლუისა ტიროდა, ხოლო ტრისტანი მათ სახლში ბოროტმოქმედისა თუ მსახურის პირობაზე ცხოვრობდა.

საწყალობელი სენიორის მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა უთხრეს, ლუისას მშობიარობა დაეწყოო; ციებ-ცხელებიანივით დააწყებინა კანკალი მოლოდინში. „მშობიარეზე მეტი ყურადღება მარკიზს სჭირდება“, – თქვა მისმა შემხედვარე ექიმმა.

– როგორც კი ბავშვი დაიბადება, – უთხრა მარკიზმა სიძეს, – მით უმეტეს, ბიჭი თუ იქნება, მაშინვე აქ მომგვარე, მე უნდა ვნახო, რომ მერე მშვიდად წავიდე ამ ქვეყნიდან, შენ თვითონ მომიყვანე!..

და როცა კივილი გაიგონა, მარკიზმა თავი წამოსწია და სმენადქცეული კარს მიაშტერდა. მალე ტრისტანი შემოვიდა, მთლად გაოგნებული ჩანდა, ხელში ლამაზად შეხვეული ბავშვი ეჭირა. „მარკიზი?! – შესძახა მოხუცმა. – აჰა!“ – ცოტა კიდევ წამოიწია, რომ ახალშობილი კარგად დაენახა, მერე ფრთხილად, მოკრძალებით ეამბორა და ეს იყო ამ ქვეყნიდან მიმავლის ამბორი, სიძისთვის ერთიც არ შეუხედავს, მძიმედ მიესვენა ბალიშზე და გონება დაკარგა. ორი დღის მერე კიდეც მიიცვალა, გონზე აღარც მოსულა.

სასახლის ფასადზე საგვარეულო გერბს თალხი შემოახვიეს, მაგრამ თაკარა მზეზე სამგლოვიარო ფლასი იმდღესვე გახუნდა. მთელი სახლი თითქოს ძაძებში გაეხვია, პატარამაც კი ვერ შემოიტანა სიხარული.

საბრალო ლუისა, უკვე დედა, მშობიარობის მერე ძალზე დასუსტდა. თავიდან კი დაიჩემა, ბავშვს ძუძუ მე თვითონ უნდა ვაწოვოო, მაგრამ მალევე მიხვდა, ძალა არ შესწევდა, „სხვამ როგორ უნდა აწოვოს... უცხომ რატომ უნდა აწოვოს!.. – ოხრავდა იგი. – ახლა კი, ტრისტან, ჩვენი ვალია, მარკიზი აღვზარდოთ!“ – მალიმალ უმეორებდა ქმარს.

ტრისტანსაც მძიმე სევდა შემოაწვა გულს, თითქოს კიდეც დაბერდა. „ამ სახლში შეკედლებულივით ვგრძნობ თავს, – ნივთივით...“ – ფიქრობდა იგი. ქუჩიდან დანანებით შეჰყურებდა ლუისას საძინებელი ოთახის აივანს, რადგან ყვავილებს ვეღარ ხედავდა.

– ეგებ ისევ დაგვედგა ქოთნის ყვავილები შენს აივანზე, ლუისა?! – ძლივს შეჰბედა ერთხელაც ცოლს.

– ჩვენი ყვავილი ახლა ჩვენი პატარა მარკიზია, სხვა ყვავილები აღარ გვჭირდება!.. – უპასუხა ლუისამ.

საბრალო ტრისტანს ყველაზე მეტად ის ტანჯავდა, რომ მის შვილს სახელს კი არა, მხოლოდ მარკიზს ეძახდნენ. და იგი გარბოდა სახლიდან, ხან ტაძარს აფარებდა თავს,

ხანაც მიდიოდა ქუჩაში და თვითონაც არ იცოდა, საით. მაგრამ კიდევ უფრო ის სწყინდა, რომ ცოლი არასდროს არაფერს ეკითხებოდა.

ლუისა გრძნობდა, რომ დიდი დღე აღარ ეწერა, სიცოცხლე წვეთ-წვეთად ტოვებდა, „ჩემი დღეები დათვლილია, ასე მგონია, ძარღვებში სისხლი გამიშრა, – იტყოდა ხოლმე იგი, – თითქოს სისხლი მთლად გამიწყალდა, თავბრუ მესხმის და თუ კიდევ მიდგას პირში სული, იმიტომ, რომ სიკვდილი ძალიან ნელა მოდის. მხოლოდ მისთვის ვსუნთქავ, მხოლოდ ჩემი პატარა მარკიზისთვის, მარტო მისთვის... რა მოსაწყენია ამ უმზეო სახლში ცხოვრება! ამაოდ მეგონა, რომ შენ მაინც მაღირსებდი მზეს, სიხარულს და თავისუფლებას, ტრისტან, მაგრამ არა, შენ მე პატარა მარკიზის მეტი ვერაფერი მომეცი... მომიყვანე იგი!“ და მან აკოცა ბავშვს; კოცნიდა, კოცნიდა ნება-ნება, აგზნებული და აცახცახებული. ცოლ-ქმარი კი ელაპარაკებოდა ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის თითქოს დუმილის კედელი აღმართულიყო. არც ერთი კრინტს არ ძრავდა იმაზე, რაც ყველაზე მეტად უწამლავდა ორივეს გულსა და გონებას.

როცა ლუისამ უკვე იგრძნო, რომ სიცოცხლისკენ პირს ვეღარ იბრუნებდა და უკანასკნელი ბეწვიც უკვე წყდებოდა, გაცივებული ხელი შუბლზე დაადო შვილს, თავის როდრიგინს და უთხრა მის მამას: „ზრუნვა არ მოაკლო მარკიზს, ანაცვალე მას შენი თავი! იმას კი უთხარი, რომ ვაპატიე!“ „მე?“ – დაიკვნესა ტრისტანმა. „შენ? განა შენ პატიება გჭირდება?“ და ეს სიტყვები საბედისწერო განაჩენივით ჩაესმა უბედურ კაცს. ეს იყო და ეს, სულ ცოტა ხანში, მიხვდა, რომ უკვე ქვრივი იყო.

* * *

ახალგაზრდა ქვრივი, იმ დიდი ქონების პატრონი, მის შვილს, პატარა მარკიზს რომ დარჩა მემკვიდრეობით, ამ უსიხარულო სახლში, სადაც მზესაც კი ვერ შეეღწია, ტყვედ გრძნობდა თავს; სულ ორიოდე წლის ამბებიც კი შორეულ წარსულად ეჩვენებოდა; საათობით იჯდა გარინდებული სასახლის უკანა მხარეს, სუროთი დაფარულ კედელთან, ჩრდილში და უსმენდა მდინარის ბორგვას. მერე ნელ-ნელა განაახლეს ტრესილიოს პარტიები; ზოგჯერ მოძღვართან ერთად ჩაიკეტებოდა ოთახში და, როგორც ამბობდნენ, მასთან ერთად არჩევდა განსვენებული მარკიზის ქაღალდებს და ანდერძის კანონიერების საქმეებს.

მაგრამ ერთი ისეთი დღეც დადგა, როცა მთელი ლორენსა ალაპარაკდა ახალ ამბავზე; ერთხელ ტრისტანი სადღაც გაემგზავრა და შინ კაროლინასთან ერთად დაბრუნდა, თავის ცოლისდასთან ერთად, რომელიც ახლა მისი მეორე ცოლი გამხდარიყო. მაგრამ აკი ამბობდნენ მონაზვნად აღიკვეცაო? მაშ, სად და როგორ ცხოვრობდა მთელი ეს ოთხი წელიწადი?

მაგრამ კაროლინას ამაყად და გამომწვევადაც ეჭირა თავი. როგორც კი შინ ფეხი შედგა, მაშინვე განკარგულება გასცა, საგვარეულო გერბს სამგლოვიარო ფლასები ჩამოხსენითო. „დაე, დაანათოს და დააცხუნოს მზემ, – შესძახა მან, – ეგებ თაფლიც კი

წავუსვათ, რომ ბუზები მიესიონ“. მერე ბრძანა, კედლიდან სურო ჩამოგლიჯეთო. „ოჯახის სიძველეები მაინც დატოვე, კაროლინა!“ – ევედრებოდა ტრისტანი.

ბავშვმა, პატარა მარკიზმა ახალმოვლენილი დედის სახით უმალ მტერი დაინახა, ვერაფრით დედა ვერ ათქმევინა ტრისტანმა, თუმცა კი ბევრი ეხვეწა და ემუდარა; რატომღაც დეიდა დაიჩემა. „ნეტავი ვის უნდა ეთქვა, რომ მართლა მისი დეიდა ვარ? – იკითხა კაროლინამ, – ეგებ მარიანამ!“ „აბა, რა გითხრა, ჩემო ქალბატონო! მე საიდან უნდა ვიცოდე! – უპასუხა ტრისტანმა, – მაგრამ აქ, როგორც ვხედავ, ყველამ ყველაფერი იცის, ოღონდ საიდან და როგორ, ვერ გამიგია!“ „ყველაფერიო?“ „ჰო, ყველაფერი, გეგონება, კედლებსაც ყურები ასხია და კიდეც ლაპარაკობენო“... „მაშინ ჩვენც გავჩუმდეთ...“

სახლში თითქოს ქუფრი ღრუბლები ჩამოწვა, ურთიერთობა მეტისმეტად დაიძაბა. მეუღლეები იშვიათად გამოდიოდნენ თავიანთი ოთახიდან. კაროლინა გარეთაც კი არ ახედებდა ტრისტანს. პატარა მარკიზი უმეტესად მოსამსახურეებისა და მასწავლებლის, ანდა მოძღვრის იმედად იყო დარჩენილი, ერთი ანაბანას ასწავლიდა და ყოველდღე მოდიოდა, მეორე, მოძღვარი, მის რელიგიურ განათლებაზე ზრუნავდა.

ტრესილიოს პარტიები ისევ თავიდან დაიწყეს. თამაშის დროს კაროლინა მიუჯდებოდა გვერდით ქმარს და მის თამაშს ადევნებდა თვალს, ხან კიდეც კარნახობდა. ყველა ამჩნევდა, რომ სულ საბაბს ეძებდა, რომ ხელი მოეკიდა, მხარზე მიყრდნობოდა, ხოლო როგორც კი ათი საათი ჩამოჰკრავდა, ეტყოდა: „ტრისტან, უკვე დროა!“ არც ტრისტანი გავიდოდა ქუჩაში უმისოდ, სეირნობისას ქმარს მკლავზე ჩამოეკიდებოდა და თან აქეთ-იქით იყურებოდა გამომწვევად, გამარჯვებულივით.

* * *

კაროლინას მეტად მძიმე ფეხმძიმობა კი ჰქონდა, მაგრამ იფიქრებდით, ბავშვის დაბადება სულაც არ ახარებსო; ხოლო, როცა გაჩნდა, ერთიც არ დაუხედავს, როცა უთხრეს, ქალიშვილი გეყოლა, ოღონდ ძალიან სუსტი და უდღეურიაო, ცივად გამოსცრა: „ალბათ ესეც ჩვენი სასჯელია!“ მერე კი საბრალო არსებამ სული უფალს რომ მიაბარა, ესეც კი თქვა: „ასეთი უსუსურის გაზრდას, სიკვდილი ჯობდაო“.

– როდემდე უნდა იყო ასე მარტო, – უთხრა ერთ დღეს კაროლინამ თავის დისწულს, პატარა მარკიზს, – ამხანაგი გჭირდება, უფრო გახალისდები და უკეთესადაც ისწავლი; ამიტომ მე და მამაშენმა გადავწყვიტეთ, ერთი ობოლი ნათესავი მოგიყვანოთ...

ამ დროს ბავშვი უკვე ათი წლის იყო, ცოტა ავადმყოფური იერი ჰქონდა და ასაკის შეუფერებლად სევდიანი ჩანდა; დეიდას სიტყვებმა ჩააფიქრა.

ბოლოს, როცა ის მეორე, უცხო ობოლი ბიჭი მოიყვანეს, პატარა მარკიზმა ყურები ცქვიტა; ქალაქ ლორენსას ახალი სალაპარაკო გაუჩნდა; ამ ამბავს ასეთი ახსნა მოუძებნეს და კიდეც დაიჯერეს, რაკი კაროლინას საკუთარი შვილი არ უჩნდებოდა, ამიტომ იშვილა ეს ბიჭი და თანაც თავის დისწულს ასე უფრო გაუმწარებს სიცოცხლესო.

ბიჭებმაც პირველი დღიდანვე მტრებივით დაუწყეს ერთმანეთს ყურება. ორივე სიამაყესა თუ ქედმაღლობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. „შენ გგონია, რაკი მარკიზი ბრძანდები, შეგიძლია დამჩაგრო? – ეტყოდა ხოლმე პედრიტო როდრიგინს, – თუ მეტისმეტად გათამამდები, წავალ, აქედან წავალ და ისევ მარტო დარჩები...“ „დავრჩები და დავრჩე, მეც სწორედ მარტო ყოფნა მირჩევნია, შენ კი საიდანაც მოხვედი, ისევ იქ წაბრძანდი!“ მაგრამ როგორც კი კაროლინა გამოჩნდებოდა და დაჰკივლებდა: „აბა, ბავშვებოო!“ ორივე მყისვე ჩაჩუმდებოდა.

– ძია, – ასე მიმართავდა ხოლმე პედრიტო ტრისტანს, – მე აქ დარჩენა აღარ მინდა, წავალ, ისევ ჩემს დეიდებთან დავბრუნდები, როდრიგინთან ყოფნა არ შემიძლია, ისე მექცევა, გეგონებათ, მისი მსახური ვიყო, ან სულაც მათხოვარი.

– მოითმინე, პედრინ, მოითმინე; განა მე ცოტას ვითმენ? – ბიჭი გულში ჩაიკრა, თავზე აკოცა და ატირდა; ტიროდა უხმოდ, მწარედ, გულამომჯდარი.

მისი ცრემლები ბიჭს ნუგეშად ეპკურებოდა და თანაგრძნობით იმსჭვალეობდა ამ საბრალო კაცისადმი, პატარა მარკიზის საბრალო მამისადმი.

არ ტიროდა მარტო კაროლინა.

* * *

ერთ დღეს, როცა ცოლ-ქმარი მკლავიმკლავგადაჭდობილი სოფაზე იჯდა და ჩამობურულ სივრცეს მიშტერებოდა, უცბად შემოესმათ ყვირილი და იმავე წუთს ოთახში გახვითქული და აღგზნებული ბავშვებიც შემოცვივდნენ. „მე მივდივარ, აქედან მივდივარ!“ – გაჰყვიროდა პედრიტო. „წადი, წადი და ამ სახლში ნუღარასოდეს დაბრუნდები, ჩემს სახლში!..“ – გაიძახოდა როდრიგინი. როგორც კი კაროლინამ დაინახა პედრიტოს ცხვირიდან სისხლი სდისო, ლომივით წამოიჭრა ფეხზე და დაიკივლა: „ჩემო შვილო! ჩემო ბიჭო!“ მერე უმცროს მარკიზს მიუტრიალდა და კბილებში გამოსცრა: „კაენო!“

– კაენოო?! განა ეს ჩემი ძმაა? – გაოცებულ მარკიზს თვალები გაუფართოვდა.

კაროლინა ერთი წამით კი შეყოყმანდა, მაგრამ მალევე მოეგო გონს და დაიგმინა: „ოჰ, ის ხომ ჩემი შვილია!“

– კაროლინა! – დაიკვნესა ქმარმაც.

– ჰო, ასეა! – განაგრძო პატარა მარკიზმა, – აკი მეც ამას ვფიქრობდი და აქაც ყველა ამაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ის კი ვერ გავიგე, ვინ არის მისი მამა ან საერთდ, ჰყავს თუ არა მამა!

კაროლინა მხრებში გაიმართა, თვალები უცნაურად უელავდა, ტუჩები უთრთოდა, ხელი მოხვია თავის შვილს, პედრიტოს, თვალებში შეხედა თავის ქმარს და შესძახა:

– მისი მამა? შენ თვითონ თქვი, პატარა მარკიზის მამავ, შენ თვითონ აღიარე, უთხარი ლუისას შვილს, ჩემს დისწულს, უთხარი როდრიგო სუარეს დე ტეხადას, მარკიზ დე ლუმბრიას შვილიშვილს, ვინ არის მისი მამა! უთხარი! თუ შენ ვერ ეტყვი, მაშინ მე ვეტყვი! უთხარი!

– კაროლინა! – შეევედრა ტრისტანი.

– უთხარი, უთხარი, ვინ არის ნამდვილი მარკიზ დე ლუმბრია!

– ნუ მეტყვით, არ არის საჭირო! – თქვა ბიჭმა.

– არა, სწორედ რომ საჭიროა! მარკიზი ეს გახლავს და არა შენ, დიახ, რადგან იგი შენზე ადრე დაიბადა, ის მე გავაჩინე, მე, მაიორატის მემკვიდრემ, დიახ, ჩემი და მამაშენის შვილია, მამაშენის, ჩემი პირდაპირი მემკვიდრეც ეს არის და ამას გერბიც მოწმობს... ახლავე ვბრძანებ, ეს გერბი ჩამოხსნან, გახსნან აივნები და მზე შემოუშვან, დიახ, მე ვბრძანებ, ჩემი შვილი აღიარონ მარკიზად, სინამდვილეში არის კიდეც მარკიზი!

მერე მოჰყვა ყვირილსა და ძახილს, მთელი ჯალაბი შეჰყარა, გამოაღვიძა სენიორაც, რომელიც მთლად ბავშვობაში გადავარდნილიყო და ძლივს გამოფხიზლდა; და როცა მთელი სახლი ფეხზე დააყენა, ბრძანა, აივნები ყურთამდე გაეღოთ და მერე ხმამაღლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ მშვიდად გამოაცხადა:

– თქვენ წინაშეა მარკიზი, ნამდვილი მარკიზი დე ლუმბრია, მაიორატის კანონიერი მემკვიდრე; ის მე გავაჩინე, ხოლო მისი მამა გახლავთ ტრისტანი, ახლა რომ აღარ იცის, სად დაიმალოს და ტირის; მე მაშინ ვიღე იგი მუცლად, როცა ტრისტანმა ხელი ჩემს დას სთხოვა, მამაჩემმა კი მაშინ თავისი პრინციპებისთვის გამწირა, მეც და ეგებ ჩემი დაც თავის პრინციპებს გვანაცვალა!

– კაროლინა! – ამაოდ კვნესოდა ქმარი.

– შენ გაჩუმდი, დღეს მე ყველაფერი უნდა ვთქვა; შენმა შვილმა, თქვენმა შვილმა, ჩვენი შვილის სისხლი დაღვარა, ცისფერი სისხლი, წითელი სისხლი, ჩემი შვილის, მარკიზის სისხლი!..

– რა ყვირილია... ღმერთო, მიშველე!... – აწუწუნდა სენიორა და კუთხეში თავის სავარძელში მოიკუნტა.

– ახლა კი, – განაგრძო კაროლინამ და მსახურებს მიუბრუნდა, – წადით და მთელ ქალაქს მოსდეთ ეს ამბავი, ილაპარაკეთ ყველგან, სადაც მოგიხდებათ, მოედნებზე, ეზოებში, წყაროსთან, ყველგან, სადაც კი ხმას მიაწვდენთ, თქვით ყველაფერი, რაც აქ მოისმინეთ; დაე, ყველამ გაიგოს ჩვენი შელანძღული გერბის ნამდვილი ამბავი!

– მაგრამ ქალაქში უკვე ყველამ იცის! – ჩაიბუტბუტა მარიანამ.

– რაო? – დაუყვირა კაროლინამ.

– დიახ, სენიორა, ყველამ იცის და ყველა ამაზე ლაპარაკობს კარგა ხანია...

– მაშინ ჩვენ რაღას ვმალავდით და ვჩქმალავდით ამ საიდუმლოს, თუ უკვე აღარც საიდუმლო ყოფილა და აღარც გამოცანა... რაღას ვიკატუნებდით თავს ტყუილუბრალოდ, რატომ ვიტანჯებოდით ამდენ ხანს, ტრისტან? რა უბედურებაა! გააღეთ ფანჯრები, შემოუშვით მზე, სინათლე, მტვერი, გზა მიეცით ბუზებს, ხვალ დილითვე ჩამოხსენით გერბი, ყველა აივანზე დადგით ქოთნის ყვავილები... მერე მოვაწყობთ დიდ წვეულებას და დავპატიჟებთ ქალაქის პატივცემულ ადამიანებს, მაგრამ არა, წვეულებას იმ დღეს გავმართავთ, როცა ჩემს შვილს, ვისაც მოძღვარი ცოდვის შვილად იხსენიებს ხოლმე, – თუმცა, მე რომ მკითხოთ, ცოდვა სწორედ ის იყო, რომ იმ მეორეს მიიჩნევდნენ მარკიზად, – ჩემს შვილს აღიარებენ ნამდვილ მარკიზ დე ლუმბრიად, აკი სინამდვილეში არის კიდეც!

საბრალო როდრიგინი ოთახის ერთ კუთხეში მიყუჟულიყო და ძლივს გამოიყვანეს, მკვდრისფერი ედო და მთელი ტანით ცახცახებდა. მან არ ისურვა არც მამის და არც ძმის ნახვა.

– ჩვენ მას კოლეგიაში გავამწესებთ! – ბრძანა კაროლინამ.

* * *

მთელი ქალაქი მარტო იმაზე ლაპარაკობდა, რა მტკიცედ და შეუპოვრად ახორციელებდა თავის გეგმებს კაროლინა. თითქმის ყოველდღე გადიოდა ქალაქში სასეირნოდ და ისე ჰყავდა ჩაბღუჯული თავისი ქმარი, გეგონებოდათ გამქცევი იყო; მეორე ხელი თავისი შვილისთვის, ცოდვის შვილისთვის ჩაევლო; სახლის ყველა აივანი გამოაღეს, მზის მცხუნვარე სხივები ახუნებდა ატლასგადაკრულ სავარძლებს და ნათლად წარმოაჩენდა წინაპართა პორტრეტებს. ყოველ საღამოს ეპატიჟებოდნენ ტრესილიოს მოთამაშეებს და ისინიც უარს როგორ შეჰბედავდნენ. თავად კაროლინა მიუჯდებოდა გვერდით თავის ქმარს, ტრისტანს და სვლებსაც თვითონ კარნახობდა; სტუმრების დასანახად ელამუნებოდა, ხან ლოყაზე მოუთათუნებდა ხელს, ხან ეტყოდა: „რა უნიათო კაცი ხარ, ტრისტან!“ მერე სტუმრებს მიუტრიალდებოდა: „ჩემს საწყალ ქმარს უჩემოდ თამაშიც კი არ შეუძლია!“ ხოლო, როცა ისინი აიშლებოდნენ, ეტყოდა: „რა სამწუხაროა, ტრისტან, რომ მეტი შვილი აღარ გვიჩნდება იმ საბრალო

ბავშვის შემდეგ... ნამდვილი ცოდვის შვილი კი ის იყო, ის და არა ჩვენი პედრინი... მაგრამ ახლა იგი ნამდვილი მარკიზივით უნდა აღვზარდოთ!“

კაროლინამ ყველაფერი იღონა, რომ მის ქმარს ახლა ნამდვილ შვილად პედრინი ეღიარებინა, რაკი ის უფრო ადრე დაიბადა, ქორწინებამდე გაჩნდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საკუთარი შვილისთვის მემკვიდრის უფლებები დაეკანონებინა. ამ დროს კი მეორე, როდრიგინი ბრაზისა და ბოღმისგან იტანჯებოდა კოლეგიაში.

– ურიგო არ იქნებოდა, თუ სასულიერო კარიერას აირჩევდა, – უმეორებდა ხოლმე კაროლინა ქმარს, – აკი შენი მოწოდებაც ეს იყო! – ჩემი აზრით, შენც ბერად უნდა შემდგარიყავი, სხვა არაფრის შნო და უნარი შენ არ გაგაჩნია...

– ამას შენ მეუბნები, კაროლინა?! – ძლივს შეჰბედავდა ქმარი.

– დიახ, მე გეუბნები, ტრისტან! რატომ გინდა შენ დაიბრალო ის, რაც მოხდა, ის, რასაც მოძღვარი ჩვენს ცოდვად თვლის, ხოლო მამაჩემი, მარკიზი ჩვენი გერბის ჩამოურეცხავ ლაქად მიიჩნევდა. განა ეს ჩვენი, ორივეს ცოდვაა? არა, ტრისტან, შენი ნამდვილად არ არის, შენი არა, არა! განა მე არ გაცდუნე? იმან, გელორგელასფერი ტუჩები რომ ჰქონდა, ქუდზე წყალი რომ გადმოგასხა, ჰო, თავზე კი არა, ქუდზე, ქოთნის ყვავილებიდან, იმან მხოლოდ ჩვენს სახლში შემოგიყვანა, მაგრამ მოგებული მე დავრჩი, მე! კარგად დაიმახსოვრე! მე უნდა გავმხდარიყავი ნამდვილი მარკიზის დედა, მაგრამ ის კი ვერ გავითვალისწინე, რომ შეიძლება მეორე მარკიზიც გაჩენილიყო... მეორე კი ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. მე მინდოდა შენ თვითონ გეთქვა მასზე უარი, მაგრამ ვერ შეძელი, ვერ დათმე!..

– მაგრამ, კაროლინა!..

– კმარა, კმარა, მშვენივრად მესმის, რა და როგორ მოხდა, შენ ხორცით სუსტი აღმოჩნდი, ადვილად საცდუნებელი და სწორედ ეს იყო შენი ცოდვაც, შენ ადვილად დაგიყოლიეს და მასზე დაგაქორწინეს! აი, რა იყო შენი ცოდვა!... მერედა, იცი, რა ტკივილი და ტანჯვა განვიცადე!.. ისიც კარგად ვიცოდი, რომ ჩემი და, ლუისა ვერც შენს ღალატს გადაიტანდა და ვერც შენს შერცხვენას. და მეც ვითმენდი, ვიცდიდი და ვზრდიდი ჩემს შვილს, სხვა რა გზა მქონდა. იცი კი, რას ნიშნავს ეს, რა ძნელია ზრდიდე ბავშვს, რომელსაც უნდა დაუმალო საშინელი საიდუმლო? და აჰა, მეც გავზარდე იგი, რათა შური მეძია! შენ კი, მისი მამა...

– ჰო, ვიცი, რომ შემიძულებს...

– არა, არ შეგიძულებს, არა! განა მე მძულხარ?

– ვითომ არა?..

– არა, კი არ მძულხარ, მებრალები! შენ ხომ ჩემი ხორცი გააღვიძე და ამავე დროს მაიორატის მემკვიდრის სიამაყეც!.. სხვა გზა არცა მქონდა, ლოდინის მეტი აღარც

არაფერი დამრჩენოდა, ვინ იცის, როდემდე უნდა მომეთმინა, სანამ საზეიმოდ არ მთხოვდა ვინმე ხელს და მამაჩემის ლოცვა-კურთხევას მივიღებდი... მე ხომ ჩემი დის მსგავსად აივანზე არ გადავდგებოდი და გამვლელ-გამომვლელებს არ ვეკეკლუცებოდი; აქ კი, ჩვენთან მარტო უბირი გლეხები და მათზე არანაკლები უბირი ტრესილიოს მოთამაშეები დადიოდნენ. და როცა შენ გამოჩნდი, როცა ჩვენს სახლში შემოხვედი, მე გაიძულე, ნამდვილი ქალი ჩემში დაგენახა და არა მასში... ხომ არ გაგახსენო, როგორ მოხდა ცოდვით დაცემა!..

– არა, ღვთის გულისათვის, არა!

– დაე, ასე იყოს. შენ დაღუპული კაცი ხარ, ტრისტან, აკი გეუბნებოდი, ბერად ხარ დაბადებული-მეთქი. თუმცა არა, შენ იმიტომ დაიბადე, რომ ჩემთვის შვილი გეჩუქებინა, რომ მე გავმხდარიყავი მარკიზ დე ლუმბრიას, დონ პედრო იბანიეს დელ გამონალ ი სუარეს დე ტეხედას დედა. აი, ვის აღვზრდი ნამდვილ მამაკაცად, ახალ გერბსაც საგანგებოდ მისთვის გავაკეთებინებ, ქვისას კი არა, ბრინჯაოს გერბს, უკვე ვბრძანე კიდეც ქვისა მოეხსნათ და ბრინჯაოთი შეეცვალათ. მაგრამ ვაითუ, მასზეც გაჩნდეს სისხლის ლაქა, წითელი სისხლის ლაქა, წითელი სისხლისა, მისმა ძმამ, მისმა ნახევარმა ძმამ, შენმა მეორე შვილმა, ღალატისა და ცოდვის შვილმა რომ დააღვრევინა ჩემს შვილს, ჩემი სისხლივით წითელი, შენი მიზეზით დაღვრილი სისხლივით... ასეც ნუ დამწუხრდები, ტრისტან, – ეს რომ უთხრა, თავზე ხელი დაადო. – ასეც ნუ დადარდიანდები, ჩემო ქმარო... აბა, აქეთ გამოიხედე, მამაჩემის სურათს შეხედე და მითხარი, შენ ხომ იგი მომაკვდავი ნახე, ახლა მითხარი, რას იტყოდა იგი თავისი მეორე შვილიშვილი რომ ენახა, მარკიზი... აკი შენ თვითონ მიჰგვარე მას შენი შვილი, ლუისას შვილი! ვბრძანებ, რომ გერბში წითელი ლალი ჩასვან, რომ მზეზე იკიაფოს. შენ კი გეგონა, ამ სახლში სისხლი არ იყო, წითელი სისხლი, წითელი და არა ცისფერი! ახლა კმარა, ტრისტან, დროა დაიძინოს ჩვენმა შვილმა, წითელი სისხლის მარკიზმა და ჩვენც მოვისვენოთ.

ტრისტანმა თავი ისე დახარა, თითქოს საუკუნის სიმძიმემ დაადრეკინა ქედიო.

ნამდვილი მამაკაცი

ხულიას სილამაზის ამბავი განთქმული იყო ოდინდელ ქალაქ რენადას მთელ შემოგარენში; ხულია ისეთივე სასიქადულო და ღირსსაცნობი გახლდათ, ვითარცა დედაქალაქის საამაყო საუნჯე, ოღონდ ბუნებრივი და ცოცხალი ქალაქის იშვიათ ძეგლთა შორის. „მივდივარ რენადას, – იტყოდნენ ხოლმე, – ტაძრისა და ხულია იანიესის სანახავად“. ამ უმშვენიერესი ქმნილების თვალებში კი რაღაც საბედისწერო ჭვიოდა. მის მნახველს მოსვენება ეკარგებოდა, მოხუცებს გულზე სევდა შემოაწვებოდა, ყველას თვალს სტაცებდა, ახალგაზრდებს ხომ იმ ღამეს რული არ

ეკარებოდათ. ის კი თავის ხიბლს რომ გრძნობდა, მით უფრო უმძიმებდა გულს ავბედითი წინათგრძნობა. ასე გეგონებოდათ, გულის სიღრმიდან იდუმალი ხმა უჩიჩინებს, „შენი სილამაზე დაგღუპავსო!“ და სულ იმას ლამობდა, ყური არ ეთხოვებინა მისთვის.

მთელი ამ მხარის სასახელო ლამაზმანის მამა, დონ ვიქტორინო იანიესი ერთი მეტად ბნელი წარსულისა და ზნეობის კაცი, თავის იმედებს ქალიშვილზე ამყარებდა, ის იყო მისი ერთადერთი და უკანასკნელი ნუგეში, მარტო ის იხსნიდა, თუ იხსნიდა გაჭირვებისგან. იგი სავაჭრო აგენტი კი იყო, მაგრამ საქმე სულ უარესად მისდიოდა, მარტო შვილის იმედი ჰქონდა ცარიელ-ტარიელი რომ არ დარჩენილიყო. მას ვაჟიშვილიც ჰყავდა, მაგრამ მისთვის დაკარგული იყო, კარგა ხანია მისი ასავალ-დასავალიც კი არ იცოდა.

– ხულიას გარდა აღარავინ დაგვრჩენია, – ეტყოდა ხოლმე ცოლს, – ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ გავათხოვებთ, ან როგორ გათხოვდება, თუ რამე სისულელეს არ ჩაიდენს, მე კი მაინც მეშინია, რომ ჩაიდენს, აი, მაშინ ხომ დავიღუპეთ და ეგაა.

– მაინც რას ეძახი სისულელეს?

– იმას, რასაც შენ ამბობ. აკი სულ იმას გიმეორებ, ანაკლიტა, საღი აზრის ნატამალიც არ გაგაჩნია-მეთქი...

– კარგი, მაგრამ საიდან უნდა გამაჩნდეს, ვიქტორინო? შენც ადექი და გამანათლე, ამ ოჯახში ხომ მარტო ერთი შენ ხარ ჭკუის კოლოფი...

– ცოტა ჭკუა შენც რომ გქონოდა, არ დაგავიწყდებოდა ასჯერ მაინც რომ მითქვამს თვალი ფხიზლად გეჭიროს-მეთქი. როგორმე უნდა ჩამოაშორო ის თავისი რეგვენი თაყვანისმცემლები, სულერთია, ტყუილად კარგავს დროსა და ჯანმრთელობას, რენადელი გოგოებისა არ იყოს. აღარ დავინახო ის ჩიტირეკიები ჩვენ ღობესთან, ან ის სტუდენტი სასიძოები რომ ეკურკურებოდნენ.

– მერე მე რა უნდა ვქნა?

– რა და, როგორმე უნდა გააგებინო, რომ ჩვენი მომავალი და კეთილდღეობა, შენი და ჩემი, ჩვენი ღირსება, ხომ გესმის!..

– ჰო, მესმის.

– არა, არ გესმის! ჩვენი ღირსება-მეთქი, გაიგე? ჩვენი ოჯახის ღირსება მის გათხოვებაზეა დამოკიდებული. მან უნდა იცოდეს თავისი თავის ფასი!

– საბრალო!

– საბრალო? იმის მეტს რას ვთხოვ, რომ ის თავისი შარახვეტია საქმროები ჩამოიშოროს და იმ სულელური რომანების კითხვასაც დაანებოს თავი, ასე სწორედ ამან აურია ჭკუა-გონება.

– შენ ის მითხარი, მე რა ვქნა?

– კარგად უნდა დაფიქრდე, აწონ-დაწონო ყველაფერი, გაიგო, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის მისი სილამაზე და რა სიკეთეს მოგვიტანს.

– მე კი მისი ასაკისა რომ...

– აბა, ანაკლიტა ახლა შენებურად არ მოჰყვე ლათაიებს! პირს ისე ხომ არ გააღებ, რომ რამე სისულელე არ წამოროშო. შენ მისი ასაკისა... მისი ასაკისა... მეც მაშინ გაგიცანი...

– ჰო, ჩემდა სავალალოდ...

და ასე დაშორდნენ მშვენიერი ქალიშვილის მშობლები, რომ მეორე დღეს ისევ გაეგრძელებინათ შეწყვეტილი საუბარი.

საბრალო ხულია კი იტანჯებოდა, რადგან კარგად იცოდა მამის გამოუსწორებელი ანგარებისა და განზრახვის ამბავი. „ჩემი გაყიდვა უნდა, – ამბობდა იგი გულში, – ოღონდ კი თავის წამხდარ საქმეს ეშველოს რამე და ციხეს გადაურჩეს!“ და ასეც იყო.

არც ხულიას დაუყოვნებია და ინსტინქტის წაქეზებითა თუ სულაც ჯიბრზე, შეხვდა პირველივე თაყვანისმცემელს.

– თუ ღმერთი გწამს, შვილო, ყური დამიგდე, – უთხრა დედამ, – უკვე ვიცი და კიდეც დავინახე ის, ჩვენს სახლს გარს რომ უვლიდა და რაღაცას განიშნებდა. არც ის გამომპარვია, წერილი რომ მიიღე მისგან და არც შენ დაგიგვიანებია პასუხი...

– მაშ, რა ვქნა, დედა? ასე მონასავით როდემდე ვიცხოვრო, პატიმარივით, სანამ სულთანი არ გამოჩნდება და მამაჩემი არ მიმყიდის, არა?

– ამას როგორ ამბობ, შვილო?..

– ნუთუ იმის ნება არა მაქვს, რომ საქმრო მეც მყავდეს?

– კარგი, ოღონდ ნამდვილი იყოს, სარწმუნო.

– მერე როგორ უნდა გავიგო ნამდვილია თუ არა? რამენაირად ხომ უნდა დავიწყო, ჯერ მაინც ხომ უნდა დაველაპარაკო, გავიცნო, რომ შემიყვარდეს.

– შეგიყვარდეს... შეგიყვარდეს...

– მაშ, მყიდველს უნდა დაველოდო?

– შენთან და მამაშენთან ხომ ვერაფერს გახდება ადამიანი. ასეთები ხართ იანიესები. დასწყევლოს ღმერთმა ის დღე, როცა მამაშენს გავყევი ცოლად.

– აკი მეც ამას ვამბობ, არ მინდა, რომ ერთ დღესაც მეც შენსავით სანანებლად გამიხდეს.

და დედაც მაშინვე გაერიდა. ხულია კი ჯიბრზე პირველ სართულზე ჩავიდა, რომ ერთ პირველივე ხელის მთხოვნელს ფანჯრიდან მაინც დალაპარაკებოდა. „ვაითუ, მამაჩემმა მოგვისწროს, – ფიქრობდა იგი, – არც იმას მოერიდება, რომ უდიერად მომექცეს. თუმცა ჯობია ყველამ გაიგოს, რომ მე მისი მსხვერპლი ვარ, რომ ჩემი სილამაზით ვაჭრობს“. და ასე, პირველივე შეხვედრის დროს რენადელ ახალბედა ტენორს გაანდო თავისი ოჯახისა და თავისი უსიხარულო ცხოვრების ამბავი; არც ის დაუმალავს, რომ მისი იმედი ჰქონდა, მარტო მას შეეძლო მისი გადარჩენა. და ენრიკემ, თუმცა კი მოხიბლული იყო მისი სილამაზით, იგრძნო როგორ უცივდებოდა გული – „ეს ქალიშვილი ასე მწვავედ რომ განიცდის თავის მდგომარეობას, უთუოდ სანტიმენტალური რომანების კითხვის ბრალია“. და იმ დროს, როცა ლამის მთელმა რენადამ გაიგო იმ მხარეში სილამაზით განთქმულმა ქალიშვილმა ღირსად ცნო ახალგაზრდა ტენორიო, უკვე დაიწყო იმაზე ფიქრი და გზების ძიება, როგორ ჩამოშორებოდა მშვიდობიანად და საბაბიც დროზე გამოჩნდა. ერთ დღესაც, როცა ხულია მასთან შესახვედრად ქვედა სართულზე ჩავიდა დაღონებული და ტირილისგან თვალებდაწითლებული და უთხრა:

– ვაიმე, ენრიკე, ამის გაძლება აღარ შემიძლია; ამას აღარც ჩემი სახლი ჰქვია და აღარც ოჯახი; ეს მართლა ჯოჯოხეთია. მამაჩემმა უკვე გაიგო ჩვენი ურთიერთობის ამბავი და სულ გადაირია. შენ წარმოიდგინე, რომ გუშინ საღამოს, თავის მართლება რომ ვცადე, კიდეც გამარტყა!

– რა მხეცობაა!

– შენ კარგად არ იცნობ, ისიც კი თქვა, ჩემთან ექნება საქმეო...

– ვნახოთ, რაც მოხდება! ესღა მაკლდა. – გულში კი გაიფიქრა, „ეს ამბავი დროზე უნდა დამთავრდეს, თორემ ამ მართლაც კაციჭამიას შეუძლია რამე საშინელება ჩაიდინოს, თუ მიხვდება, რომ მისი საუნჯის მოტაცებას ვაპირებ, თუმცა მისი ვალების გადამხდელი ისედაც არ ვიყავი; ამ ხაფანგს როგორმე უნდა დავაღწიო თავი...“

– მითხარი, ენრიკე, გიყვარვარ?

– განა ეს საკითხავია?

– მიპასუხე, გიყვარვარ?

– მთელი სულითა და გულით, ჩემო გოგონა!

– ნამდვილად?

– ნამდვილად და მერე როგორ!

– თავსაც არ დაზოგავ ჩემი გულისთვის?

– ჰო, ყველაფრისთვის მზად ვარ!

– მაშ, კარგი, მომიტაცე, წამიყვანე აქედან; გავიქცეთ, გავეცალოთ აქაურობას, წავიდეთ შორს სადმე, ძალიან შორს, მამაჩემმაც რომ ვერ მომაგნოს.

– დამშვიდდი, ბავშვო!

– არა, არა, თუ გიყვარვარ მომიტაცე! მოსტაცე მამაჩემს მისი საუნჯე, რომ ვეღარ გაყიდოს! არ მინდა, რომ გამყიდონ, მინდა, რომ მომიტაცონ, მაშ, მომიტაცე!

და მათ მოილაპარაკეს როდის და როგორ გაიქცეოდნენ.

მაგრამ მეორე დღეს, დათქმულ დროზე, როცა ხულიას უკვე ჩალაგებული ჰქონდა ტანსაცმელი და ფუთაც შეკრული, შეთანხმების თანახმად, ეტლიც უნდა მოსულიყო, ენრიკე არც გამოჩენილა. „მშიშარა, ლაჩარი და ლაჩარზე უარესი! უსინდისო და უფრო უარესი“ – ფიქრობდა საბრალო ხულია და საწოლზე დამხობილს ლამის კბილებით დაეგლიჯა ბალიში, – მერე როგორ მეფიცებოდა მიყვარხარო! არა, არა, არ ვყვარებივარ; მარტო ჩემი სილამაზე ხიბლავდა, ან ეგებ არც ეს! ეტყობა, მხოლოდ ის სურდა, რენადა აელაპარაკებინა, ეტრაბახა, რომ მე, ხულია იანიესმა თვითონვე ვაღიარე საქმროდ და იქნება ისაცა თქვას, ვითომ გაქცევაც მე შევთავაზე. გარეწარი, გარეწარი, გარეწარი! მამაჩემზე უარესი უსინდისო ყოფილა; უსინდისო, მასაც კაცი უნდა ერქვას? თუმცა ყველა კაცი ერთნაირია! – და ხულია უნუგეშო სასოწარკვეთილებამ შეიპყრო.

– შვილო, – უთხრა დედამ, – ვხედავ, ეს ამბავიც დამთავრდა და მადლობა ღმერთს. ჩანს, მამაშენი მართალი ყოფილა, თუ ასე გააგრძელებ, უარესი დაგემართება და ღირსება შეგელახება.

– როგორ გავაგრძელებ?

– ასე, თუ პირველივე თაყვანისმცემელს შეხვდები; პრანჭია ლამაზმანის სახელსაც დაიმსახურებ და...

– მით უკეთესი, დედა, მით უკეთესი, კიდევ უფრო მეტი თაყვანისმცემელი გამომიჩნდება და ეს ყველაფერი იქამდე გაგრძელდება, სანამ ღმერთის ნაბოძებ სილამაზეს არ დავკარგავ.

– ვაი, ჩემს დღეს! შენც მამაშენის ჯიშისა ხარ, შვილო!

და მართლაც სულ მალე ახალი თაყვანისმცემელიც გამოჩნდა, მაგრამ ხულია მასაც ისევე ენდო, როგორც ენრიკეს და ისიც ასევე დააფრთხო. თუმცა პედრო უფრო მტკიცე ხასიათისა აღმოჩნდა. ხულიამ მასაც იგივე შესთავაზა, გავიქცეთო.

– ყური დამიგდე, ხულია, – უთხრა პედრომ, – მე გაქცევის წინააღმდეგი არ ვარ, უფრო მეტიც, ეს კიდეც მხიბლავს, შენ წარმოიდგინე! კარგი, გავიქცეთ, მაგრამ მერე რა ვქნათ, სად წავიდეთ, როგორ მოვიქცეთ?

– ამაზე მერე ვიფიქრებთ!

– არა, ასე არაფერი გამოვა, არა! ეს უკვე ახლავე უნდა ვიცოდეთ, მე დღესდღეობით და გარკვეული დროის განმავლობაში შენი რჩენის საშუალება არ მექნება, არც ჩემს ოჯახში მიგვიღებენ, ხოლო რაც შეეხება მამაშენს!.. ერთი სიტყვით, ასეა, ახლა მითხარი, კიდეც რომ გავიქცეთ, მერე რას ვიზამთ?

– რას? ჯერ ისა თქვი, სიტყვას ხომ არ გატეხ.

– მაინც რას გავაწყობთ?

– ხომ არ გეშინია?

– მითხარი, რას ვიზამთ?

– რას და... თავს მოვიკლავთ!

– ხომ არ გაგიჟდი, ხულია!

– გავგიჟდი, ჰო, სასოწარკვეთილებამ გადამრია, სიძულვილმა გამაგიჟა. იმის შიშმა დამაკარგვინა ჭკუა-გონება, რომ მამაჩემი მიპირებს გაყიდვას... და თუ შენც გაგიჟდები, თუ ჩემი სიყვარული შენც გაგაგიჟებს, მაშინ შენც ჩემთან ერთად მოიკლავ თავს.

– მაგრამ აბა, ერთი დაფიქრდი, ხულია, თუკი მე ისე გამაგიჟებდა შენი სიყვარული, რომ შენთან ერთად მეც თავს მოვიკლავდი, იმას რატომ აღარ ამბობ, რომ შენც ჩემი სიყვარულის გამო მოიკლავდი თავს და არა მამაშენისა და შენი ოჯახის სიძულვილის გამო. ეს კი ერთი და იგივე სულაც არ არის!

– აჰა, ხედავ, რა კარგად მსჯელობ! განა სიყვარულს მსჯელობა შეეფერება?

და მათი ურთიერთობაც ასე დამთავრდა. და ხულიამ ისევ გაუმეორა თავის თავს: „არც ამას ვუყვარდი, არც ამას. მათ, ყველას, ჩემი სილამაზე ხიბლავდა და არა მე თვითონ. მარტო ფირნიშად ვუნდივარ!“ და მწარედ ატირდა.

– ხედავ, შვილო, – უთხრა დედამ, – მეც ამას არ გეუბნები? აჰა, ეს მეორეც ხომ წავიდა!

– კიდევ ასი წავა, დედა; დიახ, ასი, სანამ არ გამოჩნდება ის, ვინც თქვენგან მიხსნის, თქვენგან, ჩემი გაყიდვა რომ გინდათ.

– ეს მამაშენს უთხარი.

დონია ანაკლიტამ მაშინვე თავის ოთახს მიაშურა, რომ იქ მარტოს ეჯერებინა გული ტირილით.

– კარგად მომისმინე, შვილო, – ბოლოს მამამ უთხრა შვილს, – ის შენი ორი საქმრო ისე წავიდა, რომ მე არაფერი მიღონია, მაგრამ ახლა იცოდე, რომ დღეის შემდეგ ასეთ სისულელეებს აღარ მოვითმენ. ასე რომ, დაიმახსოვრე.

– შენ ჯერ ყველაფერი არ იცი! – შესძახა ქალიშვილმა და მწარედ გაიცინა; მამას თვალებში შეხედა ჯიუტად და გამომწვევად.

– აბა, რას იტყვი? – ჰკითხა მამამ დამუქრებით.

– იმას... რომ კიდევ ერთი საქმრო გამომიჩნდა!

– კიდევ? ვინ არის?

– ვინ? ვერ ხვდები, ვინ?

– თქვი, მე არ მეხუმრება, თქვი, მოთმინება არ დამაკარგვინო.

– როგორ გგონია, ვინ იქნება, თუ არა თავად დონ ალბერტო მენენდეს დე კაბუერნიგა.

– ხომ არ გაგიჟდი? – შესძახა დედამ.

დონ ვიქტორინოს მკვდრისფერი დაედო და ხმა ვეღარ ამოიღო. დონ ალბერტო მენენდეს დე კაბუერნიგა გახლდათ ძალიან მდიდარი მემამულე, თავაშვებული და დიდი მექალთანე და ამასთან თავშეუკავებელი, მასზე ამბობდნენ, არაფერს დაერიდება და არც დაინანებს, ოღონდ თავისას მიაღწიოსო; დაქორწინებულიც იყო და განქორწინებულიც; ორჯერ იქორწინა და ორჯერ გაეყარა, თუმცა ცოლები გვარიანად კი უზრუნველყო.

– აბა, ამაზე რას იტყვი, მამა? ხმას რატომ არ იღებ?

– ხომ არ გაგიჟდი?

– არა, არც გავგიჟდი და არც არაფერი მელანდება. ის ჩვენს ქუჩაზე დასეირნობს და ჩვენს სახლს უტრიალებს. ხომ არ გინდა, ვუთხრა, რომ დაგელაპარაკოს, კარგად მორიგდებით.

– ახლა წავალ, თორემ ეს ამბავი ცუდად დამთავრდება.

და იგი ადგა და სახლიდან წავიდა.

– კარგი, მაგრამ, შვილო, ჩემო შვილო!

– გეუბნები, დედა, ეს კიდეც მოეწონა, არ გჯერა? მას ხომ შეუძლია დონ ალბერტოსაც კი მიმყიდოს.

საბრალო ქალიშვილის ნება ბოლოს მაინც გატყდა; კარგად იცოდა, რომ ასეთი გარიგებაც კი მისთვის დიდი ხსნა იქნებოდა, ოღონდ მამისგან, ამ სახლიდან გაეღწია და მერე სულერთი იყო რაც მოხდებოდა.

* * *

სწორედ იმ ხანებში რენადის მიდამოებში ყველაზე ვრცელი და ნაყოფიერი მიწის ნაკვეთები ვინმე ინდიელმა ალეხანდრო გომესმა იყიდა.

არავინ არაფერი იცოდა მისი წარმოშობისა თუ წინაპრების შესახებ; არც მისი მშობლებისა და ნათესავების ამბავი გაეგონათ, არც მისი სოფლის სახელი სმენოდა ვინმეს და არც მისი ბავშვობა ახსოვდათ. მარტო ის იცოდნენ, რომ სულ პატარა ყოფილა, როცა მშობლებს ჯერ კუბაზე წაუყვანიათ, მერე მექსიკაში და იქ თურმე დიდი ქონება შეუძენია, მართლა ზღაპრული ქონება, მაგრამ როგორ და რა გზით, არც ეს იცოდა ვინმემ, რამდენიმე მილიონ დურუზეც კი ლაპარაკობდნენ, მერე ოცდათოთხმეტი წლისა რომ გახდა, ესპანეთში დაბრუნდა და კიდეც დამკვიდრდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ქვრივი იყო და შვილები არ ჰყავდა; ერთი სიტყვით, ნამდვილ ზღაპრებს ჰყვებოდნენ; ისინი კი, ვინც მას ასე თუ ისე იცნობდა, ამბობდნენ, მეტისმეტად პატივმოყვარე კაცია, დიდი გეგმები აქვს, მაგრამ ძალიან თავისნება და ჯიუტია, თან ძალიან გულჩათხრობილიაო. იგი თავისი პლებეური წარმოშობით თავსაც კი იწონებდა.

– როცა ფული გაქვს, შენთვის ყველა გზა ხსნილია, – იტყოდა ხოლმე.

– არც ყველასთვის და არც ყოველთვის, – შეეპასუხებოდნენ.

– არა, რა თქმა უნდა, არა ყველასთვის; მარტო მათთვის, ვინც გაისარჯა და თვითონ იშოვა, ხოლო ის სენიორიტოები, ვინც მემკვიდრეობით მიიღო, გრაფები თუ ჰერცოგები რომ ბრძანდებიან, ის უმაქნისები, ვერასოდეს წავლენ წინ, მილიონებიც რომ ჰქონდეთ. მაგრამ მე? მე? მე, რომელმაც ვიცი, როგორ ვიშოვე, მე თვითონ რომ მოვიპოვე ჩემი შრომითა და გარჯით? მე?

ერთი მოგესმინათ, როგორ წარმოთქვამდა სიტყვას – მე! თავისი პიროვნების ამგვარი წარმოჩენით თავის თავს ნამდვილ მამაკაცად წარმოაჩენდა.

– მართლაც არაფერი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში ისეთი, მე რომ მომინდომებია და არ შემისრულებია. თუკი მოვისურვებ, შემიძლია მინისტრიც კი გავხდე! მაგრამ ეს გულშიც კი არასდროს გამივლია!

* * *

ალეხანდროს რენადის სასახელო, უმშვენიერესი ხულიას შესახებ რომ უამბეს, „მე თვითონ უნდა ვნახოო!“ – თქვა და მერე როცა ნახა, გადაწყვიტა: „მე ის უნდა მოვინადირო!“

– იცი, მამა, – უთხრა ერთ დღესაც ხულიამ, – ერთი ხანია სულ იმ საზღაპრო ალეხანდროზე რომ ლაპარაკობენ, იმაზე კარბახედო რომ იყიდა...

– ჰო, ჰო, ვიცი, ვისზეც ამბობ; მერე რაო?

– ისიც იცი, რომ მასაც ჩემზე უჭირავს თვალი?

– ალბათ მეხუმრები, ხულია...

– არა, არ გეხუმრები, სრული სიმართლეა, სულ გარს მიტრიალებს.

– დავიჯერო არ ხუმრობ?..

– აჰა, მისი წერილი ნახე!

და მან უბიდან ამოიღო წერილი და მამას სახეში ესროლა.

– მერე შენ რას ფიქრობ, რას იზამ? – ჰკითხა მამამ.

– რა უნდა ვქნა!.. ვეტყვი, რომ შენ გნახოს და ფასზე მოგელაპარაკოს!

დონ ვიქტორინომ ერთი კი შეხედა შვილს და უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან. ამის მერე, რამდენიმე დღის განმავლობაში სახლში მძიმე სიჩუმე და უთქმელი ბოღმა სუფევდა. ხულიამ თავის ახალ თაყვანისმცემელს საპასუხო წერილი გაუგზავნა, მაგრამ წერილი სარკაზმითა და ზიზღით იყო გაჟღენთილი; ცოტა ხანში მეორე წერილიც მიიღო, ულაზათო, მოუქნელი ხელით, მსხვილი კუთხოვანი ასოებით კი იყო დაწერილი, მაგრამ გარკვევით იკითხებოდა: „ამ ყველაფრით იმას მიაღწევთ, რომ ბოლოს ჩემი გახდებით. ალეხანდრო გომესმა იცის, როგორ მიაღწიოს დასახულ მიზანს.“ ხულიამ რომ ეს სიტყვები წაიკითხა, გულში თქვა: „აი, ვინ არის ნამდვილი მამაკაცი! თუ მიხსნის, სწორედ ის მიხსნის! ის მე გამომისყიდის!“ ამ, მეორე წერილის მიღებიდან ორიოდე დღეც არ იყო გასული, რომ დონ ვიქტორინომ თავისთან მიიხმო შვილი, კარი ჩაკეტა და ლამის დაჩოქილმა და თვალცრემლიანმა უთხრა:

– მომისმინე, შვილო, ახლა ყველაფერი შენს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, ჩვენი მომავალი, ჩემი ღირსება... თუ შენ არ დათანხმდები ალეხანდროს, სულ ცოტა ხანში ჩემი გაკოტრების ამბავს მთელი ქვეყანა გაიგებს, ჩემი ვალებისა და ჩემი...

– კმარა, აღარაფერი თქვა.

– ვეღარ დავმალავ, უკვე ვადაც იწურება და ციხეც არ ამცდება. აქამდე როგორღაც გადავრჩი... შენი წყალობით! შენი სახელით ვსარგებლობდი! შენი სილამაზე იყო ჩემი დამცველი. „საბრალო ბავშვიო“, სულ ამას იძახდნენ.

– და თუ დავთანხმდები?..

– ამაზე უკეთესს რას იზამ; მაშინ მთელ სიმართლეს გეტყვი. მან იცოდა ჩემი მდგომარეობა, ყველაფერი კარგად გამოიძია და ახლა მე უკვე შემიძლია თავისუფლად ამოვისუნთქო, სულ ერთიანად გადაიხადა ჩემი ვალები, გამინაღდა თამასუქები და ასე გადამარჩინა...

– კმარა, ვიცი, აღარაფერი თქვა, ახლა?..

– ახლა მასზე ვართ დამოკიდებული, მის ხარჯზე ვცხოვრობ, ჩვენ მას შევყურებთ ხელში, ჩვენ, ყველა და შენ თვითონაც...

– ერთი სიტყვით, უკვე გამყიდე, არა?

– არა, მე კი არა, მან გვიყიდა...

– გამოდის, რომ მე თვითონ მინდა თუ არ მინდა, მას ვეკუთვნი, არა?

– არა, ამას კი არ მოითხოვს; არაფერს არ მოითხოვს, არა, არაფერს!

– რა სულგრძელობაა!

– ხულია!

– კმარა, კმარა, ყველაფერი გასაგებია. უთხარი ჩემი სახელით, როცა მოისურვებს, მაშინ მოვიდეს.

და ეს რომ თქვა, გააჟრჟოლა. ეს ვინ თქვა? ნუთუ მე თვითონ? არა, ეს სხვამ თქვა, იმან, მასში რომ ჩაბუდებულია და ასე ტანჯავს.

– მადლობელი ვარ, შვილო, მადლობელი!

მამა წამოდგა და სცადა შვილისთვის ეკოცნა, მაგრამ მან შეაჩერა და შესძახა:

– არა, არ მომიახლოვდე, არ გამაჭუჭყიანო!

– მაგრამ, შვილო...

– ახლა წადი და შენს თამასუქებს აკოცე! ანდა სულაც იმ შენი ქაღალდების ფერფლს, ციხეს რომ გადაგარჩინა.

* * *

– მე შენთვის არ მითქვამს, ხულია, რომ ალეხანდრო გომესმა კარგად იცის, როგორ მიაღწიოს დასახულ მიზანს? ჩემთან არავის გაუვა ოინები! ჩემთან!

ეს იყო პირველი სიტყვები, რაც ახალგაზრდა შეძლებულმა ინდიელმა უთხრა დონ ვიქტორინოს ქალიშვილს პირველივე სტუმრობის დროს; მათივე სახლში... და ამ სიტყვების გაგონებაზე ქალიშვილი ცახცახმა აიტანა, რადგანაც თავის ცხოვრებაში

პირველად იგრძნო, რომ ნამდვილი მამაკაცის წინაშე იდგა და უფრო მორჩილი და არცთუ უხეში ეჩვენა, ვიდრე ელოდა.

მესამედ რომ ესტუმრა, მშობლებმა ისინი მარტო დატოვეს. ხულია კანკალებდა. ალეხანდრო დუმდა, მაგრამ ეს ცახცახი და დუმილი დიდხანს არ გაგრძელებულა.

– ავად ხომ არ ხართ, ხულია, – უთხრა მან.

– არა, არა, კარგად ვარ!

– მაშ, ასე რატომ კანკალებთ?

– ალბათ შემცივდა.

– არა, შიშისგან.

– შიშისგან? რისი უნდა მეშინოდეს?

– გეშინიათ, ჩემი გეშინიათ!

– თქვენი რატომ უნდა მეშინოდეს?

– არ ვიცი, მაგრამ ჩემი გეშინიათ!

და ამ შიშმა ცრემლებში ნახა გამოსავალი. ხულია ტიროდა, ცრემლები გულიდან, სულის სიღრმიდან მოედინებოდა. ქვითინისგან მთელი სხეული უკანკალებდა და სუნთქვა უგუბდებოდა.

– ნუთუ ასეთი ურჩხული ვარ? – დაიჩურჩულა ალეხანდრომ.

– მე გამყიდეს! მე გამყიდეს! ჩემი სილამაზე სავაჭროდ გახადეს! მე გამყიდეს!

– ეს ვინ გითხრა?

– მე ვამბობ, მე! მაგრამ არა, მე თქვენი მაინც არ გავხდები... მარტო მკვდარს თუ...

– შენ ჩემი გახდები, ხულია, ჩემი გახდები... და შეგიყვარდები კიდეც! შეუძლებელია, რომ არ შეგიყვარდეთ, მე? ესღა მაკლია!

და მან ისეთი კილოთი წარმოთქვა „მე“, რომ ხულიას ერთბაშად შეაშრა ცრემლები და თითქოს გულიც კი გაუჩერდა. უცბად შეხედა ამ კაცს და მაშინვე თავისმა შინაგანმა ხმამ შეახსენა: „ეს არის ნამდვილი მამაკაცი!“

– ნება თქვენია, რაც გინდათ, ის ქენით!

– ამით რისი თქმა გინდა? – ჰკითხა კაცმა და დაჟინებით მიმართა შენობით.

– არ ვიცი... არ ვიცი, რას ვამბობ...

– რას ნიშნავს ეგ სიტყვები, რაც გნებავთ ის ქენიო?

– ჰო, რაც გნებავთ...

– მაგრამ მე რაც მინდა, – და ეს მე გამარჯვებულის მტკიცე ნათქვამი იყო, – არის ის, რომ ჩემი ცოლი გახდე.

ხულიას უნებურად კივილი აღმოხდა და თავისი დიდრონი, უმშვენიერესი, გაოცებული და გაბრწყინებული თვალები მიაპყრო ამ კაცს, რომელმაც გაიცინა და გაიფიქრა: „მე მეყოლება ყველაზე ლამაზი ცოლი მთელ ესპანეთში!“

– აბა, რა გეგონა?..

– მე მეგონა... მე მეგონა...

და ისევ იგრძნო, რომ გული ყელში ებჯინებოდა და ცრემლები ახრჩობდა. მერე ისიც იგრძნო, როგორ შეეხო მისი ტუჩები და ისევ გაიგონა მისი სიტყვები:

– დიახ, ჩემი ცოლი... ჩემი... ცხადია, ჩემი კანონიერი ცოლი! ჩემს ნებას დაამოწმებს კანონი! ან ჩემი ნება – კანონს!

– დიახ... მე შენი ვარ...

და ასე დაჰყვა მის ნებას. ქორწინებაზეც მოილაპარაკეს.

* * *

მაინც რა დაინახა ამ კაცში, ამ ტლანქსა და გულდახშულ კაცში ისეთი, რომ მისი კიდეც ეშინოდა და კიდეც იზიდავდა? ყველაზე უფრო მაინც ის აშინებდა, რომ იგი რაღაც უცნაურ გრძნობას აღუძრავდა, ეს რაღაც აუხსნელი გრძნობა იყო, რაღაც სიყვარულის მსგავსი გრძნობა. რატომ არ უნდოდა მას, ხულიას, რომ შეჰყვარებოდა ის კაცი, ავანტიურისტი, ვისაც მიზნად ჰქონდა დასახული ყველაზე ლამაზი ცოლი ჰყოლოდა, ვინც სახელსაც გაუთქვამდა და თავისი მილიონებით ყველას ყურადღებასაც მიიპყრობდა. მაგრამ რაკი მაინც არ ჰქონდა სურვილი, რომ ეს კაცი შეჰყვარებოდა, სიყვარულის მსგავს გრძნობას ხომ აღუძრავდა და ეს კი სიყვარულის თავისებური გამოხატულება იყო. ეს კი ისეთ სიყვარულს ჰგავდა, რაც ტყვე ქალის გულში შეიძლება აინთოს გამარჯვებული დამპყრობლის მიმართ. მაგრამ არა, ის არ უყიდიათ, არა! მან იგი დაიპყრო, მოინადირა.

„თუმცა მას ნამდვილად ვუყვარვარ? – ფიქრობდა ხულია, – მას მე ვუყვარვარ? მე, როგორც იტყოდა ხოლმე ის? და მერე როგორ იტყვის ხოლმე! როგორ წარმოთქვამს ამ თავის მე-ს! ნეტავ მას მე ვუყვარვარ თუ ჩემი სილამაზე, თავი რომ მოიწონოს? ნუთუ მისთვის რაიმე ძვირფას ნივთზე მეტი ფასი მაქვს? რაც უნდა იყოს, მაინც ჩემი ქმარი იქნება და ჩემს დაწყევლილ კერას მაინც დავაღწევ თავს, მამაჩემისგან გავთავისუფლდები; ის ხომ ჩვენთან ერთად მაინც არ იცხოვრებს, არა! პენსიას

დავუნიშნავთ და თუ საბრალო დედაჩემზე მაინც მოუნდება ჯავრის ამოყრა, რამდენიც უნდა, ეკურკუროს თავის მოსამსახურეებს. ვალების აღებას ხომ გადავაჩვევთ. მე კი მდიდარი ვიქნები, ძალიან მდიდარი, ზღაპრულად მდიდარი!“

მაგრამ ეს მაინც დიდად სანუგეშო არ იქნებოდა. რენადელების შურიანობის ამბავიც იცოდა, მერე როგორ აალაპარაკებდა ხალხს მისი მართლაც შესაშური ბედი; იტყვიან, აი, რა სიკეთე მოუტანა მისმა სილამაზემ, რა ფუფუნებაში ჩააგდო. მაგრამ უყვარდა კი იგი ამ კაცს? ნამდვილად უყვარდა? „მე მოვინადირებ მის გულს, მოვიპოვებ მის სიყვარულს – იტყოდა ხოლმე – „ჩემთვის აუცილებელია, რომ მას ვუყვარდე. როგორ შეიძლება მისი ცოლი მერქვას და არ ვუყვარდე; ეს ხომ იმაზე უარესი იქნებოდა, ვიდრე ჩემი ყიდვა, თუმცა მე კი მიყვარს?“ და მის წინაშე ყოველთვის შიშის გრძნობა შეიპყრობდა ხოლმე და თავისი შინაგანი, იდუმალი ხმაც უჩიჩინებდა: „ეს არის ნამდვილი მამაკაცი!“ ყოველთივს, როცა კი ალეხანდრო წარმოთქვამდა ხოლმე „მე“ -ს, მას ცახცახი აიტანდა, მაგრამ ცახცახებდა კი სიყვარულისგან, თუმცა მიზეზი მაინც სხვა ეგონა, სინამდვილეში თვითონაც ვერ გაეგო, რა გრძნობა იყო ეს.

* * *

მათ იქორწინეს და საცხოვრებლად დედაქალაქში გადავიდნენ. ალეხანდროს ნათესავები და მეგობრები ბლომად გამოუჩნდნენ თავისი ქონების წყალობით, ამასთან, საკმაოდ უცნაურებიც. მათ შორის, ვინც მისი სახლის ხშირი სტუმარი იყო, უმეტესობა არისტოკრატები, კეთილშობილი წარმოშობის ადამიანები იყვნენ, მაგრამ ხულიას რატომღაც ქმრის მევალეები ეგონა, რომელთაც სესხად აძლევდა ფულს საკმაოდ მაღალი პროცენტით. თუმცა მან არაფერი იცოდა მისი საქმიანობის შესახებ, რადგან არც მასთან და არც არავისთან და არასდროს არაფერს ამბობდა. ხულიას კი არაფერი აკლდა, რასაც მოისურვებდა, სულ პატარა ახირებაც კი, შეეძლო აესრულებინა; მაგრამ მას აკლდა ის, რაც ყველაზე მეტად ენატრებოდა – ამ კაცის სიყვარული; ამავე დროს გრძნობდა, რომ ამ კაცმა იგი სულ დაიმორჩილა და მოაჯადოვა, მაგრამ უნდოდა დარწმუნებულიყო. „ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ? – ეკითხებოდა ხოლმე თავის თავს, – მისი ყურადღება და პატივისცემა არ მაკლია, თავს მევლება, ისე მანებივრებს, როგორც ერთ თავნება და ახირებულ ადამიანს, მაგრამ ვუყვარვარ?“ და მაინც სულ ფუჭი იყო ამ კაცთან სიყვარულზე თუ სინაზეზე საუბარი.

– ამისთანა რამეზე სულელების მეტი არავინ ლაპარაკობს, – ეტყოდა ხოლმე ალეხანდრო, – მომხიბლავო... ჩემო საუნჯევ... მშვენიერო... საყვარელო... მე? მე და ასეთი სიტყვები? ამისთანა რამეზე ლაპარაკი? მე? ეს მარტო რომანებში წერია. მე კი ვიცი, რომ კითხვა გიყვარდა.

– ახლაც მიყვარს.

– მაშ, იმდენი იკითხე, რამდენიც მოგესურვება. იცი, რა მინდა გითხრა, თუკი მოისურვებ, ერთ დიდ პავილიონს აგიშენებ იმ მზიან ადგილზე, მოგიწყობ ბიბლიოთეკას და თუ ადამის დროიდან რამე დაწერილა, ყველაფერს იქ მოგიტან.

– რას ამბობ!..

ალეხანდრომ ძალიან უბრალოდ იცოდა ჩაცმა-დახურვა – და ცოტა არ იყოს, დაუდევრადაც კი, მაგრამ იმიტომ კი არა, ყურადღება რომ არ მიექცია თავისი ჩაცმულობით, ამითი უფრო თავისი პლებეური წარმოშობისა და უბრალოების ჩვენება უნდოდა. არც ტანსაცმლის ხშირად გამოცვლა უყვარდა, თუკი ერთს აიჩემებდა, ვეღარ შეელეოდა ხოლმე. როცა ახალ კოსტიუმს ჩაიცვამდა, განგებ გაეხახუნებოდა ხოლმე, ნახმარი რომ ჰგონებოდათ. სამაგიეროდ დაჟინებით მოითხოვდა, რომ მისი ცოლი რაც შეიძლება ელეგანტურად ყოფილიყო ჩაცმულ-დახურული, რათა მისი ბუნებრივი სილამაზე კიდევ უფრო თვალში საცემი ყოფილიყო. იგი არც ხელმომჭირნე იყო და დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა, როცა ხულიას მკერავებსა და მოდელიერებს შრომის საფასურს გულუხვად უხდიდა.

მერედა რა ბედნიერი იყო, როცა ცოლი გვერდით მიჰყვებოდა ხოლმე და აშკარად ჩანდა მათ შორის განსხვავება როგორც ჩაცმულობაში, ისე გარეგნობაში, ან რარიგად უხაროდა, როცა გამვლელები ჩერდებოდნენ და უყურებდნენ მის ცოლს; ის კი ცოტა კიდეც კეკლუცობდა და ამით მეტ ყურადღებას იპყრობდა, თვითონ ალეხანდრო კი ამას არც იმჩნევდა, ან ცდილობდა რომ არ შეემჩნია; კაცი იფიქრებდა, იმის თქმა უნდა, ასე აღტაცებით რომ უყურებთ, მოგწონთ, არა? მიხარია, მაგრამ ის ჩემია, მხოლოდ ჩემი, დაე შეგშურდეთ!“ ხულია კი ამას რომ ხვდებოდა, გულში ისევ იტყოდა: „მაგრამ ვუყვარვარ ამ კაცს თუ არ ვუყვარვარ?“ მასზე ყოველთვის ასე ფიქრობდა – „ეს კაცი“, „მისი კაცი“, ანდა უფრო სწორად, კაცზე, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, მის ბატონზე. და ასე, თანდათან კიდეც ჩამოუყალიბდა ჰარამხანის მხევლის, ოღონდ საყვარელი მხევლის განცდა, მაგრამ გამორჩეული მონისა, თუმცა მაინც მონისა.

მათ შორის არანაირი სიახლოვე არ იყო. მან ისიც კი არ იცოდა, რა მიიქცევდა მისი ბატონი ქმრის ყურადღებას. ერთხელაც გაბედა და ჰკითხა მისი ოჯახის ამბავი.

– ოჯახი? – უპასუხა ალეხანდრომ, – შენს მეტი ოჯახი არცა მყავს და არც მყოლია. ჩემი ოჯახი ვარ მე, მე და შენ, შენ კი ჩემი ხარ.

– მერედა შენი მშობლები?

– წარმოიდგინე, რომ ისინი არც მყოლია. ჩემი ოჯახი ჩემით იწყება. ჩემი თავი მე თვითონ შევქმენი, მარტო მე.

– კიდევ სხვაც მინდოდა მეკითხა შენთვის, ალეხანდრო, მაგრამ ვერ გამიბედავს.

– როგორ თუ ვერ გაგიბედავს? ხომ არ გგონია, რომ შეგჭამ? განა ოდესმე გავბრაზებულვარ, როცა რაიმე გიკითხავს?

– არა, არასდროს, ვერ დავიჩივლებ...

– ესღა მაკლია!

– ვერა, ვერ დავიჩივლებ, მაგრამ...

– კარგი, ახლა მკითხე და ამით დავამთავროთ.

– ვერა, ვერ გკითხავ.

– მკითხე!

მან ისეთი კილოთი წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ ქალს გააჟრჟოლა, ოღონდ შიშისგან თუ სიყვარულისგან ვერ გაეგო, თუმცა ეს იყო მორჩილის, მაგრამ საყვარელი მხევლის სიყვარული, მერე თქვა:

– მაშ, კარგი, ახლა მითხარი, შენ ქვრივი ხარ?..

ალეხანდროს შუბლზე ჩრდილმა გადაურბინა, წარბები შეეჭმუხნა და მოღუშულმა უპასუხა:

– ჰო, მე ქვრივი ვარ.

– მერე შენი პირველი ცოლი?..

– ეტყობა, რაღაცები გითხრეს...

– არა, მაგრამ...

– მაინც რა გითხრეს, მითხარი.

– ასეა, რაღაც გავიგე...

– მერე დაიჯერე?

– არა... არ დამიჯერებია...

– ცხადია ვერც დაიჯერებდი და არც უნდა დაგეჯერებინა.

– არა არც დამიჯერებია.

– ბუნებრივია. თუკი ვინმეს ისე ვუყვარვარ, როგორც შენ, ვინც იმდენადაა ჩემი, როგორც ხარ შენ, შეუძლებელია, რომ ასეთი ჭორები დაიჯეროს.

– რა თქმა უნდა, მიყვარხარ... – და ეს რომ თქვა, თვითონაც ელოდა, რომ ალეხანდროც საპასუხოდ აღიარებდა თავის გრძნობას.

– კეთილი, მგონია, მითქვამს შენთვის სანტიმენტალური რომანების სიტყვები არ მიყვარს-მეთქი. ჯობია ნაკლები ვილაპარაკოთ იმაზე, ვინ ვის უფრო მეტად უყვარს.

და მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო:

– ალბათ ისიც გითხრეს, მექსიკაში, სულ ყმაწვილი რომ ვიყავი, ვიქორწინე უზომოდ მდიდარ და ჩემზე ბევრად უფროს ქალზე, მოხუც მილიონერზე და ვაიძულე მემკვიდრედ ვეღიარებინე, მერე კი მოვკალი, ხომ ასე გითხრეს, არა?

– ჰო, ასე მითხრეს.

– და შენც დაიჯერე?

– არა, არ დავიჯერე და ვერც დავიჯერებდი, რომ საკუთარ ცოლს მოკლავდი.

– ვხედავ, რომ უფრო ჭკვიანი ყოფილხარ, ვიდრე მეგონა. როგორ მოვკლავდი ჩემს ცოლს, ჩემს ნივთს?

რატომ აიტანა კანკალმა საბრალო ხულია ამის გაგონებაზე? თვითონაც ვერ მიმხვდარიყო ამის მიზეზს, ეგებ ამის მიზეზი ეს სიტყვა „ნივთი“ იყო მისმა ქმარმა თავის პირველ ცოლს რომ უწოდა?

– ეს ხომ სრული უგუნურება იქნებოდა, – განაგრძო ალეხანდრომ, – ან რისთვის? მისი მემკვიდრეობა რომ დამრჩენოდა? მე ხომ მის ქონებას ისევე განვაგებდი, როგორც ახლა! საკუთარი ცოლის მოკვლა? არანაირი აზრი არ უნდა ჰქონდეს საკუთარი ცოლის მოკვლას!

– და მაინც, ისეთი ქმრებიც ხომ არიან, თავიანთ ცოლებს რომ კლავენ, – გაბედა ხულიამ.

– მერე რისთვის?

– ეჭვიანობის, ანდა ღალატისთვის...

– აბა, აბა, აბა! ეჭვიანობა ყეყეჩების საქმეა. მარტო ყეყეჩები შეიძლება იყვნენ ეჭვიანები, რადგან მარტო ასეთებს ღალატობენ ცოლები. მაგრამ მე? მე? შეუძლებელია მე ჩემმა ცოლმა მიღალატოს. მე ჩემი ცოლი ვერასოდეს მიღალატებს, შეუძლებელია შენ მე მიღალატო!

– ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. სხვა რამეზე ვთქვათ...

– რატომ?

– გული მტკივა, შენ რომ გისმენ. ვერ წარმოვიდგენ და სიზმარშიც კი ვერ ვიფიქრებ შენს ღალატზე!..

– ვიცი, შენ რომ არ მითხრა, ისედაც ვიცი; კარგად ვიცი, რომ ვერასოდეს მიღალატებ.

– რასაკვირველია!

– ვერ მიღალატებ! მე? ჩემმა ცოლმა მიღალატოს? წარმოუდგენელია! ხოლო რაც შეეხება იმას, სხვას, პირველს, ის თავისი სიკვდილით მოკვდა, მე ის არ მომიკლავს.

ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ალეხანდრო ამდენს ელაპარაკა თავის ცოლს. და სწორედ ამან ჩააფიქრა და ააცახ-ცახა. უყვარს თუ არა ამ კაცს, ჰო, თუ არა?

* * *

საბრალო ხულიას თავისი ოჯახური კერა, მამამისის სახლზე ნაკლებად საშინელი არ ეჩვენებოდა. იგი თავისუფალი იყო, სრულიად თავისუფალი; შეეძლო როგორც მოესურვებოდა, ისე მოქცეულიყო, წასულიყო და მოსულიყო, დაეპატიჟებინა მეგობრები, ქალებიცა და კაცებიც, თუკი მოუნდებოდა. მაგრამ უყვარდა კი თავის ბატონს, თავის პატრონს? რაკი ვერა და ვერ დარწმუნებულიყო ამ კაცის სიყვარულში, თავს მის ტყვედ გრძნობდა, ამ ბრწყინვალე ციხეში პატიმარი იყო, კარი ყველასთვის ღია იყო.

მაშინ შეანათა მის აფორიაქებულ და ჩაბნელებულ მონის სულში, როცა გაიგო, რომ ფეხმძიმედ იყო ამ თავისი ბატონი-ქმრისგან. „ახლა კი გავიგებ, ვუყვარვარ თუ არა“, – ფიქრობდა ქალი.

როდესაც ეს სასიხარულო ამბავი ქმარსაც ამცნო, მან შესძახა:

– ამას ველოდი! ახლა მემკვიდრეც გამიჩნდება, მე მისგან ისეთ მამაკაცს დავაყენებ, როგორიც მე ვარ. ამას კიდეც ველოდი.

– მაგრამ თუ არ გვეყოლებოდა? – ჰკითხა ხულიამ.

– ეს დაუჯერებელია! უეჭველად გვეყოლებოდა. მე უნდა მყავდეს ვაჟიშვილი, მე იგი მეყოლება!

– მაგრამ ხომ არიან ისეთი ცოლ-ქმარიც, შვილები რომ არა ჰყავთ...

– სხვებს შეიძლება. მაგრამ მე არა! მე ბიჭი უნდა მყავდეს!

– მაინც რატომ?

– იმიტომ, რომ არ შეიძლება შენ ჩემთვის ბიჭი არ გაგეჩინა!

და კიდეც გაჩნდა ბიჭი; თუმცა მამა ისევ ისეთი გულჩაკეტილი დარჩა, როგორიც იყო. მარტო იმაზე თქვა უარი, რომ დედას ძუძუ ეწოვებინა.

– არა, მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ჯანმრთელი ხარ, სრულიად საღსალამათი, მაგრამ ძუძუს წოვება ძალიან ვნებს ქალს, მე კი არ მინდა, რომ ამან შენზე ცუდად იმოქმედოს, მინდა, რომ დიდხანს იყო ასეთი ახალგაზრდა.

და მარტო მაშინ დათანხმდა, როცა ექიმმა დაარწმუნა, ხულიას ეს ვერაფერს ავნებს, რომ ბავშვის კვება და მოვლა კიდეც არგებს და კიდევ უფრო გაალამაზებს და დაამშვენებსო.

მამა შვილის კოცნას ერიდებოდა. „ამდენი ხვევნა-კოცნა ბავშვს აღიზიანებსო“, იტყოდა ხოლმე. ზოგჯერ ხელში კი აიყვანად ხოლმე და დიდხანს დასცქეროდა.

– მახსოვს, ერთხელ მკითხე ჩემი ოჯახის შესახებ, – ჰკითხა ერთ დღესაც ალეხანდრომ ცოლს, – აი, ესეც ჩემი ოჯახი. ახლა ნამდვილად მაქვს ოჯახი და მყავს მემკვიდრე, ჩემი საქმის გამგრძელებელი.

ხულიამ იფიქრა, ახლა მაინც ვათქმევინებ, მაინც რა საქმეს ეწევაო, მაგრამ ისევ ვერ გაუბედა. „ჩემი საქმეო“, ნეტავ რა საქმეები აქვს ამ კაცს? ეს სიტყვა სხვა დროსაც ჰქონდა გაგონილი მისგან.

მათ შორის, ვინც მათი სახლის ხშირი სტუმარი იყო, გრაფი დე ბორდავიელა და მისი მეუღლეც გახლდათ, უფრო კი თავად გრაფი, რომელსაც ალეხანდროსთან მართლა საქმე აკავშირებდა; მისგან ისესხა საკმაოდ დიდი თანხა და საკმაოდ მაღალი პროცენტით. გრაფი ხულიას ჭადრაკს ეთამაშებოდა ხოლმე, რადგან ქალი გატაცებული იყო ამ თამაშით, ხოლო თავად გრაფისთვის გულის მოოხება იყო, როცა თავის ოჯახურ უსიამოვნებებზე ელაპარაკებოდა თავისი მევახშის ცოლს, თავის მეგობარს, რადგან გრაფი ბორდავიელას კერა მართლა პატარა ჯოჯოხეთად გადაქცეულიყო, თუმცა არცთუ დიდი იყო ცეცხლი. გრაფსა და გრაფინიას არც ერთმანეთისა ესმოდათ და არც ერთმანეთი უყვარდათ. ორივე თავ-თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ გრაფინია საკმაო საბაბს აძლევდა ხალხს ათასგვარი ჭორებისა და მითქმა-მოთქმისთვის. მასზე სულ ხუმრობდნენ და გამოცანებსაც კი თხზავდნენ: „აბა, ვინ იქნება, თუ იცით, გრაფი ბორდავიელას მორიგი დამხმარე?“ და საბრალო გრაფი კი დადიოდა მშვენიერი ხულიას სახლში ჭადრაკის სათამაშოდ, რომ სხვისი უბედურებით საკუთარი უბედურება დაევიწყებინა და ამით ენუგეშებინა თავი.

– რაო, დღესაც გესტუმრა ის გრაფი? – ჰკითხავდა ხოლმე ცოლს ალეხანდრო.

– ის გრაფი... ის გრაფი... რომელი გრაფი?

– ის! სხვა ვინ უნდა იყოს, რა მნიშვნელობა აქვს გრაფია, მარკიზი თუ ჰერცოგი... ჩემთვის ისინი ყველა ერთია, განსხვავებას ვერ ვხედავ...

– ჰო, იყო!

– მიხარია, რომ შენ გართობს, ეს საბრალო ბრიყვი ხომ სხვა არაფერში გამოდგება.

– მე თუ მკითხავ, ის ინტელიგენტი და კულტურული კაცია, კარგად აღზრდილი და საკმაოდ სანდომიანი...

– ჰო, ისიც ერთი იმათგანია, ვინც რომანებს კითხულობს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, თუკი შენ მაინც გართობს...

– ის ძალიან უბედურად გრძნობს თავს.

– ააჰ, ეს ხომ მისივე ბრალია!

– რატომ?

– იმიტომ, რომ ქარაფშუტაა. ახია და ბუნებრივიცაა ის, რაც მის თავს ხდება. ისიც არ არის გასაკვირი, რომ ამ გრაფისთანა თავქარიან კაცს ცოლი ღალატობდეს. თუ მაგასაც კაცი ჰქვია. ის ვერ გამიგია, სად იპოვა ისეთი ქალი, რომელიც ასეთ კაცს ცოლად გაჰყვებოდა. მე თუ მკითხავ, ის ქალი მის ტიტულს უფრო გაჰყვა ცოლად. ასეთი რამ ჩემთვის რომ გაებედა ქალს, საერთოდ ქალს, რასაც ამ საცოდავს თავისი ცოლი უბედავს!..

ხულიამ დაჟინებით შეხედა თავის ქმარს და უეცრად, არც კი დაფიქრებულა რას ამბობდა, შესძახა:

– მე რომ ეს შენთვის გამებედა? მეც რომ ასე მოგგქცეოდი შენ, როგორც გრაფს ექცევა მისი ცოლი?..

– რა სისულელეა! – და ალეხანდრომ გაიცინა, – შენ გინდა, რომ ჩვენი ცხოვრება შენი წიგნების მარილით შეანელო? მაგრამ თუ ჩემი გამოცდა გინდა, თუ გინდა, რომ მაეჭვიანო, ცდები. მე ისეთებს არ ვგავარ! ჩემთან ასეთი ოინები არავის გაუვა. ჩემთან? ასეთი ოინები შეგიძლია იმ ყეყეჩ ბორდავიელას მოუწყო.

„ნუთუ ამ კაცს მართლა არ გააჩნია ეჭვიანობის არანაირი გრძნობა? – ფიქრობდა ხულია, – ნუთუ სულ არ ენაღვლება, რომ გრაფი ჩემთან დადის, სულ თავს დამტრიალებს და კიდეც მეარშიყება? ნუთუ ასეა დარწმუნებული ჩემს ერთგულებასა და სიყვარულში? განა ასე სჯერა, რომ ჩემზე ასეთი ზემოქმედების ძალა აქვს? ეგებ ეს გულგრილობაა? ვუყვარვარ, თუ არ ვუყვარვარ?“ და მას მწარე სასოწარკვეთილება მოერეოდა ხოლმე, ასე აწამებდა თავისი ბატონი და პატრონი ქმარი მის გულს.

საბრალო ქალი ჯიუტად ცდილობდა თავისი ქმრის გულში ეჭვიანობის გრძნობა გაეღვიძებინა, ეს სასინჯ ქვასავით იქნებოდა, რაც მის სიყვარულში დაარწმუნებდა, მაგრამ ვერაფერი გაეწყო...

– გრაფის სახლში სტუმრად ხომ არ წამოხვიდოდი ჩემთან ერთად?

– რისთვის?

– ჩაიზე!

– ჩაიზე? მე ჯერ მუცელი არ ამტკივებია. ერთ დროს ჩვენს სახლში ამ მღვრიე წყალს მარტო მაშინ გვასმევდნენ, როცა მუცელი აგვტკივდებოდა ხოლმე. კარგია, თუ შენ

გარგებს! ცოტა მაინც ანუგეშე ის საცოდავი გრაფი. იქ შეიძლება გრაფინიაც დაგხვდეს თავის მორიგ მეგობართან ერთად. ამასაც საზოგადოება ჰქვია! თუმცა ბოლოს და ბოლოს, ასეც ხდება ხოლმე!

* * *

გრაფი კი ამასობაში ისევ ისე უტრიალებდა გარს ხულიას. თავს ისე აჩვენებდა, თითქოს თავისი ოჯახური უსიამოვნებების გამო დიდად იყო შეწუხებული, რათა მისი თანაგრძნობა გამოეწვია, ხოლო თანაგრძნობას შეიძლება სიყვარულიც მოჰყოლოდა, თუნდაც ცოდვილი სიყვარული, ამასთან იმასაც ცდილობდა, მიეხვედრებინა, თითქოს მისი ოჯახური ამბავიც იცოდა.

– ასეა, ხულია, ჩემი სახლი მართლა ჯოჯოხეთად გადაიქცა, ნამდვილ ჯოჯოხეთად და რაოდენ დიდი სიკეთეა, რომ ასეთ თანაგრძნობას იჩენთ ჩემ მიმართ. აჰ, ჩვენ რომ ადრე შევხვედროდით ერთმანეთს, იქამდე, სანამ, ჩემდა საუბედუროდ, ამ უღელს დავიდგამდი! და თქვენც...

– გგონიათ, მეც თქვენ დღეში ვარ? მეც თქვენსავით ასეთ უღელში...

– არა, არა; ამის თქმა არ მინდოდა... არა!

– აბა, რისი თქმა გინდოდათ მაინც, გრაფო?

– მანამდე, სანამ თქვენ ამ კაცის, თქვენი ქმრის ხელში ჩავარდებოდით-მეთქი...

– მერე თქვენ გჯერათ, ის რომ არა, თქვენი გავხდებოდი?

– ოჰ, ეჭვიც არ მეპარება, არ მეპარება...

– მაინც რა თავდაჯერებულები ხართ, თქვენ, მამაკაცები!

– თავდაჯერებულებიო?

– დიახ, თავდაჯერებულები. თქვენ თქვენი თავი ასეთი უცილობელი გგონიათ?

– მე... არა!

– მაშ, ვინ?

– თუ ნებას მომცემთ ვთქვა, ხულია...

– თქვით, რაც გნებავთ!

– მაშ კარგი, გეტყვით! უცილობელი ჩემი თავი კი არა, ჩემი სიყვარული მგონია, დიახ, ჩემი სიყვარული!

– მაგრამ ეს ხომ ნამდვილი აღიარებაა, სენიორ გრაფო? არ დაგავიწყდეთ, რომ მე გათხოვილი ქალი ვარ, პატიოსანი და საკუთარ ქმარზე შეყვარებული.

– ეს...

– მერე თქვენ ნებას აძლევთ საკუთარ თავს ეჭვი შეიტანოთ ამაში? შეყვარებული, დიახ, როგორც გაიგონეთ, შეყვარებული გულწრფელად შეყვარებული ჩემს ქმარზე.

– მაგრამ იმაზე რაღას იტყოდით?..

– რაო? ეს რაღას ნიშნავს? ვინ გითხრათ, რომ მე მას არ ვუყვარვარ?

– თავად თქვენ!

– მე? როდის შემოგჩივლეთ, ალეხანდროს არ ვუყვარვარ-მეთქი, როდის?

– ეს თქვენმა თვალებმა მითხრა, თქვენმა ქცევამ, თქვენმა სახემ...

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ მე თვითონ გამოგიწვიეთ და თავი მე თვითონ შეგაყვარეთ?.. ფრთხილად, სენიორ გრაფო, იცოდეთ, დღეს აქ, ჩემს სახლში უკანასკნელად ბრძანდებით!

– თუ ღმერთი გწამთ, ხულია!

– უკანასკნელად-მეთქი, გითხარით!

– თუ ღმერთი გწამთ, იმის ნება მაინც მომეცით, გნახოთ, მდუმარედ გიმზიროთ და შევიშრო ცრემლები, გულიდან რომ მეღვრება...

– რა ლამაზი სიტყვებია!

– და ის, რაც ვთქვი, თქვენ კი შეურაცხყოფად მოგეჩვენათ...

– მომეჩვენა? მე თქვენ პირდაპირ მომაყენეთ შეურაცხყოფა!

– როგორ შემეძლო მე თქვენთვის შეურაცხყოფა მომეყენებინა!

– სენიორ გრაფო!..

– განა ჩემი სიტყვები შეურაცხყოფა იყო? მე იმის თქმა მინდოდა, ადრე რომ შევხვედროდით ერთმანეთს, სანამ მე ჩემი ცოლის ხელში ჩავვარდებოდი, თქვენ კი თქვენი ქმრისა, მე თქვენ ისევე სიგიჟემდე შეგიყვარდებოდით, როგორც ახლა მე მიყვარხართ-მეთქი... ნება მიბოძეთ, გული გადაგიშალოთ! მე ისეთივე გაგიჟებით შეგიყვარდებოდით, როგორც ახლა მე მიყვარხართ და ამ სიყვარულით საპასუხო სიყვარულს მოვიპოვებდი და არა ჩემი ქველობის, არა ჩემი ღირსებების წყალობით, არამედ მხოლოდ სიყვარულის ძალით. მე ის ადამიანი არ გახლავარ, ხულია, ვინც ქალის გულის მონადირებას, თუ დამორჩილებას თავისი ღირსებების წყალობით ცდილობს, თუმცა კი ეს ისედაც გამაჩნია; მე ის არ გეგონოთ, ვინც მოითხოვს სიყვარულს და სიყვარულითვე არ პასუხობს. ჩემში, ამ სიღარიბეში ჩავარდნილი, კეთილშობილი შთამომავლობის ადამიანში ქედმაღლობის ნატამალიც არ არსებობს.

ხულია ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად სვამდა ამ შხამს.

– რამეთუ ისეთი ადამიანებიც არიან, – განაგრძობდა გრაფი, – ვისაც სიყვარულის უნარი არც გააჩნია, მაგრამ სხვისგან მოითხოვენ სიყვარულს და კიდეც სჯერათ, რომ უფლება აქვთ მოითხოვონ უპირობო სიყვარული და ერთგულება საბრალო ქალისგან, რომლის დამორჩილება მოახერხეს. არიან ისეთებიც, რომლებიც მშვენიერ, სილამაზით განთქმულ ქალს მარტო იმისთვის ირჩევენ, რომ პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილონ და გვერდით მოთვინიერებული ლომივით მიჰყვებოდეს, რომ შეეძლოთ თქვან: „ეს ჩემი საკუთარი ლომია“ ხომ ხედავთ, როგორ მემორჩილება, განა ამიტომაც არ უყვარს თავისი ხვადი ლომი?“

– სენიორ გრაფო... სენიორ გრაფო, თქვენ უკვე ზღვარს გადახვედით...

მაშინ ბორდავიელა სულ ახლოს მივიდა მასთან და მისი ყურის ლამაზ, ვარდისფერ ნიჟარას, წაბლისფერი, ბზინვარე კულულიც რომ ვერ მალავდა, შეეხო მისი ცხელი სუნთქვა და ჩასჩურჩულა:

– ჰო, ზღვარს გადავედი და შენს გრძნობებშიც შემოვიჭერი, ხულია!

სიტყვამ „შენ“ ქალის ყურის ბიბილო დამნაშავესავით გააწითლა.

ხულიას მკერდი ისე აბორგდა, ვითარცა ზღვა ქარაშოტისგან.

– ჰო, ხულია, მე შენს გრძნობებში შემოვიჭერი.

– მომეშვით, სენიორ გრაფო, ღვთის გულისათვის, მომეშვით! ახლა რომ ის შემოვიდეს...

– არა, ის არ შემოვა. მას შენ სულაც არ ენაღვლები. ის ხომ მარტო იმიტომ გტოვებს ჩემთან, რომ არ უყვარხარ... არა, მას შენ არ უყვარხარ! არა, ხულია, არ უყვარხარ!

– არა, ის ხომ სრულიად მენდობა...

– გენდობა? არა. ის თავის საკუთარ თავს ენდობა. ბრმად ენდობა თავის თავს! დარწმუნებულია, რომ მას, რაკი ის გახლავს ალეხანდრო გომესი, ვინც ასეთი ქონება შეიძინა... არც მინდა ვიცოდე რა გზითა და როგორ... ის, დარწმუნებულია, რომ ქალი ვერ უღალატებს. მე მას ვძულვარ, ეს კი ნამდვილად ვიცი...

– დიახ, მას თქვენ სძულხართ...

– ეს კი ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ თქვენც ასევე სძულხართ...

– თუ ღმერთი გწამთ, სენიორ გრაფო, თუ ღმერთი გწამთ, გაჩუმდით, კმარა, ეს მე მომკლავს!

– თუ ვინმე მოგკლავს, ისევ შენივე ქმარი მოგკლავს და შენ პირველი არ ხარ!

– ეს უკვე უსინდისობაა, სენიორ გრაფო, ეს სიმდაბლეა! ჩემს ქმარს თავისი ცოლი არ მოუკლავს! ახლა კი მიბრძანდით აქედან, მიბრძანდით და აღარასოდეს დაბრუნდეთ აქ!..

– მე კი წავალ, მაგრამ... ისევ დავბრუნდები... შენ თვითონ დამიძახებ!

და იგი წავიდა, მაგრამ ხულია კი ძალზე გულდამძიმებული დატოვა.

„ეგებ ეს კაცი მართალიცაა! – ფიქრობდა იგი, – ეგებ ეს მართლა ასეა? იქნებ მან ამიხილა თვალი და ცხადად დამანახვა ის, რისი დანახვაც მე არ მინდოდა. ნუთუ მართლა ვძულვარ? ნუთუ მართლა არ ვუყვარვარ?“

* * *

ხულიასა და გრაფ ბორდავიელას ურთიერთობის ამბავი მალე ქალაქში ავი ენების სალაპარაკო გახდა. ალეხანდრომ კი ამის შესახებ არაფერი იცოდა, ან ისე ეჭირა თავი, ვითომ არ იცოდა. ერთხელაც მისმა ერთმა ამხანაგმა სიტყვა რომ გადაუკრა, მაშინვე გააჩერა და უთხრა: „უკვე ვხვდები, რის თქმასაც აპირებ, ტყუილად ირჯები. ეს მარტო მოცლილი ენაჭარტალა ხალხის მონაჩმახია და მეტი არაფერი. მე? ამას მე მიყვებით? ამით უნდათ მიიპყრონ ყურადღება რომანტიკულად განწყობილმა ქალებმა!“ ნუთუ შეიძლება, რომ ის... ნუთუ ასეთი მხდალია?..

მაგრამ ერთხელაც კაზინოში მისი თანდასწრებით ერთმა ტიპმა თავს ნება მისცა წამოეწყო რქიანებზე ქილიკობა, ალეხანდრომ წამოავლო ბოთლს ხელი და იმ თავხედს თავი გაუხეთქა, რასაც საშინელი სკანდალი მოჰყვა.

– ჩემთან? ჩემთან ასეთი ხუმრობა არავის გაუვა! – სრულად მშვიდად თქვა მან და აღშფოთება სულაც არ ეტყობოდა, – როგორ იფიქრა, რომ ვერ მივხვდებოდი... ვითომ არც ვიცოდე, რა სისულელეებს ლაპარაკობენ აქ შეყრილი ბრიყვები ჩემი ცოლის შესახებ, საბრალო რომანების კითხვაში რომაა ჩაფლული და ესაა მისი ახირებაც... ამას კი, ამ ჭორებს ძირშივე აღვკვეცავ და ახლავე.

– მაგრამ არა ამ გზით, ასე მაინც არა, ალეხანდრო, – გაუბედა ერთმაც.

– მაშ, როგორ? ეგებ მითხრათ, როგორ?

– ასეთი ჭორების საბაბი უნდა მოსპოთ.

– აჰა, აი, თურმე როგორ! ესე იგი გრაფს ჩემს სახლში სიარული ავუკრძალო?

– ასე აჯობებს.

– ეს ხომ უფრო მეტ საბაბს მისცემს ავისმთქმელებს. და არც მე ვარ ტირანი. თუ ჩემს საბრალო ცოლს გრაფი გაართობს, ეს ჩამოყალიბებული და სრული ყეყეჩი, ამასთან, გეფიცებით, ნამდვილად უწყინარი ყეყეჩი, ტენორიოს რომ თამაშობს... თუკი ეს თოჯინა ჩემს ცოლს გაართობს, რატომ უნდა მოვაკლო ასეთი გართობა მარტო

იმიტომ, რომ ზოგიერთი ენაჭარტალა ამას კუდს გამოაბამს? ესღა მაკლია... მაგრამ იცოდეთ, ჩემს მოთმინებასაც საზღვარი აქვს! ჩემს მოთმინებას? თქვენ მე კარგად არ მიცნობთ!

– მაგრამ, დონ ალეხანდრო, მოსაჩვენებლად მაინც...

– მე მოსაჩვენებლად არ ვცხოვრობ, ჩემთვის მარტო სინამდვილეა...

მეორე დღეს ალეხანდროს სახლში კაბალიერო გამოეცხადა, ორი მეტად სერიოზული კაბალიერო, რომელთაც მისგან სატისფაქცია მოითხოვეს.

– გადაეცით მას, – უპასუხა მათ, – რომ თავისი მკურნალი ექიმისა თუ ქირურგის ანგარიში გამომიგზავნოს, რომ საფასური გადავუხადო, თან მიყენებულ ზარალსაც ავუნაზღაურებ.

– მაგრამ, დონ ალეხანდრო...

– მეტი რა გნებავთ?

– ჩვენ არაფერი. თვითონ შეურაცხყოფილი მოითხოვს საზღაურს, სატისფაქციას... ანუ სათანადო ახსნა-განმარტებას.

– თქვენი ვერაფერი გამიგია და არც მინდა გავიგო!

– მაშინ დუელი...

– ძალიან კარგი! როცა ინებებთ. გადაეცით მასაც, როცა მოისურვებს, მაგრამ ამისთვის თქვენი შეწუხება აღარ იქნება საჭირო, არც სეკუნდანტებია აუცილებელი. უთხარით, როცა თავი მოურჩება... უნდა მეთქვა, ბოთლით მიყენებული ჭრილობა მოუშუშდება-მეთქი... შემატყობინოს და სადაც მოისურვებს, იქ შევხვდეთ და პატიოსნად შევებრძოლოთ ერთმანეთს, ოღონდ იცოდეთ, შიშველი ხელებით, მარტო მუშტითა და წიხლით. მე სხვა იარაღი არ ვიცი. მაშინ კი დაინახავს, ვინც არის ალეხანდრო გომესი.

– მაგრამ, დონ ალეხანდრო, ეს ხომ ჩვენი მასხარად აგდება იქნება! – შესძახა ერთმა სეკუნდანტმა.

– არამც და არამც! თქვენ სხვა წრიდან ხართ, მე სხვა. თქვენ დიდებული მამების შვილები ბრძანდებით, დიდგვაროვანი ოჯახების შთამომავლები, მე კი, შეიძლება ითქვას, მშობლები სულაც არ მყოლია და არც იმის მეტი ოჯახი მქონია, რაც მე თვითონ შევქმენი. მე არსაიდან მოვედი და არც მინდა ღირსების კოდექსებია თუ რაღაც ეშმაკური ხლართები ვიცოდე. ასე რომ, თქვენ უკვე იცით, ეს არის და ეს!

სეკუნდანტები წამოდგნენ და ერთმა მათგანმა საკმაოდ მტკიცედ და არცთუ მოურიდებლად, რაკი საქმე ჰქონდა ყოვლისშემძლე მილიონერთან, თანაც საიდუმლოებით მოცული წარმოშობის კაცთან, საზეიმოდ განაცხადა:

– ასეთ შემთხვევაში, სენიორ დონ ალეხანდრო გომეს, ნება მიბოძეთ გითხრათ...

– თქვით, რაც გნებავთ, ოღონდ სიტყვები კარგად შეარჩიეთ, თორემ აქ კიდევ ერთი ბოთლი მაქვს.

– მაშინ, – და მან ხმას აუწია, – სენიორ დონ ალეხანდრო გომეს, თქვენ არც კაბალიერო ყოფილხართ!

– რასაკვირველია, არ ვარ, ადამიანო, ცხადია, არ ვარ! მე და კაბალიერო!.. როგორ? საიდან? მე მეჯოგედ დავიბადე და გავიზარდე და არა კაბალიეროდ. მე ვირზეც კი არ ვმჯდარვარ, როცა სამხარი მიმქონდა ხოლმე იმ კაცისთვის, ვინც, როგორც ამბობდნენ, მამად მეკუთვნოდა, სულ ფეხით მივჩანჩალებდი, სულ ფეხით... ცხადია, არც კაბალიერო გახლავარ, არა, კაბალიერო ნამდვილად არ ვარ! კაბალიერო? მე და კაბალიერო? მე? აბა... აბა...

– კმარა, წავიდეთ, – უთხრა ერთმა სეკუნდანტმა მეორეს, – აქ ჩვენ არაფერი გვესაქმება. თქვენ კი, სენიორ დონ ალეხანდრო, მალე დაინახავთ ამ თქვენი უღირსი საქციელის შედეგს.

– გასაგებია, როგორმე გავუძლებ. ხოლო რაც შეეხება იმ... რა ჰქვია იმ ენაგრძელ კაბალიეროს, თავი რომ გავუტეხე, უთხარით, კიდევ გიმეორებთ, რომ ექიმის ანგარიში გამომიგზავნოს და ამის შემდეგ გაფრთხილდეს, სანამ იტყვის, დაფიქრდეს და სიტყვები შეარჩიოს, თქვენ კი, თუ ოდესმე რამე დაგჭირდეთ, – შეიძლება ყველაფერი მოხდეს, – შეგიძლიათ მობრძანდეთ ჩემნაირ გაუნათლებელ და გაუთლელ კაცთან, თუმცა მილიონერთან, ვისაც კაბალიეროს ღირსებისა არაფერი გაეგება და მზად ვარ, თქვენც ისევე გემსახუროთ, როგორც ვემსახურებოდი და ვემსახურები სხვა კაბალიეროებს.

– ამის მოთმენა აღარ შემიძლია, წავიდეთ! – შესძახა ერთმა სეკუნდანტმა.

და ისინი წავიდნენ.

* * *

ალეხანდრომ იმავე ღამეს უამბო ცოლს სეკუნდანტებთან შეხვედრის შესახებ, მერე ბოთლის ამბავიც მოაყოლა და კმაყოფილებით ილაპარაკა თავისი გამარჯვების თაობაზე. ქალი კი შეძრწუნებული უსმენდა.

– მე და კაბალიერო? მე რა კაბალიერო უნდა ვიყო? – გაიძახოდა იგი, – მე, ალეხანდრო გომესი? არასოდეს! მე ადამიანი ვარ, უბრალო ადამიანი და მეტი არც არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ნამდვილი ადამიანი, ნამდვილი მამაკაცი კი გახლავარ!

– მე? – თქვა ხულიამ, ოღონდ კი რამე ეთქვა.

– შენ? შენ ნამდვილი ქალი ხარ! თანაც იმისთანა ქალი, რომელიც რომანებს კითხულობს. ის კი, გრაფია თუ რაღაცა, ის მოჭადრაკე, არარაობაა, ნამდვილი არარაობა! რატომ უნდა დაგიშალო გართობა, ის ხომ ოთახის ფინიასავით გართობს? შენ რომ ერთი ხუჭუჭა ბეწვიანი ოთახის ფინია გყოლოდა, ანდა ანგორის ფისუნია, ან თუნდაც მაიმუნი და მისი კოცნა-მოფერება დაგეწყო, განა მე დავავლებდი ხელს და აივნიდან ქუჩაში გადავუძახებდი? რა სისულელეა, თუმცა კარგი კი იქნებოდა! მაგრამ ისიც ხომ შეიძლებოდა ვინმე გამვლელს თავზე დასცემოდა. ეს კი იგივეა, რაც ის გრაფია თუ ვიღაცა, ძაღლი, კატა თუ მაიმუნი. შენ კი როგორც გინდა და რამდენიც გინდა, ისე გაერთე!

– მაგრამ, ალეხანდრო, მათ ხომ სიმართლე გითხრეს... შენ ის კაცი სახლში არ უნდა შემოუშვა...

– ის კაცი?

– ჰო, შენ უნდა აუკრძალო გრაფ ბორდავიელას ჩვენს სახლში სიარული.

– შენ თვითონ აუკრძალე! თუ შენ ვერ აუკრძალავ იმ ბედოვლათს, მაშინ შენი გული ვერ მოუნადირებია, შენი ყურადღების ღირსი რომ გამხდარიყო, თვითონვე დაითხოვდი, თავი ხიფათისგან რომ დაგეცვა.

– და თუ მაინც გამოვიჩენდი ყურადღებას მისადმი?

– კმარა! კმარა! თავიდან ნუ დავიწყებთ! ისევ გინდა, რომ მაეჭვიანო? მე? ბოლოს და ბოლოს, ვეღარ დარწმუნდი, რომ მე სხვებს არ ვგავარ?

* * *

ხულიას უფრო და უფრო ნაკლებად ესმოდა თავისი ქმრისა, მაგრამ იმავე დროს იმასაც გრძნობდა, როგორ ემორჩილებოდა მას და კიდევ უფრო სწყუროდა დარწმუნებულიყო უყვარდა თუ არა მას, ხოლო ალეხანდროს, თავის მხრივ, სჯეროდა თავისი ცოლის ერთგულება, უფრო სწორად, თავისი თავისა, ალეხანდროსი, ნამდვილი მამაკაცისა! მისთვის ხომ შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენაც კი, რომ უღალატებდა ცოლი, მისი ცოლი! – მაგრამ გულში კი ფიქრობდა: „ამ საბრალოს სულ თავგზა აუბნია ქალაქურმა ცხოვრებამ და რომანების კითხვამო“ და გადაწყვიტა, სოფელში წავიყვანო. და წავიდნენ კიდეც მის ერთ-ერთ მამულში.

– ცოტა ხანს რომ იცხოვრო სოფელში, ძალიან მოგიხდება, – უთხრა ქმარმა, – ნერვები დაგიწყნარდება. თუ მოგწყინდება, რა თქმა უნდა, შენი ფისოც შეგიძლია დაპატიჟო, ის, გრაფია თუ რაღაცა, რომ გაგართოს. კარგად იცი, რომ მე სულ არ ვეჭვიანობ და შენი მჯერა, ჩემს ცოლს თვალდახუჭული ვენდობი.

იქ კი, სოფელში, საბრალო ხულიას კიდევ უფრო მოეძალა ფიქრები და გული დაუმძიმდა. ძალიან მოიწყინა. ქმარი კითხვის ნებასაც არ აძლევდა.

– მე შენ აქ იმიტომ წამოგიყვანე, რომ წიგნებისთვის მომეშორებინე და ნევრასთენიისგან საბოლოოდ განკურნებულიყავი და უფრო უარესი რომ არ დაგმართვოდა.

– ნევრასთენიისგან?

– ცხადია! ყველაფერი ამისგან გჭირს. ყველაფერი წიგნების ბრალია.

– მაშ, ვეღარასდროს ვერაფერს წავიკითხავ?

– არა, ამას არც გთხოვ... მე შენ სულ არაფერს გთხოვ... განა მე ტირანი ვარ? განა ოდესმე რამე მომითხოვია შენგან?

– არა. შენ ისიც კი არ მოგითხოვია, რომ მიყვარდე!

– ცხადია, ან როგორ შეიძლება ასეთი რამის მოთხოვნა! და ესეც არ იყოს, რაკი ვიცი, რომ გიყვარვარ და სხვისი შეყვარება არც შეგიძლია... ხოლო მას შემდეგ, რაც მე შენ გაგიცანი და ჩემი წყალობით გაიგე, როგორია ნამდვილი მამაკაცი, სხვა კაცი აღარც შეგიყვარდება, თუნდაც სურვილი გაგიჩნდეს. ასეა, დამიჯერე. მაგრამ წიგნებზე ნუღარ ვილაპარაკებთ. რამდენჯერ მითქვამს, რომანები არ მიყვარს-მეთქი. ეს მარტო იმ ქარაფშუტების საქმეა, ჩაიზე რომ საუბრობენ ხოლმე გრაფინიებთან.

საბრალო ხულიას ტანჯვას კიდევ ისიც დაემატა, როცა გაიგო მის ქმარს თურმე უწმინდური ურთიერთობა გაება მათ მოსამსახურე გოგოსთან, იმ ძალზე ტლანქ, ულაზათო გომბიოსთან. და ერთ საღამოსაც, ვახშმის შემდეგ, მარტონი რომ დარჩნენ, მოულოდნელად ჰკითხა:

– ალეხანდრო, იქნებ გგონია, რომ ვერაფერს ვხვდები, ვიცი, რომ სიმონასთან...

– ამის დამალვა არც მიცდია, რაკი აზრი არც ჰქონდა. ხომ გაგიგია, კაცს ყოველდღე თაფლის ჭამაც მოჰბეზრდებაო.

– რისი თქმა გინდა?

– იმისი, რომ შენ საყოველდღეო ქალი არ ხარ, საამისოდ მეტისმეტად ლამაზი ხარ.

ქალს გააჟრჟოლა. პირველად გაიგონა ქმრისგან ასეთი სიტყვა – ლამაზიო. მაგრამ ნეტავი მართლა თუ ვუყვარვარ?

– მერედა ამისთანა ტურტლიან გომბიოსთან?.. – უთხრა ხულიამ, ოღონდ კი რამე ეთქვა.

– სწორედ იმიტომ, რომ ტურტლიანია, ეს მსიამოვნებს თუკი მსიამოვნებს. ხომ არ გავიწყდება, რომ მეც ბოსელში გავიზარდე, თითქოს სანეხვეზე და როგორც ერთი ჩემი მეგობარი იტყვის ხოლმე, სიბინძურე მიზიდავს. ახლა კი, როცა ეს გლეხური კერძი ვიგემე, შენს სილამაზეს კიდევ უფრო დავაფასებ, შენს სისუფთავეს და შენს სინატიფეს.

– ვერ ვხვდები, ამით მაამებ თუ დამცინი და მამცირებ.

– ხომ ხედავ, ისევ ნევრასთენიაა! მე კი ვფიქრობდი, გამოკეთების პირი უჩანს-მეთქი.

– რა თქმა უნდა, თქვენ, მამაკაცებს, რაც გინდათ, იმას გააკეთებთ, თუ მოგეპრიანებათ, კიდეც გვიღალატებთ...

– მერე ვინ გიღალატა?

– შენ!

– ამასაც თუ ღალატი ჰქვია! ვაი, ვაი, ეს სულ წიგნებია, წიგნები! ჩემთვის ხომ სიმონას კაპიკის ფასიც არა აქვს და არც...

– გასაგებია! ის ხომ შენთვის ფინიაა, კატა თუ მაიმუნი!

– სწორედ რომ მაიმუნი! მაიმუნი და მეტი არაფერი! სწორედ ეს შეჰფერის ყველაზე უფრო! რა ზუსტად თქვი, მაიმუნიო! მერე ამიტომ შენი ქმარი აღარ უნდა ვიყო?

– შენც იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ამის გამო აღარც მე უნდა ვიყო შენი ცოლი?..

– ვხედავ, ხულია, რომ ჭკუა გემატება...

– ცხადია, სხვაც ბევრი რამ შეიძლება ისწავლო!

– ოღონდ ჩემგან, რა თქმა უნდა და არა იმ ფისუნიასგან!

– რაღა თქმა უნდა, შენგან!

– მაშ ასე. არ მეგონა, თუ ეს სოფლური შემთხვევა გაეჭვიანებდა... შენ და ეჭვიანობა? შენ? ჩემი ცოლი? იმ მაიმუნზე იეჭვიანე? რაც შეეხება იმას, თუ გავამზითვებ, მეტიც არაფერი უნდა!

– რა თქმა უნდა, როცა ფული გაქვს...

– ასეთი მზითევით სასწრაფოდ გათხოვდება და მზითევთან ერთად ქმარს ბიჭსაც მიართმევს. ხოლო თუ ბავშვი მამასაც დაემსგავსება, ანუ ნამდვილი მამაკაცი დადგება, მაშინ მისი ქმარი ორმაგად მოგებული დარჩება.

– გაჩუმდი, გაჩუმდი, გაჩუმდი!

საბრალო ხულიას ქვითინი აუვარდა.

– მე კი მეგონა, სოფელში ნევრასთენიისგან განიკურნებოდი, – უთხრა ალეხანდრომ, – ფრთხილად, უარესი არაფერი დაგემართოს.

ორიოდე დღის მერე კიდევაც დაბრუნდნენ შინ, ქალაქში.

* * *

ხულია კვლავ განუკურნებელმა სევდამ შეიპყრო; გრაფმა ბორდავიელამ კი ისევ უწინდებურად დაიწყო მისვლა-მოსვლა, ოღონდ უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენდა. თავად ხულია სასოწარკვეთილებამ აიძულა დაეთმო მისთვის და ესმინა მეგობრის ღვარძლიანი მონაჩმახი, ცილი თუ ძრახვა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ამ ურთიერთობას ქმარს არც უმალავდა, მას კი ისიც ჰყოფნიდა, როცა ეტყოდა: „შენ ისევ სოფელში უნდა დაბრუნდე და მკურნალობა განაგრძოო“.

ერთ დღესაც, როცა ხულიას უსასოობამ საზღვარს მიაღწია, ქმარს პირდაპირ პირში მიახალა:

– შენ არ ხარ კაცი, ალეხანდრო, არა, არა ხარ ნამდვილი მამაკაცი!

– ვინ, მე? მაინც რატომ?

– არა, არ ხარ მამაკაცი, არ ხარ!

– მაშინ ამიხსენი.

– უკვე დავრწმუნდი, რომ არ გიყვარვარ, რომ არაფრად გიღირვარ, შენი შვილის დედადაც კი არ მიგაჩნივარ, ჩემზე მხოლოდ პატივმოყვარეობის გამო იქორწინე, სატრაბახოდ, საჩვენებლად გინდოდი, ჩემი სილამაზით თავი რომ მოგეწონებინა, რომ...

– კმარა, კმარა, ისევ შენი რომანების გამონაგონია! მაგრამ შენ ის მითხარი, რატომ არ ვარ მამაკაცი?

– მარტო იმას გეტყვი, რომ არ გიყვარვარ და...

– რამდენჯერ მითქვამს შენთვის, რომ სიყვარულზე ლაპარაკი, ვის ვინ უყვარს თუ არ უყვარს, საერთოდ სიყვარულზე და მთელ ამ სისულელეებზე, მარტო გრაფები და ფრანტები ლაპარაკობენ ჩაიზე.

– ვიცი, რომ არ გიყვარვარ...

– ვთქვათ, მაგრამ მერე რა?

– ის, რომ შენთვის არაფერს ნიშნავს ისიც კი, თუ გრაფი, ფისუნია, როგორც შენ ეძახი, ისევ ივლის აქ, როგორც და როცა მოესურვება...

– შენ თვითონ აძლევ ამის უფლებას!

– აბა, რას ვიზამ, თუკი ის ჩემი საყვარელია! გაიგე, რომ ის ჩემი საყვარელია! ის ფისუნია ჩემი საყვარელია!

ალეხანდრო აღუშფოთველად შესცქეროდა ცოლს. ხულია ამაოდ ელოდებოდა, რომ გაცეცხლდებოდა, ამან კიდევ უფრო გააშმაგა და შესძახა:

– მერე რაო? მაშინ მეც მომკალი, როგორც ის, პირველი ცოლი მოკალი!

– ტყუილია, არც ის მომიკლავს და არც ეს ფისუნიაა შენი საყვარელი. ეს ცხადზე ცხადია, შენ გინდა, რომ წამაქეზო და... გინდა რომ ოტელოდ გადამაქციო. ჩემი სახლი თეატრი არ გეგონოს. ოღონდ ასე თუ განაგრძე, ბოლოს გაგიჟდები და შენი დამწყვდევა მომიწევს.

– გავგიჟდები? მე გავგიჟდები?

– ჰო, ბოლოს და ბოლოს, გაგიჟდები! როგორ შეიძლება იმის დაჯერება, რომ ჩემს ცოლს საყვარელი ჰყავს! რატომ ცდილობ, რომ დამაჯერო, ვითომ საყვარელი გყავს, ვითომ მე მღალატობ? მე? ალეხანდრო გომესი ვიღაც ფისუნია არავის ეგონოს, ის ნამდვილი მამაკაცია! ვერა, ამას ვერ მიაღწევ, ვერ ეღირსები, რომ შენი რომანების, ფრანტებისა თუ გრაფების ენაზე გელაპარაკო! ჩემი სახლი თეატრი არ არის!

– მხდალო! მხდალო! მხდალო! – შეჰკივლა უკვე გადარეულმა ხულიამ, – მხდალო!

– ახლა კი რამე უნდა ვიღონო! – თქვა ქმარმა.

და იგი გავიდა ოთახიდან.

ამ დღის მერე, რაც მთელი ორი დღე ჰყავდა თავისი ცოლი გამოკეტილი, კაბინეტში მოიხმო და ხულიაც სრულიად დათრგუნვილი შევიდა მასთან. კაბინეტში დახვდა გრაფი დე ბორდავიელა და ორი სხვა სენიორი.

– მომისმინე, ხულია, – უთხრა შემაძრწუნებელი სიმშვიდით ქმარმა, – ეს სენიორები ექიმი ფსიქიატრები ბრძანდებიან, მე ისინი შენი ჯანმრთელობის გამოსაკვლევად და სამკურნალოდ მოვიწვიე. ახლა შენ გონება გაქვს დაბინდული და მერე, როცა ისევ გაგინათდება, ყველაფერს მიხვდები.

– შენ რაღა გინდა აქ, ხუან? – ჰკითხა ხულიამ გრაფს ისე, რომ ქმრისკენ არც გაუხედავს.

– ხომ უყურებთ? – მიმართა ალეხანდრომ ექიმებს, – ისევ ჰალუცინაციები დაეწყო; ახლა ისევ მოჰყვება მტკიცებას, რომ ეს სენიორი...

– დიახ, ის ჩემი საყვარელია! – შეაწყვეტინა სიტყვა ქმარს, – თუ ასე არ არის, თვითონ თქვას.

გრაფს თავი არ აუწევია.

– თავად ხედავთ, სენიორ გრაფო, – უთხრა ალეხანდრომ ბორდავიელას, – სწორედ ეს აკვიატებაა სიგიჟის ნიშანი, რადგან თქვენ ჩემს ცოლთან არც გქონიათ და არც შეიძლება გქონოდათ რაიმე ურთიერთობა...

– ცხადია, არა! – შესძახა გრაფმა.

– ხომ გესმით! – ისევ მიუბრუნდა ექიმებს ალეხანდრო.

– როგორ! – შეჰყვირა ხულიამ, – შენ, შენ, ხუან, ჩემო ფისუნია, ამას შენ უარყოფ?

გრაფი ცახცახმა აიტანა, ალეხანდროს ცივ მზერას რომ შეეფეთა და თქვა:

– დაწყნარდით, სენიორა, გონს მოდით. ხომ იცით, რომ ეს არ არის მართალი, კარგად იცი, რომ ამ სახლში ახლო მეგობარივით დავდიოდი, თქვენთანაც ისეთივე მეგობრობა მაკავშირებდა, როგორიც თქვენს ქმართან და რომ მე, გრაფი დე ბორდავიელა, არასოდეს გავბედავდი ისეთი მეგობრის ღირსების შელახვას, როგორიც გახლავს...

– როგორიც მე გახლავარ, – შეაწყვეტინა ალეხანდრომ, – მე? მე? ალეხანდრო გომესი? რომელი გრაფი გამიბედავდა ამას, ვის შეეძლო ჩემი შეურაცხყოფა ან ღალატი, როგორ მიღალატებდა მე ჩემი ცოლი.

– თქვენ თვითონ ხედავთ, სენიორებო, რომ საბრალოს გონებაც აქვს დაბნელებული...

– შენც ხუან? შენც ფისუნია? – შეჰყვირა ხულიამ, – მშიშარა! მშიშარა! მხდალი! ჩემმა ქმარმა დაგაშინა არა? შიშის გამო ვერ გითქვამს სიმართლე, არა, მხდალო! მხდალო, მხდალო! – შენც მონაწილეობ ამ სამარცხვინო ფარსში, რომ გიჟად გამომაცხადოთ, არა? მხდალო, მშიშარა! გარეწარო! შენც ჩემი ქმარივით...

– გესმით, სენიორებო! – უთხრა ალეხანდრომ ექიმებს. საბრალო ხულია გონებას კარგავდა, სრულიად განადგურებულად გრძნობდა თავს.

– ასე რომ, ჩემო ბატონო, – მიუბრუნდა ალეხანდრო გრაფს, – ახლა ჩვენ გავიდეთ და ეს პატივსაცემი სენიორები დარჩნენ ჩემს ცოლთან და დაასრულონ მისი გასინჯვა-გამოკვლევა.

გრაფიც გაჰყვა. როცა ისინი ოთახიდან გავიდნენ, ალეხანდრომ უთხრა: – ასე რომ, იცოდეთ, სენიორ გრაფო, ან ჩემი ცოლი უნდა აღიაროთ გიჟად, ან არადა, თქვენცა და მასაც, ორივეს თავებს დაგიჩეჩქვავთ, აირჩიეთ.

– მე ვფიქრობ, ერთადერთი, რაც უნდა ავირჩიო არის ის, რომ დროზე გადაგიხადოთ ვალი, რათა არანაირი საქმე აღარ მქონდეს თქვენთან.

– არა; ერთადერთი არის ის, რომ ენას კბილი დააჭიროთ! ერთი სიტყვით, შევთანხმდეთ, რომ ჩემი ცოლი მართლა გაგიჟდა, თქვენ კი პირწავარდნილი ყეყეჩი ხართ. ესეც დაიმახსოვრეთ! – და მან პისტოლეტი აჩვენა.

ცოტა ხანში ექიმებიც გამოვიდნენ ალეხანდროს კაბინეტიდან და ერთმანეთს გადაულაპარაკეს:

– ეს უკვე შემზარავი ტრაგედიაა. მაგრამ ჩვენ რა ვქნათ?

– ჩვენ მეტი არაფერი დაგვრჩენია, რომ გიჟად გამოვაცხადოთ. თუ არადა, ეს კაცი მასაც მოკლავს და იმ უბედურ გრაფსაც.

– მერე ჩვენი პროფესიული სინდისი?

– ახლა ჩვენი სინდისი ის იქნება, რომ უარესი დანაშაული არ ჩავიდინოთ.

– ამას ჯობდა გიჟად სწორედ ეს დონ ალეხანდრო გამოგვეცხადებინა.

– არა, ის გიჟი არ არის. აქ სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე.

– ნამდვილ მამაკაცთან, არა? როგორც თვითონ ამბობს.

– საბრალო ქალი! როგორ მტკიოდა გული მას რომ ვუსმენდი, მე მეშინია, რომ ბოლოს მართლა გაგიჟდება.

– ეგებ მართლა გიჟად ვაღიაროთ, მაშინ კიდეც გადავარჩენთ. ყოველ შემთხვევაში, ამ სახლიდან მაინც ვიხსნით.

და აღიარეს კიდეც გიჟად. მათი დასკვნის მერე კი ქმარმა თავისი ცოლი საგიჟეთში გამოამწყვდია.

* * *

საბრალო ხულიას სულში ცივი, მძიმე, უვარსკვლავო წყვდიადი ჩამოწვა, როცა უკვე საგიჟეთში გამომწყვდეული აღმოჩნდა. ერთადერთი სანუგეშო ის იყო, რომ ნებას აძლევდნენ შვილი ენახა. აიყვანდა ხოლმე ბიჭს ხელში და ლამის ცრემლებით ჰბანდა სახეს; საბრალო ბავშვიც ტიროდა, თუმცა კი არ იცოდა, რატომ.

– ეეჰ, ჩემო ბიჭო, ჩემო შვილო! – ეჩურჩულებოდა, – ნეტავ კი შემეძლოს გიშველო და გადაგარჩინო, რომ შენს ძარღვებში მამაშენის ერთი წვეთი სისხლიც არ დაგრჩეს... ის მაინც მამაშენია!..

და როცა საბრალო ქალი მარტო რჩებოდა, მართლა გრძნობდა, რომ გიჟდებოდა, სულ ცოტაღა აკლდა, რომ მართლა არ გაგიჟებულიყო და მაშინ იტყოდა ხოლმე: „ამ სახლში მგონია, ნამდვილად ვგიჟდები და იმასაც დავიჯერებ, რომ ჩემი და ამ გრაფის ამბავი მარტო სიზმარი და ჰალუცინაციები იყო. მშიშარა, მხდალი და გარეწარი! ასეთ დღეში მაინც როგორ ჩამაგდო, როგორ დაანება, რომ ასე გამოვემწყვდიე! ფისუნია, მართლაც ფისუნია? მართალი იყო ჩემი ქმარი. ნეტავ რატომ არ დაგვხოცა ორივე? ეეჰ, არა! ეს ყველაზე საშინელი შურისძიებაა! იმ უსინდისო ფისოს მოკვლა არც ღირდა!.. მისი ასეთი დამცირება ჯობდა. ტყუილი უნდა ეთქმევინებინა მისთვის და მერე

მივეტოვებინე! ან როგორ კანკალებდა ჩემი ქმრის წინაშე, მართლა კანკალებდა! ჩემი ქმარი კი მართლაც ნამდვილი მამაკაცია! მაგრამ მაინც რატომ არ მომკლა? ოტელო ხომ უთუოდ მოკლავდა! თუმცა ალეხანდრო ოტელო მაინც არ არის, ოტელოსავით დაუნდობელი მხეცი არ არის. ოტელო შმაგი მავრი კი იყო, მაგრამ უგუნური... ალეხანდრო კი... ალეხანდროს მძლავრი გონება აქვს, თან ის თავისი პლებეური, ეშმაკეული პატივმოყვარეობაც რომ არ ავიწყდება. არა, ამ კაცს სულ არ სჭირდებოდა, რომ ის, თავისი პირველი ცოლი მოეკლა, უბრალოდ, აიძულა მომკვდარიყო თავისით. მის წინაშე შიშისგან მოკვდა უთუოდ. მე კი ვუყვარვარ?“ და იქაც, სულით ავადმყოფთა სახლშიც აწამებდა თავის გულსა და გონებას, რომ ის მტანჯველი კითხვის პასუხი ამოეცნო; „ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ?“ მერე იტყოდა: „სამაგიეროდ მე მიყვარს! თანაც სიგიჟემდე!“

და იმის შიშით, ვაითუ, მართლა გავგიჟდეო, თავი მოაჩვენა, ვითომ გამოჯანმრთელდა, ყველა დაარწმუნა, ვითომ ის ურთიერთობა გრაფთან ჰალუცინაციების მეტი არაფერი იყო. ეს ქმარსაც დაუყოვნებლივ აცნობეს.

ერთ დღესაც ხულია მისაღებ ოთახში გამოიძახეს, სადაც ქმარი ელოდებოდა. როცა შევიდა, მაშინვე მუხლებზე დაეცა მის წინაშე და მწარედ ატირდა:

– მაპატიე, ალეხანდრო, მაპატიე!

– ადექი, ქალო! და მან წამოაყენა.

– მაპატიე!

– გაპატიო? მაგრამ რა გაქვს საპატიებელი? მე უკვე მითხრეს, რომ განიკურნე და ჰალუცინაციები აღარ გაწუხებს...

ხულია შეშინებული შესცქეროდა ქმრის ცივსა და გამსჭვალავ თვალებს, შესცქეროდა შიშითა და გიჟური სიყვარულით, ნამდვილად იყო ეს ბრმა სიყვარული და ბრმა შიში.

– ჰო, მართალი იყავი, ალეხანდრო, მართალი იყავი, მე კი უთუოდ გავგიჟდი, მართლა გავგიჟდი. ეს იმიტომ გამოვიგონე, რომ შენ გეეჭვიანა, ოღონდ კი გეეჭვიანა. ყველაფერი სიცრუე იყო. როგორ შემეძლო შენთვის მეღალატა? მე? შენთვის? ახლა მაინც გჯერა ჩემი?

– ხულია, ერთხელ შენ მკითხე, – დაიწყო ყინულივით ცივი ხმით ქმარმა, – მართლა მოვკალი თუ არა ჩემი პირველი ცოლი, მე კი პასუხის მაგივრად გკითხე, შეგიძლია თუ არა დაიჯერო-მეთქი. მერე შენ რა მიპასუხე?

– ვერა, ვერ დავიჯერებ-მეთქი, ამას ვერ დავიჯერებ-მეთქი!

– მაშინ ახლა მეც გეტყვი, რომ ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ შენ იმ ფისუნიაზე გამცვლიდი. ეს კმარა?

ხულია ცახცახებდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ სიგიჟის ზღვარზე იყო, სიგიჟისა და სიყვარულის ზღვარზე, ერთდროულად.

– ახლა, – ჰკითხა ქალმა, მოეხვია ქმარს და ყურში ჩასჩურჩულა, – ახლა, ალეხანდრო, ახლა მაინც მითხარი, გიყვარვარ?

– და ამ დროს საბრალომ პირველად დაინახა ალეხანდროს სახეზე ის, რაც აქამდე არ შეუმჩნევია, მის თვალწინ გაიხსნა ამ კაცის საშინელი, დახშული სულის მთელი სიღრმე, რასაც ეს მდიდარი კაცი ისეთი თავდადებით მალავდა, როგორც ცხრაკლიტულში, თითქოს ერთი წუთით ელვამ გაანათა მის სულში შავი ტბა და გააბრწყინა მისი ზედაპირი; მან დაინახა ორი კურცხალი მის ცივსა და ორლესულივით ბასრ თვალებში და მაშინ ერთბაშად აღმოხდა კაცს:

– როგორ შემეძლო არ მყვარებოდი, ჩემო ბავშვო, როგორ შემეძლო შენ არ მყვარებოდი! მიყვარხარ, მთელი ჩემი სულით, მთელი ჩემი სისხლითა და ხორცით; საკუთარ თავზე მეტადაც! თავიდან, როცა ვიქორწინეთ, არა, მაგრამ ახლა? ახლა კი, ბრმად, გიჟურად... მე უფრო გეკუთვნი შენ, ვიდრე შენ მე...

და გაშმაგებით, მთელი გზნებით, გიჟივით კოცნიდა და ჩურჩულებდა – „ხულია! ხულია! ჩემო ქალღმერთო! ჩემო სიცოცხლე!“

ახლა კი მართლა ეგონა ხულიასაც, რომ გიჟდებოდა, ახლა, როცა მისმა ქმარმა ერთიანად გადაუშალა გული.

– ამ წუთში მინდა რომ მოვკვდე, ალეხანდრო, – ძლივს გასაგონად უთხრა და თავი მხარზე დაადო ქმარს, თავის მამაკაცს.

ამ სიტყვებზე კაცი თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდაო, გონს მოეგო, ცრემლები გადაყლაპა და ისევ ცივი, ბასრი მზერა მიაპყრო ცოლს და უთხრა:

– ეს არ მომხდარა, ხულია, ახლა ხომ გაიგე, მაგრამ ვითომ არც მითქვამს ის, რაც გითხარი... დაივიწყე!

– დავივიწყო?

– ჰო, ვითომ არც არაფერი გაგიგონია.

– კარგი, მაგრამ...

– კმარა, საკუთარ თავსაც არაფერი გაუმხილო!

– მაგრამ, ღვთის გულისთვის, ალეხანდრო, დამიტოვე ეს წუთი, თუნდაც... შენ მე გიყვარვარ, მე თვითონ გიყვარვარ და მაშინაც გეყვარებოდი, თუ სხვისი ვიქნებოდი, ან ისე გიყვარვარ, როგორც ნივთი რამ?

– ერთხელ გითხარი და დავამთავრე, რაც იყო, იყო, დაივიწყე. ნუ ჩამაცივდები, თორემ ისევ დაგტოვებ აქ. მე შენ წასაყვანად მოვედი იმ იმედით, რომ აქედან ჯანმრთელი წაგიყვანო.

– მე სრულიად ჯანმრთელი ვარ! – მკვირცხლად უპასუხა ცოლმა.

და ალეხანდრომ ცოლი შინ წაიყვანა.

ორიოდე დღეს არ გაუვლია, რაც ხულია შინ დაბრუნდა, რომ გრაფმა დე ბორდავიელამ ალეხანდროსგან მიიღო მიწვევის ბარათი, უფრო სწორად, ბრძანება, მისულიყო მასთან სადილზე.

„სენიორ გრაფო, ალბათ უკვე გაიგებდით, – წერდა იგი, – რომ ჩემი ცოლი სრულიად განკურნებული და ჯანმრთელი დაბრუნდა საგიჟეთიდან. და რადგან საბრალომ იმ ავბედით დღეს, გონებადაბნელებულმა ისეთი შეურაცხყოფა მოგაყენათ, თუმცა ეს უნებურად, დაუფიქრებლად მოუვიდა და ასეთი განზრახვა არც ჰქონია, თქვა, ვითომ თქვენ ისეთი უსინდისობა ჩაიდინეთ, რაც თქვენ, ნამდვილ კაბალიეროს არ გეკადრებათ, ჩემი მხრივ, გთხოვთ, მობრძანდეთ სადილად ზეგ, ხუთშაბათ დღეს, რათა მიიღოთ თქვენთვის დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება, ისეთი, როგორიც თქვენისთანა კაბალიეროს შეჰფერის. ჩემი მეუღლე გთხოვთ, მე კი გიბრძანებთ. ხოლო თუ არ მობრძანდებით დანიშნულ დღეს და არ მოისმენთ მის ახსნა-განმარტებას, შედეგზე თავად აგებთ პასუხს. თქვენ კი ალბათ მოგეხსენებათ, რის შემძლე გახლავარ.

ალეხანდრო გომესი“.

გრაფი დე ბორდავიელა დანიშნულ საათზე გამოცხადდა. მკვდრისფერი ედო და კანკალებდა, აშკარად დაბნეული იყო. სადილმა უღიმღამოდ ჩაიარა, საუბრობდნენ სრულიად უმნიშვნელო რამეებზე და თანაც მოსამსახურეების თანდასწრებით; ალეხანდროს უხამს ხუმრობებს ხულიაც ესარჩლებოდა. დესერტის შემდეგ ალეხანდრომ მოსამსახურეს უბრძანა: „ახლა ჩაი მოგვართვი!“

– ჩაი? – წამოსცდა გრაფს.

– დიახ, სენიორ გრაფო, – თქვა მასპინძელმა, – მაგრამ არა იმიტომ, რომ მუცელი გტკივა, არა; ეს მარტო კარგი ტონისთვისაა. ჩაიზე უფრო კარგად მორიგდებიან ხოლმე კაბალიეროები.

და ისევ მოსამსახურეს მიუბრუნდა: „წადი!“

ოთახში მარტო სამნი დარჩნენ. გრაფი კანკალებდა, ჩაის გემოს გასინჯვასაც ვერ ბედავდა.

– ჯერ მე მომაწოდე, ხულია, – უთხრა ქმარმა, – პირველი მე გავუსინჯავ გემოს, სენიორ გრაფო, რათა დარწმუნდეთ, ამ სახლში საფრთხე არანაირი გელით.

– მაგრამ თუ მე...

– არა, სენიორ გრაფო, მართალია, მე კაბალიერო არ გახლავარ და არც არაფერი ამის მსგავსი, მაგრამ არც ისე უნდობი ვარ. ახლა კი ჩემი მეუღლის ახსნა-განმარტება მოისმინეთ.

ალეხანდრომ ხულიას შეხედა და მან ნელა, მაგრამ ცივი ხმით დაიწყო ლაპარაკი. იგი თვალისმომჭრელი იყო, თვალები უელვარებდა, სიტყვები კი ნება-ნება და ცივად მოედინებოდა, თუმცა უმალ მიხვდებოდით, რომ მათ მიღმა გაუნელებელი ცეცხლი გიზგიზებდა.

– ჩემს ქმარს ვთხოვე, რომ მოეწვიეთ, სენიორ გრაფო, – უთხრა ხულიამ, – რადგან მინდოდა, პატიება მეთხოვა თქვენთვის იმ მძიმე შეურაცხყოფისთვის, რაც მე თქვენ მოგაყენეთ.

– მე, ხულია?

– სახელით არ მომმართოთ! დიახ, თქვენ. როდესაც მე ჭკუაზე შევცდი, როცა ჩემი მეუღლის სიყვარულმა ერთიანად დამაკარგვინა გონება, როცა ყველა ხერხსა და ღონეს ვიყენებდი, რათა დავრწმუნებულიყავი, ვუყვარდი მას თუ არა, მაშინ თქვენ გამოგიყენეთ იარაღად და ვთქვი, ვითომ ჩემი ცდუნება განიზრახეთ, ეს კი წმინდა წყლის სიცრუე იყო, ჩემი გამოგონილი და ასეთი საქციელი მართლაც დასაგმობი იქნებოდა, ისეთ მდგომარეობაში რომ არ ვყოფილიყავი. ასე არ არის, სენიორ გრაფო?

– დიახ, მართალს ბრძანებთ, ხულია!

– სენიორა დე გომეს! – გაუსწორა ალეხანდრომ.

– ის, რაც თქვენ მე და ჩემმა მეუღლემ გაკადრეთ, ანუ ფისუნია რომ შეგარქვით... უნდა გვაპატიოთ!

– მიპატიებია!

– მე თქვენ ისეთი უსინდისობა და უზნეობა დაგწამეთ, რაც თქვენისთანა კაბალიეროს არ ეკადრება...

– ძალიან კარგი, – დასძინა ალეხანდრომ, – ძალიან კარგი! უსინდისობა და უზნეობაო, რაც თქვენისთანა კაბალიეროს არ ეკადრებაო! ძალიან კარგი!

– და თუკი, – ისევ გიმეორებთ, შეიძლება მეპატიოს და უნდა მეპატიოს კიდეც, – ჩემს მაშინდელ მდგომარეობას გაითვალისწინებთ; რა თქმა უნდა, მაპატიებთ; ხომ მაპატიებთ?

– დიახ, დიახ; ყველაფერი მიპატიებია, ორივესთვის მიპატიებია; – უფრო ამოიოხრა, ვიდრე წარმოთქვა ცოცხალმკვდარმა გრაფმა, ოღონდ კი სასწრაფოდ გაეღწია ამ სახლიდან.

– ჩვენ ორივესო? – ჰკითხა ალეხანდრომ, – მაგრამ მე რა მაქვს საპატიებელი?

– მართალი ხართ, მართალი!

– დამშვიდდით, – განაგრძო ქმარმა, – ვხედავ, ძალიან ღელავთ. ერთ ფინჯან ჩაის კიდევ ხომ არ მიირთმევდით! ხულია, ერთი ფინჯანი ჩაი მიართვი სენიორ გრაფს. ეგებ ცაცხვის ნაყენი უფრო გეამოთ!

– არა... არა...

– კარგი და კეთილი, ახლა, რაკი ჩემმა მეუღლემ უკვე გითხრათ, რისი თქმაც უნდოდა, თქვენც აპატიეთ იმ სიგიჟის დროს ჩადენილი შეცდომა, მე ისღა დამრჩენია, რომ გთხოვოთ, დაგვდოთ პატივი და ჩვეულებრივად გვესტუმროთ ხოლმე. მას შემდეგ, რაც მოხდა, ჩვენი ურთიერთობის გაწყვეტა, ალბათ გესმით, უსიამოვნო გრძნობას აღძრავდა. ახლა კი, როცა ჩემი მეუღლე სრულიად განიკურნა ჩემი წყალობით, აღარც თქვენ გემუქრებათ რაიმე უსიამოვნება, თუკი ისევ ისე, ძველებურად ივლით ჩვენს სახლში. და ამის დასტურად, რომ მე სავსებით დარწმუნებული გახლავარ ჩემი მეუღლის კეთილგონიერებაში, დაგტოვებთ მარტო, თუკი ჩემს მეუღლეს კიდევ უნდა რაიმე ისეთი გითხრათ, რაც ჩემი თანდასწრებით ვერ უთქვამს და არ უნდა, რომ მოვისმინო ან ერიდება.

და ალეხანდრო ოთახიდან გავიდა, ისინი კი მარტო ერთმანეთის პირისპირ დატოვა, ორივე განცვიფრებულები მისი ასეთი საქციელის გამო. „ეს რა კაცია!“ – გაიფიქრა გრაფმა, ხოლო ხულიამ გულში თქვა: „აი, ვინ არის ნამდვილი მამაკაცი!“

მერე სიჩუმე ჩამოვარდა. ხულია და გრაფი ერთმანეთის თვალებში შეხედვასაც ვერ ბედავდნენ. ბორდავიელას სულ კარისკენ ეჭირა თვალი, საიდანაც ალეხანდრო გავიდა.

– რატომ იყურებით კარისკენ, – უთხრა ხულიამ, – თქვენ ჩემს ქმარს კარგად არ იცნობთ, ალეხანდრო კარს უკან არ დადგება და არ მოგვისმენს.

– ვინ იცის... მას შეუძლია მოწმეებსაც კი დაუძახოს...

– ამას რატომ ამბობთ, სენიორ გრაფო?

– კარგად მახსოვს, როგორ მოიწვია ის ორი ექიმი და ის შემაძრწუნებელი სცენა მოაწყო, ან მე როგორ დამამცირა, ან რა სულმდაბლობა გამოიჩინა, როცა გიჟად გამოგაცხადათ!

– მაგრამ ეს ხომ მართლა ასე იყო, მე რომ ნამდვილად არ ვყოფილიყავი გიჟი, იმას როგორ ვიტყოდი, ვითომ თქვენ ჩემი საყვარელი იყავით.

– მაგრამ...

– მაგრამ რა, სენიორ გრაფო?

– ის, რომ შესაძლოა, თქვენც გიჟად გინდათ გამომაცხადოთ, ან სულაც სიგიჟემდე მიმიყვანოთ. ამას ხომ არ უარყოფთ, ხულია?

– დონია ხულია ან სენიორა დე გომეს!

– ახლა სენიორა დე გომეს, ეგებ ისიც უარყოთ, რომ თქვენ, ასე იყო თუ ისე, გულგრილად უყურებდით ჩემს ტრფიალს... არა, ტრფიალს კი არა, სიყვარულს?

– სენიორ გრაფო!...

– თქვენ კი მაშინ არათუ გამირბოდით, არათუ არ გსიამოვნებდათ ჩემი ტრფიალი, კიდეც მიწვევდით...

– აკი გითხარით, სენიორ გრაფო, რომ მაშინ გონება მქონდა არეული და ამის გამეორება არ გჭირდებათ.

– თქვენ იმასაც ხომ არ უარყოფთ, რომ ჩვენ შორის ის-ის იყო სასიყვარულო ურთიერთობა იწყებოდა?

– გიმეორებთ, მაშინ ჩემს ჭკუაზე არ ვიყავი-მეთქი!

– ამ სახლში ერთი წუთითაც არ შემიძლია დარჩენა. მშვიდობით!

გრაფმა ხულიას ხელი გაუწოდა, თუმცა მაინც შეეშინდა, რომ ის არ უპასუხებდა, მაგრამ მან ხელი ჩამოართვა და უთხრა:

– ერთი სიტყვით, თქვენ უკვე იცით, რაც ჩემმა ქმარმა შემოგთავაზათ. შეგიძლიათ გვესტუმროთ, როცა კი მოისურვებთ; ახლა, როცა ღვთის შეწევნითა და ალეხანდროს წყალობით სრულიად განვიკურნე, სენიორ გრაფო, სრულიად ჯანმრთელი გახლავარ, თქვენი მხრივ დიდი წინდა-უხედაობა იქნებოდა, თუკი ჩვენთან სიარულს აიკრძალავდით...

– მაგრამ ხულია...

– რაო, თქვენ ისევ თქვენსას იმეორებთ? ხომ გითხარით, მაშინ გონება მქონდა არეული-მეთქი.

– თქვენ და თქვენს ქმარს თუ ვინმეს გაგიჟება გინდათ, ეს მე ვარ...

– თქვენ? თქვენი გაგიჟება გვინდა? ეს არც ისე ადვილი იქნება, ასე მგონია...

– რაღა თქმა უნდა, ფისუნიასი, აკი მე თქვენი ფისუნია ვყოფილვარ!

ხულიამ გაიცინა, შეურაცხყოფილი და ერთიანად დათრგუნვილი გრაფი იმ სახლიდან უკანმოუხედავად გაიქცა და დაიფიცა, აღარასოდეს პირიც არ ექნა მათკენ.

* * *

ამდენმა ტანჯვამ სულიერად გატეხა და ცხოვრება გაუმწარა საბრალო ხულიას, მძიმედ დასნეულდა და გონებაც მთლად დაუბნელა. ახლა უკვე ცხადად ჩანდა, რომ ამ სენმა, სიგიჟემ საბოლოოდ დარია ხელი. მალიმალ კარგავდა ცნობას და ამ დროს ვნებამორეული და აგზნებული უხმობდა თავის ქმარს. და კაციც უსიტყვოდ ნებდებოდა მის ავადმყოფურ ჟინს და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ დაეწყნარებინა. „მე შენი ვარ, შენი, მარტო შენი, მხოლოდ შენ გეკუთვნი“, – ჩასჩურჩულებდა ქალს და ისიც ისე შმაგად ეხვეოდა, რომ კაცს სული ვეღარ მოებრუნებინა.

ბოლოს ალეხანდრომ ცოლი ერთ თავის მამულში წაიყვანა იმ იმედით, რომ იქ მაინც დაწყნარდებოდა, მაგრამ უკვე ჩანდა, სიკვდილი გარდუვალი იყო. რაღაც უცხო სენი ერთიანად უღრღნიდა გულგვამს.

როდესაც უზომო სიმდიდრის პატრონი კაცი მიხვდა, რომ ულმობელი სიკვდილი ხელიდან აცლიდა ცოლს, იგი ცივმა და ჯიუტმა რისხვამ შეიპყრო; მოიწვია საუკეთესო ექიმები, მაგრამ „ყველაფერი ფუჭიაო“, ეუბნებოდნენ ისინი.

– გადამირჩინეთ! – ევედრებოდა მათ.

– შეუძლებელია, დონ ალეხანდრო, შეუძლებელია!

– როგორც გინდათ, გადამირჩინეთ! მთელ ჩემს ქონებას, მთელ ჩემს მილიონებს გავიღებ მისი სიცოცხლისთვის.

– შეუძლებელია, დონ ალეხანდრო, შეუძლებელი!

– ჩემს სიცოცხლეს არ დავიშურებ, ჩემს სიცოცხლეს შევწირავ მას! იქნება სისხლის გადასხმამ უშველოს რამე! მიეცით ჩემი სისხლი! ოღონდ გადამირჩინეთ, მიეცით მთელი ჩემი სისხლი!

– შეუძლებელია, დონ ალეხანდრო, შეუძლებელია!

– როგორ თუ შეუძლებელი, ჩემი სისხლი, უკანასკნელ წვეთამდე არ დამენანება!

– მარტო ღმერთის იმედიღა რჩება, ის თუ გადაარჩენს!

– ღმერთის? მერე სად არის ღმერთი? მე მასზე არასოდეს მიფიქრია.

მერე ხულიას, თავის ცოლს მიუბრუნდა; მას ფერიც აღარ ჰქონდა, მაგრამ უფრო მშვენიერი იყო, გარდაუვალ სიკვდილს კიდევ უფრო მეტი სილამაზის ბეჭედი დაესვა:

– სად არის ღმერთი, ხულია?

მან კი თავისი დიდრონი, თითქმის უკვე ფერდაკარგული თვალები ზევით აღაპყრო და მიმქრალი ხმით უპასუხა:

– აი, იქ არის!

ალეხანდრომ შეხედა თავისი ცოლის თავთან ჯვარცმას, სტაცა ხელი, მაგრად ჩაბღუჯა და შესძახა: „გადამირჩინე ის, გადამირჩინე და რაც გინდა, მთხოვე, ყველაფერს გავიღებ, მთელ ჩემს ქონებას, ჩემს სისხლს, მთლიანად ჩემს თავს, რაც ვარ!“

ხულია იღიმებოდა. ქმრის ასეთი შიში მისი სიცოცხლის გამო, ნეტარებით ავსებდა მის სულს. რა ბედნიერი იყო იგი ბოლოს! ან კი როგორ ეპარებოდა ეჭვი ამ კაცის სიყვარულში!

მაგრამ საბრალო ქალს ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად ტოვებდა სიცოცხლე. უკვე მარმარილოსავით გათეთრდა და გაცივდა. და მაშინ ქმარი გვერდით მოუწვა, გამწარებით შემოხვია მკლავები, რომ მთელი თავისი სითბო გადაეცა მისთვის, სითბო კი თანდათან ეცლებოდა საბრალოს; ქმარს თავისი სუნთქვაც უნდოდა გადაეცა მისთვის. მთლად დაკარგა ჭკუა და გადაირია. ქალი კი მხოლოდ იღიმებოდა.

– ვკვდები, ალეხანდრო, ვკვდები!

– არა, შენ არ მოკვდები, – ჯიუტად იმეორებდა კაცი, – არ შეიძლება, რომ მოკვდე!

– იმიტომ, რომ შენი ცოლი ვარ?

– არა, არა, ჩემი ცოლი არ შეიძლება მოკვდეს. ჯერ მე უნდა მოვკვდე. დაე, მოვიდეს სიკვდილი და ჯერ მე წამიყვანოს. მე! მე უნდა მოვკვდე! მოვიდეს!

– აა ჰ, ალეხანდრო, ახლა უკვე მზად ვარ წავიდე იმ ქვეყნად, რაკი ჩემი ტანჯვის საზღაური მივიღე. მე კი ეჭვი მეპარებოდა, რომ გიყვარდი...

– არა, ჩანს, არ მყვარებიხარ, არა! ეს სიყვარული, ათასჯერ მითქვამს კიდეც შენთვის, ხულია, მარტო წიგნების სისულელეა-მეთქი, არ მყვარებიხარ, არა! სიყვარული... სიყვარული!.. ის საცოდავი, მშიშარა კაცუნები, სიყვარულზე ამდენს რომ ლაპარაკობენ, საკუთარი ცოლის გადარჩენაც კი არ შეუძლიათ... არა, არა, ამას არ ჰქვია სიყვარული... არ მყვარებიხარ...

– როგორ თუ არ გყვარებივარ? – ჰკითხა ცოლმა უკვე მიმქრალი ხმით, რადგან ისევ ადრინდელი ეჭვები მოერია.

– არა, არ მყვარებიხარ... შენ... შენ... სიტყვები არ მყოფნის!.. – და მას ქვითინი წასკდა, ცრემლებიც გაუშრა, ქვითინებდა, კვნესოდა და ოხრავდა ტკივილისა და უსასოო სიყვარულისგან.

– ალეხანდრო!

და ამ უილაჯო შეძახილში გაისმა გამარჯვების მწარე სიხარული.

– არა, შენ არ მოკვდები! შეუძლებელია მოკვდე! არ მინდა მოკვდე! მე მომკალი, ხულია, ოღონდ შენ იცოცხლე! ჰო, მე მომკალი, მე მომკალი!

– ვაი, რომ ვკვდები...

– მე შენთან ერთად მოვკვდები!

– მერე ბავშვი, ალეხანდრო!

– დაე, ისიც მოკვდეს. უშენოდ როგორ უნდა მიყვარდეს!

– თუ ღმერთი გწამს, ალეხანდრო, ეს ხომ სიგიჟეა...

– ჰო, მე გიჟი ვარ, აკი ყოველთვის გიჟი ვიყავი... შენი სიყვარულისგან გაგიჟებული ვიყავი, ხულია, შენ გამაგიჟე... მე გიჟი ვარ! მომკალი და შენთან წამიყვანე!

– ეს რომ შემეძლოს...

– არა, მე მომკალი, ოღონდ შენ იცოცხლე, მე კი ვიქნებოდი შენ...

– შენ?

– მე, ჰო, თუ არ შემიძლია შენი ვიყო, დაე, მეც მოვკვდე!

და იგი კიდევ უფრო, მთელი ძალით იკრავდა ქალს გულში, თითქოს მისი შეჩერება უნდაო.

– კარგი, ალეხანდრო, ბოლოს და ბოლოს, ის მაინც მითხარი, ვინ ხარ? – ჩასჩურჩულა ხულიამ.

– მე? მე ვარ კაცი, რომელიც შენ გეკუთვნოდა... ისეთი კაცი, როგორიც შენ შექმენი!

მისი სიტყვები იმქვეყნიური ჩურჩულივით გაისმა, როცა ნავი სიცოცხლის ნაპირს მოსცილდება და შავბნელ ტბაში გაცურდება.

სულ მალე ალეხანდრომ იგრძნო, რომ უკვე გაცივებულ გვამს იკრავდა გულში. და მაშინ მის სულში ერთბაშად ჩამოწვა ცივი და ბნელი ღამე. იგი წამოდგა და ერთიანად გაქვავებული დააცქერდა უსულო, გაცივებულ, მაგრამ ულამაზეს სხეულს; არასოდეს უნახავს ესოდენ მშვენიერი. ამ უკანასკნელი ღამის შემდეგ თითქოს მარადიული განთიადის სხივებით განბანილი იწვა მის თვალწინ და უეცრად თვალწინ დაუდგა მთელი თავისი ცხოვრება, ცხადია, დაინახა ის, რასაც უმალავდა სხვასაც და საკუთარ თავსაც. შავბნელმა ჩრდილმა გადაურბინა მასაც და მასაც, ვინც მის თვალწინ ცოცხალ მოგონებასავით იწვა და ცოცხლად წარმოიდგინა თავისი მწარე ბავშვობა, როგორ ცახცახებდა მის წინაშე, ვისაც მის მამად მიიჩნევდნენ და ასეთი დაუნდობელი კი იყო, ასე სასტიკად რომ ეპყრობოდა მას, როგორ სწყევლიდა მას და ისიც გაახსენდა

ერთხელაც სასოწარკვეთილმა მუშტი რომ მოუქნია ქრისტეს გამოსახულებას სოფლის ეკლესიაში.

ბოლოს ალეხანდრო ოთახიდან გავიდა და კარი გაიხურა. მაშინვე შვილს დაუწყო ძებნა. პატარა ბიჭი სამიოდე წლის თუ იქნებოდა. მამამ ხელში აიყვანა შვილი, ოთახის კარი ჩაკეტა და შვილს გაშმაგებით დაუწყო კოცნა. ბავშვი კი არ იყო მამის ალერსს მიჩვეული და თითქოს რაღაცას მიხვდაო, თან მამის ასეთმა სიშმაგემაც შეაშინა და ტირილი მორთო.

– დაწყნარდი შვილო, გაჩუმდი! მაპატიებ იმას, რასაც ვაპირებ? მაპატიებ?

ბავშვი გაჩუმდა და შეშინებული მიაშტერდა მამას; ის კი ცდილობდა თვალებში, ტუჩებში, თმაში ხულიას თვალები, ტუჩები და თმა დაენახა.

– მაპატიე, შვილო, მაპატიე!

მერე ერთი წუთით გავიდა, ოთახი ისევ ჩაკეტა, რათა თავისი უკანასკნელი სურვილი აღესრულებინა. მერე ისევ დაბრუნდა ოთახში, ჩაკეტა და თავის ცოლთან, ანუ იმასთან, ვინც იყო მისი ცოლი, სულ მარტო დარჩა.

– მე შენ გწირავ ჩემს სისხლს! – უთხრა ალეხანდრომ ისე, თითქოს იგი გაიგებდა მის ხმას, – სიკვდილმა წამართვა შენი თავი. ახლა მე წამოვალ შენთან, შენს საპოვნელად!

ერთი წამით მოეჩვენა, თითქოს მისმა ცოლმა გაიღიმა და თვალებიც გაახილა და ისეთი გაშმაგებით დაუწყო კოცნა, თითქოს გააცოცხლებდა, ეძახდა და ყურში მგზნებარე სიყვარულის სიტყვებს ჩასჩურჩულებდა, მაგრამ ის ყინულივით ცივი იყო.

მოგვიანებით, საძინებელი ოთახის კარი რომ შეამტვრიეს, სადაც მიცვალებული იწვა, ნახეს, რომ მთლად გაფითრებულს სიკვდილის სიცივისგან, სისხლისგან დაცლილსა და სისხლით ერთიანად შეღებილ ალეხანდროს გულში მაგრად ჩაეკრა ცოლი.

შალამანცა, ალრილ დე 1916.

FB.COM/GROUPS/ELLIB